ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი,
ელიზბარ ელიზბარაშვილი, გიორგი დვალაშვილი,
ნინო ჩიხრაძე, თამარ ხუნწელია, ზურაბ რიკაძე

საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები ცენტრალური კავკასიონის საზღვრისპირა რეგიონებში – ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი და მცხეთა

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

UDC (უაკ) 551.515.9(479.22)
ე – 562

მონოგრაფიაში განხილულია ცენტრალურ კავკასიონზე თბილისი-გუდაური-ლარსის და თბილისი-ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი-ქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა და სხვ.) და ჰიდრომეტეოროლოგიური (უხვი ნალექები, ნისლი, ძლიერი ქარი, ქარბუქი, თოვლის ზვავი და სხვ.) მოვლენები. ჩატარებულია რეგიონის და საავტომობილი გზების კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი №BRG-I-21-228 „ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების (თბილისი-გუდაური-ლარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი) კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა“.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

რედაქტორები: მარიამ ელიზბარაშვილი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო ჩიხრაძე – გეოგრაფიის მაგისტრი,
რეცენზენტები: ვაჟა ტრაპაიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი
მერაბ გაფრინდაშვილი – გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, გარემოს ეროვნული სააგენტო

ინგლისური თარგმანი: ნინო ჩიხრაძე

© მ. ელიზბარაშვილი, გ. გაფრინდაშვილი,
ე. ელიზბარაშვილი, გ. დვალაშვილი,
ნ. ჩიხრაძე, თ. ხუნწელია, ზ. რიჟაძე, 2022

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-305-7

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

შესავალი 6

თავი 1 საავტომობილო გზები და მუნიციპალიტეტები 8

1.1 საავტომობილო გზები 8

1.1.1 თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსის გზა 8

1.1.2 თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა 9

1.2 მუნიციპალიტეტების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება 9

1.2.1 მცხეთის მუნიციპალიტეტი 9

1.2.2 დუშეთის მუნიციპალიტეტი 10

1.2.3 თიანეთის მუნიციპალიტეტი 12

1.2.4 ყაზბეგის მუნიციპალიტეტი 13

ლიტერატურა 14

თავი 2 მორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები 15

2.1 შესავალი 15

2.2 იურული სისტემა 16

2.2.1 ქვედა იურული ნალექები 16

2.2.2 შუა იურული ნალექები 18

2.2.3 შუა და ზედა იურული ნალექები 20

2.3. ცარცული სისტემა 21

2.3.1. ქვედა ცარცული ნალექები 21

2.3.2 ზედა ცარცული ნალექები 23

2.3.3 ზედა ცარცული და ქვედა პალეოგენური ნალექები (K_2-E_1) 25

2.4 პალეოგენური სისტემა 25

2.4.1 პალეოცენური და ქვედა ეოცენური ნალექები (E_1-E_1^2) (შახვეტილას წყება). 25

2.4.2 შუა ეოცენური ნალექები (E_2^2) (ქვაკვერის წყება). 26

2.4.3 ზედა ეოცენური ნალექები (E_2^3). 26

2.4.4 ზედა ეოცენური და ოლიგოცენური ნალექები (E_2^3-E_3) (ყინთის წყება). 27

2.4.5 ოლიგოცენური და ქვედა მიოცენური ნალექები (E_3-N_1^1) (მაიკოპის წყება) 27

2.5 ნეოგენური სისტემა 28

2.5.1 სარმატული სართული 28

2.5.2 მეოტური და პონტური სართულები (N_1^3m-p) (დუშეთის წყება) 28

2.6 მეოთხეული სისტემა 29

2.7 მაგმური ქანები 31

ლიტერატურა 32

თავი 3 საშიში გეოლოგიური მოვლენები 33

3.1 მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესები 33

3.2 გეოლოგიური საფრთხეების მაპროვოცირებელი ფაქტორები 34

3.3 საკვლევ ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეებით გართულებული

დაძაბული უბნები და მათი დახასიათება 36
3.4 საადაპტაციო ღონისძიებები 49
ლიტერატურა 51
თავი 4 კლიმატი და ჰიდროლოგია. 52
4.1 ჰაერის ტემპერატურა 52
4.2 ჰაერის სინოტივე 57
4.3 ატმოსფერული ნალექები 58
4.4 თოვლის საფარი 62
4.5 ქარი 65
4.6 ჰიდროლოგია 66
ლიტერატურა 67
თავი 5 საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები 68
5.1 ინტენსიური, უხვი და კატასტროფული ნალექები 68
5.2 ნისლი 70
5.3 ძლიერი ქარები 72
5.4 ქარბუქი 73
5.5 თოვლის ზვავები. 74
5.6 სეტყვა 76
5.7 წყალდიდობები და წყალმოვარდნები. 79
ლიტერატურა 80
თავი 6 საკვლევი არეალის ზონირება (დარაიონება) ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 82
6.1 შესავალი 82
6.2 გზის ცალკეული მონაკვეთების ზონირება (დარაიონება) ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 83
დანართები 180
დანართი 1. საკვლევი არეალი 180
დანართი 2. საკვლევი არეალის ტექტონიკური დანაწევრების რუკა 181
დანართი 3. საკვლევი არეალის გეოლოგიური რუკა 182
დანართი 4. ქ. მცხეთა – დაბა ჟინვალის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით. 185
დანართი 5. დაბა ჟინვალი – სოფ. ანანური – სოფ. ჭართალი საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 186
დანართი 6. სოფ. ჭართალი – დაბა ფასანაური – სოფ. ზემო ამირნის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით. 187
დანართი 7. სოფ. ჩოხელნი – სოფ. ქვეშეთი – სოფ. არახვეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 188
დანართი 8. სოფ. არახვეთი – სოფ. მლეთა – დაბა გაუდაური – სოფ. ალმასიანის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 189

დანართი 9. სოფ. კობი – სოფ. სიონი – სოფ. არშას საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით . . . 190
დანართი 10. სოფ. არშა – სოფ. ფანშეთი – დაბა სტეფანწმინდა – ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 191
დანართი 11. დაბა ჟინვალი – სოფ. გუდრუხი – სოფ. ხილიანას საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 192
დანართი 12. სოფ. ხილიანა – მდ. ვანხევის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 193
დანართი 13. მდ. კიშხევი – მდ. როშკისწყლის საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით . . 194
დანართი 14. მდ. როშკისწყალი – სოფ. ბისო – დათვისჯვრის უღელტეხილის (მდ. გუდანისჭალის ხეობა) საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 195
დანართი 15. სოფ. ლებაისკარი – სოფ. კისტანი – სოფ. შატილი – სოფ. მუცოს (მდ. არღუნის და მდ. ანდაქის ხეობები) საავტომობილო გზის მონაკვეთის ზონირება ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით 196

შესავალი

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზებს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. გზების უქონლობა ან გზებზე გადაადგილების შეფერხება შესაძლოა გახდეს საზღვრისპირა მონაკვეთის გაუკონტროლებლობის წინაპირობა, რაც თავის მხრივ უკანონო პროდუქციის გადმოტანის რისკს გაზრდის, ან გაურკვეველი წარმომავლობის და დანიშნულების შეიარაღებული პირების თუ ჯგუფების გადმოსვლის საფრთხეს შეიცავს. სწორედ მოუწესრიგებელი და გადაადგილებისთვის არასაიმედო გზების არსებობა არის მოსახლეობის საზღვრისპირა მთიანი რეგიონებიდან ბარში მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი. ამის გამო ძალიან ბევრი მთის სოფელი გაუკაცრიელდა.

მთიანი რეგიონები მრავალ ტურისტს იზიდავს, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მოუწესრიგებელი საგზაო ინფასტრუქტურა და რთული ბუნებრივი პირობები აძნელებს ტურისტების გადაადგილებას და ბევრი მაღალმთიანი რეგიონის ტურისტული პოტენციალის სათანადოდ ათვისება სწორედ ამ მიზეზების გამო ვერ ხდება.

საავტომობილო გზები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, რადგანაც მისი მეშვეობით მოსახლეობას ხელი მიუწვდება სამედიცინო მომსახურებაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ტურისტულ ობიექტებზე და ა.შ. ამასთანავე, მოწესრიგებული და გამართული საგზაო ქსელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

გზები აუცილებელია საზოგადოებრივი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებისათვის. გზების დაზიანებას და განადგურებას ბუნებრივი კატასტროფების მიერ უარყოფითი გავლენა შეუძლია იქონიოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე. კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში მნიშვნელოვნად მატულობს ამინდისა და კლიმატის ექსტრემალური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა: დიდთოვლობა, ნისლი, ზვავი, ქარიშხალი, თავსხმა წვიმა, სეტყვა და ა.შ., რაც გეოლოგიურ მოვლენებთან ერთად ქმნის საგანგებო სიტუაციებს საავტომობლო გზებზე და აფერხებს მოძრაობას. ხშირად რამდენიმე საათიდან დაწყებული, მთელი ზამთრით დამთავრებული გზები იკეტება და სოფლები და დასახლებულ პუნქტები მოწყვეტილი და იზოლირებული რჩება, ამიტომ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებთან დამაკავშირებელ სააავტომობილო გზებზე საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესწავლა და გზების კლასიფიკაცია/დარაიონება ამ მოვლენების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისათვისა და მეცნიერებისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო თბილისი-გუდაური-ლარსის და თბილისი-ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზებზე საგანგებო სიტუაციების წარმომქმნელი საშიში გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი-ქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა და სხვა) და ჰიდრომეტეოროლოგიური (წყალდიდობა, თოვლის ზვავი, ნისლი, გრიგალი და სხვა) მოვლენების განხორციელების პროცესის და მახასიათებლების გამოკვლევა, გზების კლასიფიკაცია/დარაიონება საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) შექმნა.

ნაშრომში გამოკვლეულია ორი საგზაო მონაკვეთი, რომლებიც საქართველოს საზღვრისპირა მთიანი ტერიტორიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, რადგან ისინი აკავშირებენ ერთმანეთთან კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებს:

1. თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსი, ანუ ე.წ. საქართველოს სამხედრო გზა; და

2. თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილი, ანუ პირიქითა ხევსურეთის და პირაქეთა ხევსურეთის მაღალმთიანი ნაწილის დედაქალაქთან დამაკავშირებელი გზა.

ორივე მიმართულებით მიმავალი გზა უკავშირდება კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე განლაგებულ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციებს, რომლებიც იზოლირებულია მაღალი წყალგამყოფი ქედით (კავკასიონის მთავარი ქედი) და მათთან პირდაპირი სატრანსპორტო კომუნიკაცია ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მაღალი უღელტეხილების მეშვეობით: ჯვრის უღელტეხილისა (2379 მ) (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და დათვისჯვრის უღელტეხილის (2676 მ) (დუშეთის მუნიციპალიტეტი) გავლით.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, გრანტი №BRG-I-21-228, „ცენტრალურ კავკასიონზე მდებარე საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების (თბილისი-გუდაური-ლარსი და თბილისი-ჟინვალი-შატილი) კლასიფიკაცია /დარაიონება საშიში ბუნებრივი მოვლენების თვალსაზრისით და მისი გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა“. პროექტის ხელმძღვანელი: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ელიზბარაშვილი, კოორდინატორი: გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი გიორგი გაფრინდაშვილი, მონაწილეები: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ელიზბარ ელიზბარაშვილი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი გიორგი დვალაშვილი, გეოგრაფიის მაგისტრი ნინო ჩიხრაძე, დოქტორანტები: ზურაბ რიკაძე, თამარ ხუნწელია; და თსუ-ს სტუდენტი: ირაკლი ელიზბარაშვილი.

თავი 1

საავტომობილო გზები და მუნიციპალიტეტები

1.1. საავტომობილო გზები

ცენტრალურ კავკასიონზე მდებარეობს საზღვრისპირა დასახლებებთან დამაკავშირებელი ორი მნიშვნელოვანი საავტომობილო გზა: 1. თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსი, ანუ ე.წ. საქართველოს სამხედრო გზა; და 2. თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილი, ანუ პირიქითა ხევსურეთისა და პირაქეთა ხევსურეთის მაღალმთიანი ნაწილის დედაქალაქთან დამაკავშირებელი გზა (დანართი 1; 1 გვ.).

1.1.1. თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსის გზა

თბილისი-ფასანაური-გუდაური-დარიალი-ლარსის გზა შედარებით კეთილმოწყობილია და დიდი დატვირთვითაც გამოირჩევა. ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი სწორედ მასზეა დამოკიდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაკარგავდა კავშირს მხარის ცენტრთანაც და დედაქალაქთანაც, ასევე სხვა რეგიონებთანაც. ამ გზას გააჩნია უმთავრესი დატვირთვა საქართველო-რუსეთის ერთადერთი საბაჟო-გამშვები პუნქტის მიმართულებით, რაც განაპირობებს პროდუქციის ტრანსპორტირებას და ორივე ქვეყნის, ან მეზობელი სომხეთის რესპუბლიკიდან საავტომობილო ტრანსპორტით ამ მიმართულებით გადაადგილებას. ეს გზა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კავშირს ქვეყნის სხვა ნაწილებთან. გზა ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში ჩასული მრავალრიცხოვანი ტურისტების (მათი ოდენობა მზარდ ხასიათს ატარებს) შეუფერხებლად გადაადგილებისათვის, ასევე, ზამთრის კურორტ გუდაურის და მისი ცნობილი სათხილამურო ტრასის შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის. საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ზოლი ეგზოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით ძალიან აქტიურია. თუმცა, იქაც გამოიყოფა განსაკუთრებით რთული რისკის შემცველი უბნები, სადაც მათი განმეორებადობა გამოირჩევა უფრო მაღალი ინტენსივობით. ასევე, არის რიგი უბნები, სადაც რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო მოძრაობა ხშირად ფერხდება (დიდთოვლობა, ზვავი, ძლიერი ქარი, წვიმები და სეტყვა).

საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი – [ს3] (მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსი)- საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო ავტომაგისტრალი, რომელიც იწყება ქალაქ მცხეთასთან და მიემართება ჩრდილოეთით კურორტ გუდაურისა და დაბა სტეფანწმინდის გავლით რუსეთის საზღვრამდე [1].

საავტომობილო მაგისტრალი აგრეთვე მოიცავს ევროპის ავტომაგისტრალს კავკასიაში E117-ს, რომელიც რუსეთის სამხრეთ ნაწილს აკავშირებს სომხეთთან საქართველოს გავლით. მარშრუტი იწყება ქალაქ მინერალნიე ვოდისთან რუსეთში, გრძელდება საქართველოში, სადაც ძირითადად ემთხვევა საქართველოს სამხედრო გზას, ხოლო შემდეგ სომხეთში ერევნის გავლით მიდის ირანის საზღვრამდე. ავტომაგისტრალის სიგრძეა 1050 კმ. ქალაქ მინერალნიე ვოდის შემდეგ ქალაქ ბესლანამდე ავტომაგისტრალი გადაკვეთს ევროპის ავტომაგისტრალს E50-ს, თბილისში ის გადაკვეთს ევროპის ავტომაგისტრალს E60-ს და მარშრუტის დასასრულს, სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ მეღრიში ის უერთდება ევროპის ავტომაგისტრალს E002-ს.

1.1.2. თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა

თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა წარმოადგენს ასევე კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილო ფერდობების დამაკავშირებელ საკომუნიკაციო საშუალებას. ის დაბა ჟინვალამდე საქართველოს სამხედრო გზის ნაწილია, ხოლო შემდეგ მიემართება მის ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლური მიმართულებით, მიუყვება რა მდინარე ფშავისა და შემდეგომ, ხევსურეთის არაგვის ხეობებს. თბილისი-ჟინვალი-ბარისახო-შატილის გზა ერთადერთია, რომელიც მდინარე არღუნისა და ანდაკის ხეობებს აკავშირებს საქართველოს სხვა რეგიონებთან (გარდა რამდენიმე საცალფეხო, ტურისტული ბილიკისა). პირიქითა ხევსურეთის სოფლების კავშირი რეგიონებთან სწორედ მასზეა დამოკიდებული და წლის განმავლობაში 7-7,5 თვე ის დაკეტილია დიდთოვლობის გამო. ზაფხულის დასაწყისში გართულებულია მოძრაობა გეოდინამიკური პროცესების გამო, რაც გამოწვეულია თოვლის დნობით და თავსხმა წვიმების შედეგად დაძრული ნიაღვრებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში განხორციელდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ამ გზის გაუმართაობა მოქმედებს საქართველოს სასაზღვრო პუნქტთან კავშირზე; ასევე, შატილისა და მუცოს მიმართულებით მხოლოდ ამ გზით ხდება მოძრაობა. ეს გზა აგრეთვე წარმოადგენს გადაადგილების ერთადერთ საშუალებას მეცხვარეთა და მესაქონლეთათვის გაზაფხულზე და შემოდგომის პერიოდში, როდესაც ხდება ცხვრის და მსხვილფეხა პირუტყვის გადარეკვა. სასაზღვრო პუნქტთან კავშირის შესუსტება და მოსახლეობის კლება ზრდის რისკს მათ დაუცველობასთან დაკავშირებით.

ჟინვალი – ბარისახო – შატილი [26] შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას წარმოადგენს, რომლის მთლიანი სიგრძეა 106 კმ.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალი და ჟინვალი–ბარისახო–შატილის გზატკეცილი მიემართება საქართველოს მცხეთა-მთიანეთის მხარის 4 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ესენია: მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა (მცირე ნაწილი) და ყაზბეგის (დიდი ნაწილი) მუნიციპალიტეტები. ამასთან დაკავშირებით, შემდგომ პარაგრაფში განიხილება ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.

1.2. მუნიციპალიტეტების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

1.2.1. მცხეთის მუნიციპალიტეტი

მცხეთის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით – დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით – გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები და ქალაქი თბილისი [2].

მცხეთის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია **უსახელო მთა** თრიალეთის ქედზე, დიდგორის მონაკვეთი, ზ.დ.1782 მ. ყველაზე დაბალი წერტილია მდინარე მტკვრის ხეობა ზაჰესთან, ზ.დ. 425 მ. მუნიციპალიტეტის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია საგურამო-იალნოს მთა ნაკოხარის დასავლეთით, მარტყოფის სამონასტრო კომპლექსის ჩრდილოეთით, ზ.დ. 1590 მ. უკიდურესი სამხრეთი წერტილია მდინარე ვერეს ხეობა ბეთანიის მონასტრის აღმოსავლეთით, ზ.დ. 660 მ. უკიდურესი დასავლეთი წერტილია თრიალეთის ქედის ჩრდილო განშტოება- კოშკისყელის ქედი, მდინარე ნიჩბისის წყლისა და კავთურის წყალგამყოფი, სოფელ ზემო ნიჩბისის სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 1750 მ. უკიდურესი

აღმოსავლეთი წერტილია იალნოს ქედის ჩრდილო განშტოება, მდინარე თეზამისა და გორანას წყალგამყოფი, ზ.დ. 1590 მ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 805 კმ², მუნიციპალური და მცხეთა-მთიანეთის მხარის ცენტრი – ქალაქი მცხეთა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძირითადად დაბალი და საშუალო მთიანია, სიმაღლე ზღვის დონიდან 670-1600 მ-ის ფარგლებში იცვლება. მცირემიწიანობის მიუხედავად მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამოირჩევა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით. ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში იჭრება საშუალო სიმაღლის განედური საგურამოს ქედი, რომელიც იალნოს ქედის დასავლეთ გაგრძელებას წარმოადგენს. საგურამოს ქედი მის თხემურ ნაწილში პლიოცენის კონგლომერატებითაა აგებული. სამხრეთ ფერდობზე კი განვითარებულია ზედა სარმატის თიხები და კირქვიანი ქვიშაქვები. საგურამოს ქედი თავისი უკიდურესი დაბოლოებებით ქალაქ თბილისშიც იჭრება.მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთით აღმართულია საწკეპელას ქედი, რომელიც ქმნის თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ განშტოებას. საწკეპელას ქედის აღმოსავლურ დაბოლოებას ეწოდება არმაზის ქედი, რომლის სიმაღლე 1125 მ-მდეა.მდინარეებს არაგვსა და ქსანს შორის გაწოლილია სხალტბის სერი, რომელიც კუესტისებურია და გამორჩეულია თავისი მაღალი ფლატით, რომელიც ნეოგენური კონგლომერატებით არის აგებული. სხალტბის ქედის სიგრძე 12 კმ-ია, ხოლო სიმაღლე 1091 მ. მცხეთის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის ასევე მსხალდიდის, სათიბისა და საბადურის ქედების გარკვეული ნაწილები. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი მორფოლოგიური ელემენტია მუხრანი-საგურამოს ვაკე, რომელიც წარმოადგენს მესამეულის წყებებში მოქცეულ ახალგაზრდა ტექტონიკურ დეპრესიას, რომლის ღერძი ქვაბულის მიმართულებას ემთხვევა. მუხრანი-საგურამოს ქვაბულის ფსკერი აგებულია მდინარე არაგვისა და ქსნის პირველი ტერასის აკუმულაციური კაჭარ-კენჭნარით [1].

მდინარე არაგვი მუნიციპალიტეტს კვეთს სოფელ მისაქციელიდან ქალაქ მცხეთამდე. არაგვი ზემო და შუა დინებაში მთის მდინარეა, მუნიციპალიტეტში შემოსვლის შემდეგ კი – ვაკის. მუხრანი-საგურამოს ვაკეზე მდინარე იშლება, იტოტება და საკმაოდ ფართო ჭალას აჩენს; განვითარებულია ტერასები; შესართავთან სხალტბისა და საგურამოს ქედებს კვეთს და ისე ჩაედინება მტკვარში. არაგვის მთავარი შენაკადებია ნარეკვავი (სიგრძე 47 კმ) და თეზამი (28 კმ) [2].

1.2.2. დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტს სამხრეთით საზღვრავს მცხეთის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – კასპისა და ახალგორის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით საზღვრავს რუსეთის ფედერაცია და ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ხოლო აღმოსავლეთით ესაზღვრება ახმეტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები. დუშეთის მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის მხარის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია. დუშეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 2981,5 კმ² [2].

დუშეთის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია **მთა კიდეგანა** კიდეგანის ქედზე, ზ.დ. 4274 მ. ყველაზე დაბალი წერტილია მდინარე არაგვის ხეობა სოფელ ჭოპორტის სამხრეთით, ზ.დ. 520 მ. მუნიციპალიტეტის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია მთა არჯელომი არჯელომის ქედზე, საქართველო-რუსეთის საზღვართან, ზ.დ. 3219 მ. უკიდურესი სამხრეთი წერტილია მდინარე არაგვის ხეობა მცხეთის სოფელ ნატახტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზ.დ. 520 მ. უკიდურესი დასავლეთი წერტილია ლომის-ალევის ქედი, ზემო

მლეთის უღელტეხილზე, სოფელ ზემო მლეთის ჩრდილო-დასავლეთით, 4 კმ-ში, ზ.დ. 2293 მ. უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილია მუცოს ქედი თებულოს მთის სამხრეთ-დასავლეთით, საქართველო-რუსეთის საზღვართან, ადგილი ქართოლისი, ზ.დ. 4270 მ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საშუალო და მაღალმთიანია. მცირე ფართობზე არის დაბალმთიანი ადგილებიც, კერძოდ: ბაზალეთის პლატოს, დუშეთის ქვაბულისა და შიდა ქართლის ვაკის სახით. რელიეფში ძირითადად გაბატონებულია ეროზიული, ასევე ძველმყინვარული და პერიგლაციალური რელიეფის ფორმები. დუშეთის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით აღმართულია საქართველოს კავკასიონის შემადგენელი მონაკვეთი – თუშეთ-ხევსურეთისა და მთიულეთ-ფშავის კავკასიონები. პირველი მათგანი კავკასიონის ჩრდილოეთ, მეორე კი სამხრეთ კალთაზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის ფარგლებში თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონს გამოეყოფა ხევსურეთისა და აწუნთის ქედები. ხევსურეთის ქედი გაწოლილია მდინარეების არღუნისა და ასას ხეობებს შორის; აქვს ჩრდილოური მიმართულება. მის თხემზე აღმართულია მწვერვალები: მალალებისმაღალი (4007 მ), მახისმაღალი (3391 მ) და გომღისმაღალი (3740 მ). უღელტეხილი ისართღელე (3486 მ), რომელიც ქედის შუა მონაკვეთში მდებარეობს, ერთმანეთთან აკავშირებს არხოტისა და არდოტის თემებს. დუშეთის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია მერიდიანული აწუნთის ქედი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შედის დასავლური კალთა, სადაც აღმართულია მწვერვალი პირჩიტა (3840 მ). აწუნთის ქედი აგებულია ქვედა იურული თიხაფიქლებით [1].

მუნიციპალიტეტის ფარგლებში მთიულეთ-ფშავის კავკასიონს გამოეყოფა ალევის, მთიულეთის, გუდამაყრისა და ქართლის ქედები. ალევის ქედი მდებარეობს მუნიციპალიტეტის დასავლეთ ნაწილში, ახალგორის მუნიციპალიტეტის საზღვრის გასწვრივ. ქედს ახასიათებს ნაზი რელიეფი, გამონაკლისს წარმოადგენს ლორწომისკლდის მასივი, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთაა. მთიულეთის ქედი მთავარ ქედს შირიმის მწვერვალთან გამოეყოფა, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მთავრდება დაბა ფასანაურის ჩრდილოეთით. გუდამაყრის ქედი მთავარ ქედს მწვერვალ ჩრდილო ჭიუხთან გამოეყოფა. აქვს თითქმის მერიდიანული მიმართულება. გრძელდება დაახლოებით 40 კმ სიგრძეზე კავკასიონის მთავარი ქედიდან ჭინვალის წყალსაცავამდე. გადასასვლელებიდან მთავარია უღელტეხილები ფხიტური და უკანტბა. ქართლის ქედი შემოდის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი აღმოსავლეთ კავკასიონში შემავალი მთიულეთ-ფშავის კავკასიონის სამხრეთ განშტოებაა. ის მთავარ ქედს დიდი ბორბალოს მთასთან გამოეყოფა, მიემართება სამხრეთისაკენ და ბოლოვდება ცხვარიჭამიასთან. დუშეთის მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში ვრცელდება დაბალმთიანი ბაზალეთის პლატო (ვაკე). იგი გაწოლილია მდინარეებს არაგვსა და ნარეკვავს შორის. პლატოს აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს ზ.დ. 875 მეტრიდან 950 მ-მდე; დანაწევრებულია მცირე მდინარეებით: საკრამულოსხევით (ლაზვიანთხევი), ხანათხევითა და მდინარე თინასხევით. ბაზალეთის პლატო აგებულია მეოთხეული კონგლომერატებითა და რიყნარ-ქვიშნარით [3].

მთავარ სამდინარო ქსელს ქმნის ოთხი არაგვი (მთიულეთ-გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის), რომელთაგან უმთავრესია მთიულეთის არაგვი. მთიულეთის არაგვი (სიგრძე 41 კმ) სათავეს იღებს ყელის ვულკანურ მთიანეთზე, მწვერვალ ხორისარის კალთებიდან, ზღვის დონიდან 3180 მ-დან. დაბა ფასანაურამდე მდინარეს აქვს სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულება; ეს საკმაოდ გრძელი მონაკვეთი თეთრი არაგვის სახელწოდებას ატარებს. ფასანაურს ქვემოთ იგი იღებს სამხრულ მიმართულებას, ანანურთან კი კვლავ სამხრეთ-

აღმოსავლეთისაკენ მოიხრება და ასე რჩება ჟინვალის წყალსაცავამდე. მთავარი შენაკადებია: ამირთხევი, დგნალისხევი, არყალა, ერეთოსწყალი, ჩაბარუხი (მარჯვ.); გვიდაქე, ფშარისხევი, ჩირიკისხევი, ხადისწყალი და სონჩოსხევი (მარცხ.).დუშეთის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ასევე მთავარი ქედის ჩრდილო კალთის მდინარეები არღუნი და ასა. არღუნი საკმაოდ გრძელი (სიგრძე 148 კმ) და წყალუხვი მდინარეა (აუზის ფართობი 3390 კმ²); ზემო დინებაში მთისაა, ქვემოთაში კი – ვაკის.მდინარე ასას საერთო სიგრძეა 133 კმ. მის ზემო მონაკვეთს ეწოდება არხოტისწყალი.მდინარე არაგვზე აგებულია ჟინვალის წყალსაცავი, რომლის სარკის ფართობია 11,5 კმ², მოცულობა – 520 მლნ. მ³ [3].

1.2.3. თიანეთის მუნიციპალიტეტი

თიანეთის მუნიციპალიტეტს ჩრდილო-დასავლეთით საზღვრავს დუშეთის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით ახმეტის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, სამხრეთით კი მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. მისი ფართობია 906,3 კმ² [2].

თიანეთის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია **უსახელო მთა** ქართლის ქედის თიანეთის ქედის მონაკვეთზე, ზ.დ. 3258 მ. ყველაზე დაბალი წერტილია მდინარე ივრის ხეობა, მდინარე ვაშლიანის შესართავი სოფელ გრძელველის სამხრეთ-დასავლეთით, ზ.დ. 910 მ. მუნიციპალიტეტის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია ქართლის ქედის ჩრდილო მონაკვეთი, მთა ცოხისთავის აღმოსავლეთით 4 კმ-ზე, ზ.დ. 3258 მ. უკიდურესი სამხრეთი წერტილია იალნოს ქედის ჩრდილო განშტოება, მდინარე თეზამისა და გორანას წყალგამყოფი, ზ.დ. 1590 მ. უკიდურესი დასავლეთი წერტილია მდ. აძეძის აუზი, მთა ბოკორისწვერი, ზ.დ. 1487 მ. უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილია ბუნგალთგორას ქედი, ივრისა და ალაზნის წყალგამყოფი, ზ.დ. 2970 მ.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია საშუალო-მაღალმთიანია. ტერიტორიის დიდი ნაწილი მაღლობებსა და მთისწინეთებს უკავია, მცირედი კი – ჩადაბლებებს. ძირითადად გაბატონებულია ეროზიული, ძველმყინვარული და წყალ-აკუმულაციური რელიეფის ფორმები.მუნიციპალიტეტის დასავლეთით აღმართულია უმეტესად საშუალომთიანი ქართლის ქედის აღმოსავლეთი კალთები. გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია უღელტეხილი ფუტკარული (2300 მ), რომელიც აკავშირებს არაგვისა და ივრის ხეობებს. ქართლის ქედი მეტ-ნაკლებადაა დანაწევრებული ხევ-ხეობებით. მისი კალთებიდან არაერთი მდინარე იღებს სათავეს, მ.შ. აძეძი, ქუსნო, ხაშრულა, ძაღლიანთხევი, ხინჭებისხევი, წირდალისხევი, ჩარგლულა და სხვა [1].

თიანეთის მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთით აღმართულია ეროზიულ-მერიდიანული კახეთის საშუალომთიანი ქედი. მუნიციპალიტეტის ფარგლებში კახეთის ქედს გამოეყოფა ჭიაურის ქედი, რომელიც გაწოლილია მდინარეებს იორსა და საგამს შორის. ჭიაურის ქედზე აღმართულია მთა ჭიაური (2018 მ), რომელიც მდინარე ჭიაურისწყლის სათავეში მდებარეობს და ახასიათებს გუმბათისებრი ფორმა. კახეთის ქედიდან ჩამოედინება მდინარეები: საგამი, ბაბხისხევი, წისქვილისწყალი (დასავლეთ კალთებიდან), ილტო და მისი მთელი რიგი მარჯვენა შენაკადები. თიანეთის მუნიციპალიტეტის რელიეფის უარყოფითი ფორმებიდან გამოსაყოფია თიანეთისა და ერწოს ქვაბულები.თიანეთის ქვაბული ივრის ხეობის გაფართოებული ნაწილია და შემოფარგლულია ქართლისა და კახეთის ქედებით. ქვაბული ვრცელდება ზ.დ.1050 მ-დან (სამხრ.) 1150 მ-მდე (ჩრდ.). თიანეთის ქვაბულის ფსკერი წარმოადგენს აკუმულაციურ ვაკეს, იგი შექმნილოია ტექტონიკური პროცესებით.თიანეთის ქვაბულის მსგავსად ერწოს ქვაბულიც

ღრმულისებრი ტექტონიკური ჩადაბლებაა, რომელიც ირწყვება მდინარე აძეძით. ქვაბულის სიმაღლეა 1000-1100 მ ზ.დ. ერწოს ქვაბულის ფსკერი აკუმულაციური ბრტყელი ვაკეა, რომელიც აგებულია თიხებით, კაჭარ-კენჭნარითა და ქვიშებით [4].

1.2.4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია დუშეთის მუნიციპალიტეტით, სამხრეთით საზღვრავს ახალგორის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – ჯავის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით კი რუსეთის ფედერაცია. მუნიციპალიტეტის ფართობია 1081,7 კმ² [5].

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია **მთა მყინვარწვერი,** ზ.დ.5054 მ. ყველაზე დაბალი წერტილია მდინარე თერგის ხეობა, დარიალის ციხის ჩრდილოეთით, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან, ზ.დ. 1220 მ. მუნიციპალიტეტის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია მთა კაჯანი ხოხის ქედზე, საქართველო-რუსეთის საზღვართან, ზ.დ. 3914 მ. უკიდურესი სამხრეთი წერტილია ლომის-ალევის ქედი, ზემო მლეთის უღელტეხილზე, დუშეთის სოფელ ზემო მლეთის ჩრდილო-დასავლეთით, 4 კმ. ზ.დ. 2293 მ. უკიდურესი დასავლეთი წერტილია მთა ზილგახოხი კავკასიონის მთავარ ქედზე, ზ.დ. 3857 მ. უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილია კავკასიონის მთავარ ქედზე, არხოტისთავისღელის უღელტეხილის სამხრეთით, 1 კმ., ზ.დ. 3370 მ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთლიანად მაღალმთიანია. სიმაღლე ზღვის დონიდან 1700 მ-იდან 5000 მ-ის ფარგლებში იცვლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რელიეფი ძირითადად კლდოვანი და ძნელად მისადგომია. აქ განვითარებულია ეროზიული, ვულკანური და ძველმყინვარული რელიეფის ფორმები. მთავარი ოროგრაფიული ერთეულია ხევის კავკასიონი და აგრეთვე მერიდიანული შანის, ყუროსა და კიდეგანის ქედები; გვერდითი ქედებიდან – ხოხის ქედი. ხევის კავკასიონი ვრცელდება კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე და ის მოიცავს მდინარე თერგის ზემო დინების აუზს.

გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჯვრის ღელტეხილი (2379 მ), რომელზედაც გადადის საქართველოს სამხედრო გზა. შანის ქედი წარმოადგენს აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ განშტოებას. ის მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადების ხდისწყლისა და არმხის წყალგამყოფი მერიდიანული ქედია. შანის ქედის უმეტესი ნაწილი რთული რელიეფით ხასიათდება, რაც გამოიხატება მის უსწორმასწორო პროფილში. აქ მდებარე უმეტესი მწვერვალები ძნელად მისადგომი, ციცაბოკალთებიანი და კლდოვანია. შანის ქედისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შანის მასივი, რომელზეც აღმართულია ქედის ყველაზე მთავარი მწვერვალები. უმაღლესი მწვერვალია შანი (4451 მ). სხვა მწვერვალებია: აკაკი წერეთლის მწვერვალი (3780 მ), ილია ჭავჭავაძის მწვერვალი (3800 მ) და სხვ. 1953 წელს ქედის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს ქალაქ რუსთავის სახელი დაერქვა. ყუროს ქედი — წარმოადგენს კავკასიონის ჩრდილოეთ გამყოლი ქედის ერთ-ერთ შემადგენელ განშტოებას, რომელიც ჰყოფს მდინარეებს თერგსა და ხდეს. ყუროს ქედის უმაღლესი წერტილია ყუროსწვერი (4091 მ). კიდეგანის ქედი გამოეყოფა თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდილოეთ ნაწილს. მთავარ ქედს იგი გამოეყოფა საძელისღელის უღელტეხილთან; შემდეგ ვრცელდება ჩრდილოეთისაკენ და უკვე ინგუშეთის ფარგლებში ებჯინება 375 კმ სიგრძის კლდოვან ქედს. აქ აღმართულია მწვერვალები: კიდეგანისმაღალი (4275 მ), ვაჟა-ფშაველას მწვერვალი (4200 მ), გველისმთა (3970 მ), საამღოსმაღალი (3884 მ), თათელისმაღალი (3755 მ). ხოხის ქედი წარმოადგენს კავკასიონის

გვერდითა ჩრდილო ქედს. თრუსოს ქედი აკავშირებს კავკასიონის მთავარ ქედთან. მასზე მდებარეობს მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს უმაღლესი წერტილი — მყინვარწვერი (5054 მ), რომელიც მძლავრი გამყინვარებით ხასიათდება.

გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მაილის უღელტეხილი (4400 მ), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ უღელტეხილს საქართველოს ფარგლებში.ხოხის ქედის შტოქედებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ორწვერის ქედი, რომელზეც აღმართულია მწვერვალი შავნაბადა (3683 მ). ხოხის ქედი აღმოსავლეთით მთავრდება მყინვარწვერის მასივით, რომელსაც გააჩნია საკმაოდ ბევრი მოკლე შტოქედი, მ.შ. ყველაზე მნიშვნელოვანია ბართქორთი და არჩქორთი. მასივის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს მთა ტყარშეტი (3360 მ), რომელსაც გააჩნია ვულკანური აგებულება. მთიდან ეშვება ამავე სახელწოდების ვულკანური ნაკადი, რომელმაც გადაკეტა მდ. თერგის ხეობა, შემდეგ მდინარემ ნაკადი გაჭრა და შექმნა ტყარშეტის კანიონი [5].

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ასევე მდინარე თერგის ხეობის ერთ-ერთი მონაკვეთი კასარა ანუ კასრისხევი, რომელსაც ახასიათებს ვიწრო კლდეკარისებრი მოყვანილობა. კასარას ეროზიული კლდეკარი გაჩენილია მთა მცირე ხორისარიდან ჩამოსული 8 კმ სიგრძის ლავური ღვარის შედეგად. კასარა ვრცელდება 2-3 კმ-ზე.დარიალის ხეობა წარმოადგენს თერგის ხეობის ანტეცედენტურ მონაკვეთს, რომელიც 1000 მ სიღრმეზეა ჩაჭრილი. დარიალის ხეობაში გაშიშვლებულია ზედა პროტეროზოური და პალეოზოური კრისტალური ფიქლები და გრანიტოიდები, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – იურული თიხაფიქლებია. თრუსოს ხეობა მოქცეულია კავკასიონის მთავარსა და ხოხის ქედებს შორის. ხეობის სიგრძეა 25 კმ. მისი უდაბლესი ნაწილი 2000 მეტრზეა ზ.დ. თრუსოს ხეობა აგებულია იურული ფიქალ-ქვიშაქვების ძლიერ დანაოჭებული შრეებით.

ლიტერატურა

[1] მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თსუ. თბ., 1964, გამოცემა I.

[2] უკლება დ., ზარდალიშვილი გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 257-258.

[3] აფხაზავა ი., კვერენჩხილაძე რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 660-662.

[4] აფხაზავა ი., ზარდალიშვილი გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 679-680.

[5] სანებლიძე მ. კვერენჩხილაძე რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 617-618.

თავი 2

მორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები

2.1. შესავალი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. საქართველოს მთიან რაიონებს შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, მისი გეომორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი სახმელეთო-სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა. გეოლოგიური სტიქიის ფართო მასშტაბის განვითარებიდან გამომდინარე, ტერიტორიის ოპტიმალურად ათვისების შესაძლებლობები უკიდურესად გართულებულია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობს ძლიერ დისლოცირებული და ტექტონიკურად ინტენსიურად აშლილი იურული ასაკის თიხა-ფიქლები და ასპიდური ფიქლები ქვიშაქვების ლიმიტირებული მორიგეობით, პალეოზოური გრანიტები და მეტამორფული ფიქლები, მეოთხეულის ასაკის ეფუზიური ანდეზიტ-ბაზალტები და მათი კლასტოლიტები, მძლავრი მყინვარული და ალუვიურ-ფლუვიოგლაციალური ნალექები.

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ტერიტორიის თანამედროვე რელიეფის სახე განპირობებულია ტექტონიკურ-გეოლოგიური აგებულებით და მორფოსტრუქტურული თავისებურებით, სადაც მკვეთრადაა გამოკვეთილი ყველა მორფოლოგიურ-კლიმატური ზონა – ბარის ვაკე-ტერასულიდან და გორაკ-ბორცვიანი დაბალმთიანებიდან დაწყებული, მაღალმთიანი ალპურით დამთავრებული. ტერიტორიის სამი-მეოთხედი მთიანეთს წარმოადგენს, რომლის რელიეფი დიდი დახრილობით, ღრმა ეროზიული ჩაჭრითა (300-1000 მ და მეტი) და ინტენსიური დანაწევრებით (3,5-5კმ²) ხასიათდება და მიეკუთვნება გეოლოგიური პროცესების განმსაზღვრელ მაღალი ენერგეტიკული პოტენციალის რიგს.

თიანეთის მუნიციპალიტეტი. ტერიტორია იკავებს აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრული კალთის საშუალო და მაღალმთიან მთა-ხეობათა ზონას და დაბალმთიანი ივრის ტექტონიკური და ეროზიული ფორმებით გართულებულ მთისწინეთის ზონას. მას დასავლეთიდან ესაზღვრება მდ. არაგვისა და მდ. ივრის სუბმერიდიანული და სუბგანედური მიმართულების ქართლის ქედი, რომლის სიმაღლეები ზღვის დონიდან 1500-3076 მ ფარგლებში მერყეობს. თიანეთის ტერიტორია მთლიანად მდ. ივრის აუზის ზემო და შუა წელშია მოქცეული, რომელიც სათავიდან სოფ. ქვემო არტანამდე სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაედინება, ხოლო შემდეგ სამხრულ მიმართულებას ღებულობს და თიანეთის ქვაბულში ზღვის დონიდან 1080 მ-მდე დაბლდება.

მცხეთის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია ზემო ქართლის ვაკე-ტერასული და ბორცვიან-სერებიანი რელიეფის ზონაში, ნახევრად კონტინენტური ზომიერად თბილი კლიმატით, ტყისპირა და მნიშვნელოვნად გარდაქმნილი ლანდშაფტით. ტერიტორიულად მნიშვნელოვან ფართობს იკავებს მუხრან-საგურამოს ვაკე-ტერასული რელიეფი, რომელიც წარმოადგენს ახალგაზრდა ტექტონიკურ დეპრესიას, ამოვსებულია ზედა პლიოცენური და მეოთხეულის ალუვიონით. ვაკე ზედაპირის სიმაღლე ზღვის დონიდან 500-600მ-ის საზღვრებში მერყეობს და გადაკვეთილია მდ. ქსნისა და მდ. არაგვის ქვემო დინებებით. სოფ. ძეგვთან მდ. მტკვარი შედის ე.წ. ძეგვის კლდეკარში, რომელიც გაჭრილია კვერნაქის სერისა და საწკეპელას ქედის ურთიერთქმედების მონაკვეთში. ძეგვის კლდეკარის გაგრძელებას

მცხეთის ქვემოთ წარმოადგენს გამკვეთი ვიწრო ხეობა, რომელიც ზემო ავჭალამდე მიდის. ქ. მცხეთასთან მდ. მტკვრის ხეობის გაფართოება განპირობებულია მდ. არაგვის ხეობის შემოერთებით.

საქართველოს ტექტონიკური დანაწევრების რუკის [1] მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოიცავს: I – კავკასიონის ნაოჭა (ნაოჭა-შარიაჟული) სისტემის I_1 – მთავარი ქედის ზონის I_1^2 – აღმოსავლეთი დაძირვის (ნაოჭა-მარაოსებრ) ქვეზონას; I_2 – ყაზბეგ-ლაგოდეხის (ნაოჭა-ქერცლებრივ) ზონას; I_3 – მესტია-თიანეთის (ნაოჭა-შარიაჟულ) ზონას; I_3^1 – შოვი-ფასანაურის (ნაოჭა-ქერცლებრივ) ზონას; I_3^2 – ჟინვალი-გომბორის (ალოქტონურ) ქვეზონას; II – ამიერკავკასიის მთათაშუა არეს; და II_3^1 – ქართლის მოლასური ქვეზონის-ბაზალეთის და მუხრან-ტირიფონის ბლოკებს (დანართი 2; 1 გვ.).

საკვლევი არეალის ფარგლებში წარმოდგენილია ნალექები იურულიდან დაწყებული თანამედროვე მეოთხეული ასაკის ქანებით დამთავრებული (დანართი 3; 3 გვ.).

2.2. იურული სისტემა

2.2.1. ქვედა იურული ნალექები

სინემურული სართული (J_{1s}) (კისტინკის წყება). კისტინკის წყების აგებულებაში მონაწილეობას იღებს ასპიდური, ქვიშიანი, ანდალუზიტ-ხიასტოლიტური ფიქლები, წვრილ და საშუალომარცვლოვანი კვარციანი და კვარც-პლაგიოკლაზიანი ქვიშაქვები, მათი სუსტად გაკვარცებული ანალოგები და კვარციტები, კვარციანი გრაველიტები და ქვიშაქვები, შიდაფორმაციული და ბაზალური კონგლომერატები. ვულკანური მასალა სპილიტური ეფუზივებით, სხვადასხვა ზომის პიროკლასტური ნატეხებითა და ურალიტ-ლაბრადორული დიაბაზების სუბვულკანური ბუდინირებული სხეულებითაა წარმოდგენილი. დარიალის ხეობაში გრანიტოიდების ფუნდამენტის შვერილთან თითქმის ყველა მხრიდან კისტინკის წყების სუსტად მეტამორფული დანალექი ქანებია შეხებაში. მდ. ხდეს (ბროლის წყალი) დინების ქვედა ნაწილში და მდ. დევდორაკის (ამალი) მარცხენა ფერდობზე მეტამორფული ფიქლების, ქლორიტიზირებული კვარციტების და ფილიტების იზოლირებული ფრაგმენტების გამოსავლებია დაფიქსირებული, რომლებიც თეთრი ფერის გამარმარილოებული კირქვების ლინზების შემცველია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ფრაგმენტები იურამდელ დანალექ საფარს უნდა წარმოადგენდეს. დანალექი ქანები ნაცრისფერი კვარციანი ქვიშაქვების, რქატყუარიანი გრაფიტიზირებული ფიქლების და დაფიქლებული კვარციტების მორიგეობითაა წარმოდგენილი, რომლებშიც დაფიქლებული ალევროლიტების შუაშრეები და კვარციანი გრაველიტების მცირე ზომის ლინზები აღინიშნება [2].

პლინსბახური სართული (J_{1p}) (წიკლაურის წყება). პლინსბახური ასაკის ნალექებით აგებულია კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდის მაღალმთიანი ნაწილი, რომელიც ყაზბეგის, ბაჩახის, ყუროს, შანის, კორას სიმაღლეებს მოიცავს და წარმოდგენილია წიკლაურის წყების ფიქლებიან-ვულკანოგენური წარმონაქმნებით. აღნიშნული ნალექები მეტნაკლებად ფართო გავრცელებით მდინარეების თერგის, ხდეს (ბროლის წყალი), შონდონისა და ასას ხეობების დინების ზედა ნაწილებშია გავრცელებული. სამხრეთიდან ეს ნალექები შეცოცების ტიპის რეგიონალური ტექტონიკური აშლილობებითაა შემოსაზღვრული, რომელთაც სამხრეთით დახრილი რკალისებური ფორმა ახასიათებს, ხოლო ჩრდილოეთი მხრიდან ამ ნალექებს თანხმობით ადევს ტოარსული ასაკის წარმონაქმნები, რომლებიც ჩაჩხოხის მთის, ოხკურის ქედის და ტეხკორტის მთის სიახლოვეს ზოლის სახით გაუყვება.

სამხრეთით, პლინსბახურ ნალექებში, ტოარსული წარმონაქმნები მხოლოდ სინკლინების გულში, შანის და ზეტუკის მთების დასავლეთით ფიქსირდება. პლინსბახური ნალექების სიგანე ცენტრალურ ნაწილში 16 კმ-ს აღწევს. პლინსბახური ასაკის ნალექები სტრუქტურულ ჭრილში დიდი კავკასიონის მსხვილი გეოტექტონიკური ზონის ანტიკლინორიუმს მიეკუთვნება, რომლებიც რთული შიდა აგებულებით გამოირჩევა, რაც ნალექების მრავალჯერადი დეფორმაციითაა გამოწვეული [2].

პლინსბახური ასაკის ქვიშაქვიან-ფიქლებრივ-ვულკანოგენური ნალექები ზედაპირზე გადარეცხილია და ხაზობრივი ასიმეტრიული შეკუმშული ნაოჭებითაა წარმოდგენილი, რომლებსაც სამხრეთით დახრილი შევიწროებული ნაოჭის ღერძები და ფართო ფრთები ახასიათებს. მათი სიგანე 1-6 კმ-ია, ხოლო სიგრძე 18 კმ-მდე აღწევს. ნაოჭა სტრუქტურები აქ მკვეთრად განსხვავდება კავკასიონის ტერიტორიაზე გავრცელებული ნაოჭებისაგან, რაც მდინარეების თერგისა და ტანიეს შორის გავრცელებულ სტრუქტურებშია გამოხატული, სადაც ისინი კავკასიონისათვის მახასიათებელი მიმართულებიდან სწრაფად იცვლება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და შემდეგ კვლავ ჩრდილო-დასავლური მიმართულებით მიუყვება, რაც მათი განივი ფლექსურული გადაღუნვით გამოიხატება, რომელიც მეორე და მესამე რიგის ნაოჭებით გართულებული პირველი რიგის ნაოჭებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული სტრუქტურები სხვადასხვა გენეზისის მრავალრიცხოვანი რღვევებითა და აშლილობებითაა დასერილი და სტრუქტურების ღერძების გასწვრივი კლივაჟებია დამახასიათებელი, რომლებთანაც დიაბაზების მრავალრიცხოვანი დაიკებია დაკავშირებული. პლინსბახური ასაკის ნალექების ლითოლოგიური ჭრილი მდ. თერგის აუზში მთავარი ქედის ანტიკლინორიუმის სამხრეთ ფრთაზეა გამოხატული [2].

ტოარსული სართული (J1t) (ყაზბეგის წყება). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ტოარსული ასაკის ნალექები ჩრდილო ნაწილში შესხლეტვა-შეცოცების ხასიათის ორ რეგიონულ რღვევას შორის არის მოქცეული და ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონის ქვედა და შუა იურული თიხაფიქლების ჩრდილო ნაწილს მოიცავს. ამ ნალექების ზოლი ხევსურეთის ტერიტორიაზე 15-17 კილომეტრამდე ფართოვდება, ხოლო დასავლეთით, სტეფანწმინდის სამხრეთით სოფ. ხევთან ვიწროვდება და 6-7 კმ-ს არ აღემატება. ამავე ასაკის ნალექებითაა აგებული ხევსურეთის არაგვის ორივე ფერდობი, მდ. სნოსწყალი, მდ. წირწლოვანისწყლისა და მდ. წყაროსთავის დინებების ზედა ნაწილი, ასევე, მდ. თერგის ხეობაში სოფ. გერგეთის და სოფ. სნოს შორის ტერიტორია. ამავე ნალექებითაა აგებული შანის მთასა და უღ. საჯიხვისღელეს ტერიტორიაზე არსებული სინკლინური ნაოჭების გული, აგრეთვე მდ. ლიკიკისა და მდ. აკუშოსწყლის დინების ზედა ნაწილში განვითარებული ანტიკლინების თაღები.

საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო ნაწილში მდ. ასასა და მდ. შანდონს შორის აღნიშნული ასაკის ნალექები აქ არსებული ქედის ჩრდილო ფერდის ამგები ქანებია. სამხრეთით ეს ნალექები ხშირად აალენური ასაკის წარმონაქმნებითაა გადაფარული, რის გამოც ამ ნალექების გამოსავლები მდინარეების ღრმად ჩაჭრილ ხეობებში ფიქსირდება (მდინარეები ართხმოსწყალი, ქვენამთისწყალი და სხვა) [2].

კავკასიონის მთავარ ქედზე, არხოტის უღელტეხილის ფარგლებში ფაუნისტურად დათარიღებული აალენური სართულის ნალექები სინკლინური ნაოჭების გულში გამოდიან, რომელთა ფრთები ზედატოარსული ასაკის ქვიშაქვიან-ფიქლებიანი ნალექებითაა წარმოდგენილი. ანალოგიური ჭრილი აღინიშნება ჭაუხის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმ განსხვავებით, რომ აქ ნაოჭის ფრთების ორივე მხარე ყაზბეგის წყების ნალექებითაა აგებული, რომლებიც რეგიონალური რღვევის მიერაა მოკვეთილი. მდ. ხევსურეთის არაგვის აუზში გ.

ჩიხრაძეს [3] ყაზბეგის წყების ანალოგიური ნალექები „ხახმატის წყების“ სახელით აქვს გამოყოფილი, ამ წყების ლითოლოგიური შედგენილობა სავსებით ემთხვევა ყაზბეგის წყებას. ამის გარდა, ეს ნალექები მიმართებაზე ერთმანეთის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ყაზბეგის წყების თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების ერთობლივი სიმძლავრე 1300-1400 მეტრია, რომელიც ლითოლოგიური სახესხვაობით ორ ქვეწყებად იყოფა: ერთი, რომელიც საკუთრივ თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი; და მეორე, რომელიც თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების მორიგეობითაა წარმოდგენილი [2].

წყების ქვედა საზღვარი ზედა პლინსბახური სართულის ნალექებთან ერთად საკვლევი ტერიტორიის დიდ ნაწილზე შესხლტეტვა-შეცოცების ტიპის რეგიონალური რღვევის გასწვრივ გადის, რომელსაც ყაზბეგისა და კოლოტანას მონაკვეთში არსებული ქედის სამხრეთ ფერდზე რკალისებური ფორმა ახასიათებს. საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო ნაწილში წიკლაურის წყების წარმონაქმნები თანდათანობით გადადის ყაზბეგის წყების ნალექებში. ხევსურეთის არაგვის აუზში მდინარეები სნოსწყალი, ართხმოსწყალი, ქვენამთისწყალი და სხვა, რომლებიც ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონას მოიცავს, თიხაფიქლებიანი და ქვიშაქვებიანი წარმონაქმნებითაა წარმოდგენილი. პლინსბახური სართულის ნალექების კონტაქტი ქვეფენილ ნალექებთან არ შეინიშნება. ყაზბეგის წყების ქვედა ჰორიზონტების ნალექების ლითოლოგიური შედგენილობა წიკლაურის წყების ზედა ნაწილისაგან ლითოლოგიურად თითქმის არ განსხვავდება [2].

2.2.2. შუა იურული ნალექები

აალენური სართულის (**J$_{2a}$**) ნალექების გამოსავლები მდ. არაგვისა და მდ. არყალას შესართავთან, ხოლო მდ. ქსნის აუზში მდ. ალეურას შესართავთანაა გაშიშვლებული, სადაც ისინი ანტიკლინური ნაოჭების გულის ამგები ქანებია და კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეების შემცველი მუქი ნაცრისფერი და შავი ფერის თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი. ამ ნაოჭების ორივე ფრთაზე კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვები გამოდის, რომლებიც თიხაფიქლების თხელ შუაშრეებს შეიცავს. აღმავალ ჭრილში სამხრეთით პორფირიტული წყების გამოსავლები ფიქსირდება, რომლებიც აალენური ნალექების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ნაოჭების ჩრდილო ფრთებზე სორის წყების ნალექებს ტრანსგრესიულად ადევს ზედა ეოცენური წარმონაქმნები. სორის წყების ნალექები მდ. ქსნის ხეობიდან აღმოსავლეთით მდ. არაგვის ხეობამდე უწყვეტ ზოლადაა გავრცელებული. ეს გამოსავლები სამხრეთი მხრიდან ისაზღვრება შეცოცებით, სადაც სორის წყების ნალექები პალეოგენური და ნეოგენური ასაკის ნალექების სხვადასხვა ჰორიზონტებზეა შეცოცებული. მდინარეების – ქსნის, ბუნალას და ნარეკვავის ხეობებში ჩრდილო მიმართულებით აღმავალ ჭრილში ქვიშიან-თიხაფიქლებიანი წყება თანდათანობით ბაიოსური პორფირიტული წყებით იფარება, ხოლო აღმოსავლეთით – თანდათანობით ისოლება ტრანსგრესიული ზედა ეოცენური ნალექების ქვეშ, რომლებიც მდ. ნარეკვავის აღმოსავლეთით უშუალოდ სორის წყებაზეა განფენილი. ქვიშაქვიან-თიხაფიქლებიანი ნალექები ლითოლოგიური შედგენილობით ორ ნაწილად იყოფა. ქვედა ნაწილი ძირითადად ნაცრისფერი, მუქინაცრისფერი, მომწვანო ნაცრისფერი, მოყავისფრო თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი და ქარსიანი ქვიშაქვების შუაშრეებს შეიცავს. მათი სიმძლავრე 180-200 მეტრია. წყების ზედა ნაწილი სქელშრეებრივი კვარც-არკოზული ქვიშაქვებითაა წარმოდგენილი, რომლებიც თიხაფიქლების შუაშრეებს შეიცავს. ქვიშაქვები ნაცრისფერი და ღია ნაცრისფერია, მკვრივი, წვრილ და

საშუალომარცვლოვანია; შედგება კვარცის, მიკროკლინის, მჟავე პლაგიოკლაზის მარცვლებისაგან და მუსკოვიტისა და ბიოტიტის ქერცლებისაგან [2].

დასავლეთით, ხევსურეთის ტერიტორიაზე აალენურ სართულს ორი დასტა შეესაბამება: ქვედა დასტა, რომელიც გ. ჩიხრაძემ და ზ. ქოქრაშვილმა [4] გამოყვეს და ხახმატის წყების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ წყებაში საშუალო და სქელშრეებრივი წვრილ და საშუალო მარცვლოვანი კვარც-პლაგიოკლაზიანი ქვიშაქვები დომინირებს. მათგან ზოგი თიხაფიქლების წვრილ ნამსხვრევებს და ფლიშურ ფიგურებს შეიცავს. ქვიშაქვებს ირიბშრეებრივი ტექსტურა ახასიათებს და ამით გამოირჩევა ჩვეულებრივი ქვიშაქვებისაგან. თიხაფიქლებს მოკრძალებული ადგილი უჭირავს, რომლებიც ცალკეული დასტების სახით ან შუაშრეების სახით გვხვდება. ამ ნალექებში შეინიშნება გამკვრივებული თიხისაგან წარმოქმნილი კონკრეციების არსებობა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პირიტის წვრილი კრისტალებითა და სიდერიტითაა შევსებული.

სამხრეთით განლაგებული ზედა დასტის ნალექები გუდანის წყებად არის მიჩნეული. ის თიხაფიქლებით, ხშირად ალევროლიტური ფიქლებით არის წარმოდგენილი, რომლებიც თხელშრეებრივი და ზოლებრივი ქვიშაქვების შუაშრეებს და თიხოვანი სიდერიტების სხვადასხვა ზომის და ფორმის კონკრეციებს შეიცავენ. აღნიშნული ნალექების საერთო სიმძლავრე 500 მეტრს არ აღემატება.

დათვისჯვრის უღელტეხილზე თიხაფიქლებს შორის ნაპოვნია განამარხებული ფორმა, სადაც საშუალო და სქელშრეებრივი ქვიშაქვების შრეებია დაფიქსირებული. აღნიშნული ადრე აალენური ფორმა აგრეთვე ნაპოვნია კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით, მდინარეების არღუნისა და გულიჭალას შენაკადთან სინკლინური სტრუქტურების გულში, რომლებიც თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი.

ბაიოსური სართული (J$_{3b}$) (პორფირიტული წყება). ვულკანოგენური წყება მდ. ქსნის ხეობიდან აღმოსავლეთით სოფ. ჯვარისუბნამდე ვრცელდება. მისი მაქსიმალური სიმძლავრე 500-600 მეტრია. მკვლევრების მონაცემების მიხედვით ნაოჭის სამხრეთ ფრთაზე ბაიოსი სპილიტების ტუფოლავებით იწყება, რომელსაც ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტები მოყვება და ჭრილი კვარც-არკოზული ქვიშაქვებით მთავრდება. ე. გამყრელიძის [5] მონაცემების მიხედვით, კვარც-არკოზული ქვიშაქვები სორის წყების ქვიშაქვებისაგან არ განსხვავდება. ამ ქვიშაქვებითაა აგებული სინკლინური ნაოჭის გული, რომლის სამხრეთი ფრთა რღვევითაა გაკვეთილი და ქვიშაქვები ავგიტ-ლაბრადორიან პორფირიტებზეა შეცოცებული.

ბათური სართული (J$_{2bt}$) (შევარდენის წყება). საკვლევ ტერიტორიაზე შევარდენის წყება თანხმობითაა განფენილი ბურსაჭირის წყებაზე. იგი თრუსო-თიბის რღვევის გასწვრივ სამხრეთით გადახრილი ანტიკლინების ფრთებზეა გაწოლილი. ამ სართულის გამოსავლები დაფიქსირებულია მდ. თერგის ხეობაში სოფ. კობის მიდამოებში, მდ. თერგის მარჯვენა შენაკადში და მდ. ბაკურხევისა და მდ. შავი არაგვის ხეობების აუზებში. წყება მუქი-ნაცრისფერი თიხაფიქლების დასტებითაა წარმოდგენილი, რომელიც მუქი ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და ქვიშიანი კირქვების შუაშრეებს შეიცავს.

წყების ხილული სიმძლავრე 250-300 მეტრია, მაგრამ შესაძლოა უფრო მეტიც იყოს. მისი რეალური სიმძლავრის დადგენა ვერ ხერხდება იმის გამო, რომ რეგიონში თრუსო-თიბის მძლავრი რეგიონალური შეცოცების შედეგად, რღვევის ზოლში აღნიშნული ნალექები ზედა იურული ასაკის კარბონატულ ფლიშზეა შეცოცებული. ლითოლოგიური შედგენილობით შევარდენის წყება პირობითად შეიძლება დაიყოს **ორ ნაწილად: ქვედა** – მუქი ნაცრისფერი და შავი ფიქლების დასტები, რომლებიც შავი ფერის არგილიტების იშვიათ შუაშრეებს და ლინზებს შეიცავს, გარდა ამისა, ერთეულ დასტებში საშუალო და თხელშრეებრივი ქვიშაქვების

შუაშრეებიც ფიქსირდება **და ზედა** – კარბონატული ნაწილი, რომელიც მუქი ფერის თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი და კარბონატული ქვიშაქვების და ქვიშიანი კირქვების შუაშრეებსა და ლინზებს შეიცავს [2].

2.2.3. შუა და ზედა იურული ნალექები.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში კარბონატული ფლიშის ნალექები დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდზე მნიშვნელოვან ტერიტორიაზეა გავრცელებული, რომლებიც მესტია-თიანეთის ზონაში შოვი-ფასანაურის ქვეზონის ჩრდილო (გუდამაყრის) ნახევარს მოიცავს და მძლავრი დასტების სახით აგრძელებს ყაზბეგი-ლაგოდეხის ზონის ქვედა და შუა იურულ ქვიშიან-თიხაფიქლებიან სერიას [2].

კალოვიური სართული და ოქსფორდული სართულის ქვედა ქვესართული (J_2k-J_3O_1) (ნაროვანის წყება). ამ სართულის ნალექები თიბი-თრუსოს რეგიონალური რღვევის გასწვრივ მდ. თერგსა და მდ. ბაკურხევს შორის ტერიტორიაზე, მდინარეების – დათვისხევის, საჩალისჭალისა და ნაროვანის ხეობებში ჩრდილო-დასავლური გავრცელების ანტიკლინური ნაოჭების თაღებში დასტების სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ნალექები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ვიწრო ზოლის სახით გამოდის ზედაპირზე და მათი სიგრძე 300-400 მეტრს არ აღემატება. ლითოლოგიური შედგენილობით ეს ნალექები სუსტად კარბონატული თიხაფიქლებითაა წარმოდგენილი და კირქვების შუაშრეებს შეიცავს. ზოგ შემთხვევაში ქვიშაქვები სუსტად კარბონატულია; მათში მუქი ნაცრისფერი, სუსტად კარბონატული თიხაფიქლების თხელი შუაშრეები გამოერევა. ნაროვანის წყების სავარაუდო სიმძლავრე 280-300 მეტრია [6].

ოქსფორდული სართულის ზედა ქვესართული (J_3O_2) (კასარას წყება). ნაროვანის წყება აღმავალ ჭრილში თანხმობით იცვლება მუქი ფერის მერგელების და მერგელოვანი ფიქლების დასტების მორიგეობით, რომლებიც კირქვების შუაშრეებს შეიცავენ. ამ ქანების ზედაპირზე გამოსავლები გუდამაყრის ქვეზონის ტერიტორიაზე გავრცელებულია მდ. ართხმოსწყლისა და მდ. ხადისწყლის ხეობებში, ხოლო მდ. დათვისხევის მარჯვენა ფერდზე მსხვილი ანტიკლინური ნაოჭების თაღის და ფრთების ამგები ქანებია. აღნიშნული წყების სრული ჭრილი განსაკუთრებით მდ. ბაკურხევის ხეობაშია გამოკვეთილი. კასარას წყების ნალექები ძლიერ დისლოცირებულია, რის გამოც ზემოთ აღწერილი მდინარეების აუზებში დიდი ფართობი უკავია, სადაც ერთეული ზოლის სიგანე 3,5-4 კმ-ს აღწევს. აღნიშნული წყება ძირითადად მუქი ნაცრისფერი და შავი შეფერილობისაა და წარმოდგენილია საშუალო და სქელშრეებრივი დაფიქლებული მერგელებით და შედარებით ნაკლები რაოდენობის კარბონატული თიხაფიქლებითა, რომელთა სიმძლავრე რამდენიმე მეტრს აღწევს. ამ დასტებში რითმულ მორიგეობაში იმყოფება მომწვანო მუქი ნაცრისფერი დაფიქლებული პელიტომორფული ქვიშიანი კირქვების და კარბონატული ქვიშაქვების თხელი შუაშრეები. აღმავალ ჭრილში ნათლად ჩანს, რომ ჭრილის ქვედა ნაწილში დაფიქლებულ მერგელეთან ერთად დაფიქლებული კირქვები მორიგეობს, ხოლო ზედა ნაწილში დაფიქლებული და ქვიშიანი კირქვები უტოლდება მერგელების, კარბონატული და არაკარბონატული თიხაფიქლების რაოდენობას [6].

კიმერიჯული სართული (J_3km) (დუმაცხოს წყება). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მასიური კირქვები, მათი ბრექჩიები და კონგლომერატები, რომლებიც მერგელების შუაშრეებს შეიცავს, დუმაცხოს წყების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ნალექებით არის აგებული კაწალხევის და ვანხევის მსხვილი სინკლინური ნაოჭების ფრთები და ამავე სახელწოდების

ანტიკლინური სტრუქტურების თაღები. გარდა ამისა, დუმაცხოს წყების ნალექები გუდამაყრის და უბისთავის ქედების თხემურ ნაწილებში სინკლინური ნაოჭების გულის ამგები ქანებია, ხოლო მდ. მილიონას და მდ. ხადისწყლის ხეობების ზედა ნაწილში, კასარას წყების ნალექების პარალელურად, ვიწრო 250-300 მეტრის სიგანის ზოლად მიუყვება. დუმაცხოს წყების ნალექები ძლიერ დაწვრილნაოჭებულია და გუდამაყრის ქვეზონის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, სადაც შედარებით კარგი გამოსავლებია ზედაპირზე დაფიქსირებული მდ. ბაკურხევისა და მდ. ფშავის არაგვის ხეობებში [2].

ტიტონური სართული (J₃t) (წიფორის წყება). წიფორის წყების ნალექები წყალგამყოფი ქედების თხემებზე სინკლინური ნაოჭების გულის ამგები ქანებია, რომლებიც მეტნაკლებად სრული სახით საორბეს მთაზე და მდ. ართხმოსწყლისა და მდ. ხადისწყლის წყალგამყოფებზე, ვანხევისა და კაწალხევის სინკლინების გულშია წარმოდგენილი.

აღნიშნული წყება ერთგვაროვანი, უმეტესად თანაბარმარცვლოვანი, მუქი ნაცრისფერი კირქვებითა და იშვიათად მუქი ნაცრისფერი დაფიქლებული მერგელებითაა წარმოდგენილი. ამავე ნალექებში კირქვები ზოგ შემთხვევაში ქვიშიანია, ხოლო მერგელები გადადის თიხაფიქლებში. წყების ქვედა ნაწილში იშვიათად ბრექჩირებული და ორგანული ნივთიერებების შემცველი კირქვების შუაშრეები და ქვიშიანი კირქვების დასტების ბუდობებია დაფიქსირებული. წყების საერთო სიმძლავრე 300-350 მეტრამდეა [2].

2.3. ცარცული სისტემა

2.3.1. ქვედა ცარცული ნალექები

ბერიასული სართული (K₁b) (მლეთის წყება). დუმაცხოს წყების სამხრეთით, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, განივი ტექტონიკური აშლილობის გასწვრივ, თითქმის შავი ფერის დაფიქლებული მერგელები, მერგელოვანი ფიქლების დასტები და მკვრივი ქვიშიანი კირქვების შრეებია გავრცელებული. ძირითადი ქანების გამოსავლები მდ. კაწალხევის მარცხენა ფერდზე, მისი მარცხენა შენაკადების ხეობებსა და ლუთხუბის ხეობაშია გავრცელებული. აღნიშნულ წყებას მკვლევრები შავი მერგელების წყებად მოიხსენიებენ. წყების ქვედა ნაწილი ჩირიკის შეცოცებითაა მოკვეთილი და მისი არასრული სიმძლავრე 260 მეტრია. მლეთის წყების ქვედა ნაწილისათვის საშუალო და სქელშრეებრივი თიხიანი მერგელებია დამახასიათებელი, რომლებიც ზედა ნაწილში თიხაფიქლებში გადადის. წყებაში თხელი და საშუალოშრეებრივი ნაცრისფერი კარბონატული ქვიშაქვები და ქვიშიანი კირქვები შედარებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება. ხოლო თიხიანი კირქვების 4,5-30 სმ-ის სიმძლავრის შრეები იშვიათობას წარმოადგენს [2].

ვალანჟინური სართული (K₁v) (ედისის წყება). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ედისის წყების ნალექები თანხმობითაა განლაგებული ქვეშ მდებარე მლეთის წყების წარმონაქმნებზე. აღნიშნული წყება თავისი სტრატიგრაფიული დონის მიხედვით ბაცი ფერის მერგელოვანი წყების ქვედა ნაწილს წარმოადგენს. ედისის წყება ლითოლოგიურად ერთგვაროვანი ნაცრისფერი, ქვიშიანი და თიხიანი კირქვებისგანაა წარმოდგენილი, რომლებშიც მერგელების და იშვიათად ქვიშაქვების შუაშრეები გამოერევა. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ედისის წყების ნალექები სხვა ნალექებისგან მკვეთრად განსხვავდება და მიმართებაზე ფაციალურ ცვლილებებს არ განიცდის. ეს ნალექები ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე დიდი გავრცელებით არ სარგებლობს. მათი იზოლირებული გამოსავლები ზედაპირზე მხოლოდ მდ. კაწალხევის მარჯვენა ფერდზე, მდ. ლუთხუბის ხეობაში და საორბეს მთის სამხრეთით გუდამაყრის ქედზე

აღინიშნება, სადაც ისინი ანტიკლინური სტრუქტურების გულის ამგები ქანებია. ედისის წყება მიმართებაზე ვალანჟინ-ჰოტრივული ასაკის ბაცი ფერის მერგელოვანი წყების ქვედა ნაწილს ებმის, რომელიც მდ. დიდი ლიახვის აუზშია გამოყოფილი და სტრატიგრაფიული დონითაც მისი შესატყვისია. აღნიშნული ნალექები ჭრილის ზედა ნაწილში თანხმობით და თანდათანობით ბახანის წყების კარბონატულ-ტერიგენულ ფლიშურ ნალექებში გადადის [2].

ჰოტრივული სართულის *ქვედა ქვესართული (K₁h₁)* (ბახანისა და ჟამურის წყებები). საკვლევ ტერიტორიაზე **ბახანის წყება** ფართო გავრცელებით სარგებლობს. ეს ქანები, რომლებიც მრავალრიცხოვან მცირე ნაოჭებშია თავმოყრილი მდ. მაგაწალხევისა და მდ. გომეწრულას დინების ზედა ნაწილში, სოფ. მიგრიაულთას და სოფ. დიხჩოს მიდამოებში, სახარნოს ქედზე, დიხჩამთას და საცხარეს ხეობაში ფართო ზოლის სახითაა წარმოდგენილი. იგი ტერიგენულ-კარბონატული ნალექებითაა წარმოდგენილი და ლითოლოგიური შედგენილობით შესამჩნევად განსხვავდება ზედა იურული და ქვედა ცარცული კარბონატული წყების ნალექებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ბახანის წყების ქანები და ქვეშ მდებარე მლეთის წყების ქანები თითქმის ერთგვაროვანია, ბახანის წყებაში თიხიან-ქვიშიანი ტერიგენული მასალის მოჭარბებაა დაფიქსირებული. აღნიშნული ნალექები ნაცრისფერი და მუქი ნაცრისფერი დაფიქლებული მერგელებისაგან, მერგელოვანი თიხებისაგან, იშვიათად თიხაფიქლებისაგან, კვარციან-პლაგიოკლაზიანი და კვარც-ქარსიანი კარბონატული ქვიშაქვებისგან და თიხიან-ქვიშიანი კირქვებისაგანაა წარმოდგენილი. წყების სიმძლავრე 260 მეტრიდან 355 მეტრის ფარგლებში მერყეობს [2].

ჟამურის წყების ნალექები მდ. დიდი ლიახვის აუზიდან მდ. ივრის ხეობამდეა გადაჭიმული, რომლებიც ტერიგენულ და კარბონატულ ფლიშს შორის გარდამავალ წყებად იქნა გამოყოფილი. წყება ლითოლოგიურად მუქი ნაცრისფერი და შავი ფერის თიხაფიქლებითა და მერგელოვანი ფიქლებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ნაცრისფერ წვრილმარცვლოვან, კარბონატულ, კვარციტისებურ ქვიშაქვების შუაშრეებს შეიცავს. მერგელების შუაშრეები ძალიან იშვიათად გვხვდება და ისიც წყების ქვედა ნაწილში. წყების სიმძლავრე 65 მეტრიდან 85 მეტრის ფარგლებში ცვალებადობს [2].

ჰოტრივული სართულის *ზედა ქვესართული* და ბარემული სართული (K₁h₂-br) (ფასანაურის წყება). ჟამურის წყება თანდათანობით მუქი ნაცრისფერი თიხაფიქლების და ნაცრისფერი კვარციანი ქვიშაქვების მორიგეობით იცვლება. წყების სიმძლავრე 500 მეტრს აღწევს. ეს ნალექები ვ. რენგარტენის [7] მიერ დაბა ფასანაურთან ფასანაურის წყების სახელით იქნა გამოყოფილი, სადაც ისინი სინკლინური ნაოჭების აგებულებაში იღებენ მონაწილეობას. გასულ საუკუნეში რიგი მკვლევრებისა ფასანაურის წყებას ორ ნაწილად ყოფდნენ. ქვედა ნაწილი კარბონატული ქვიშაქვებისა და მერგელოვანი ქანების მორიგეობას წარმოადგენდა, რომელიც არაკარბონატული თიხაფიქლების შუაშრეებს შეიცავდა, ხოლო ზედა ნაწილი არაკარბონატული ქვიშაქვებისა და თიხაფიქლების მორიგეობას წარმოადგენდა. უფრო მოგვიანებით კი მკვლევრებმა აღნიშნული წყება სამ ქვეწყებად გაყვეს [2].

აპტური სართული (K₁a) (დგნალის წყება). საკვლევ ტერიტორიაზე დგნალის წყება თანხმობით ადევს ფასანაურის წყებას, რომელიც სინკლინური ნაოჭების ამგები ნალექებისგან შედგება. დგნალის წყების ნალექები ძირითადად თიხაფიქლების და ქვიშაქვების მორიგეობითაა წარმოდგენილი, სადაც ქვიშაქვებს თიხაფიქლების რაოდენობა სჭარბობს. მიუხედავად ამისა, ამ ნალექებში ქვიშაქვები მაინც სახელმძღვანელო ნალექებად ითვლება. ქვიშაქვების საგებში ფლიშური ფიგურები ფასანაურის წყების ქვიშაქვებთან შედარებით

კარგადაა გამოკვეთილი. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში დგნალის წყების სიმძლავრე 450-550 მეტრია, ზოგ ადგილას კი 200-250 მეტრამდე მცირდება [2].

ალბური სართული (K_1al) (ნავთისხევის ანუ პავლეურის წყება). ნავთისხევის წყება თითქმის ყველგან თან სდევს დგნალის წყების გავრცელების არეალს და ყველა ნაოჭის აგებულებაში მონაწილეობს, სადაც კი დგნალის წყების ნალექებია გავრცელებული. წყება ფერადი (მომწვანო, მოყავისფრო და ნაცრისფერი) თიხოვან-მერგელოვანი ფიქლებითა და არგილიტებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ღია ნაცრისფერი სხვადასხვა ზომის მარცვლოვანი კარბონატული ქვიშაქვების და ზოგჯერ წვრილნატეხოვანი კონგლომერატ-ბრექჩიების შუაშრეებს შეიცავს. პირველად ეს ნალექები ვ. რენგარტენის [7] მიერ იქნა გამოყოფილი საქართველოს სამხედრო გზაზე სოფ. პავლეურთან და ამიტომ პავლეურის წყების სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო ნ. ვასოევიჩმა [8] ანალოგიური წყება მთიან კახეთში ნავთისხევის წყების სახელით გამოყო. შოვი-ფასანაურის ქვეზონაში ნავთისხევის წყების ნალექები ტერიგენულ-კარბონატული ფერადი წარმონაქმნებითაა წარმოდგენილი და შედარებით წვრილმარცვლოვანია, ვიდრე ჟინვალ-გომბორის ქვეზონაში [2].

2.3.2. ზედა ცარცული ნალექები

სენომანური სართულის ქვედა ქვესართული (K_{2s_1}) (უკუღმართის წყება). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში უკუღმართის წყება სხვა წყებებისაგან ადვილი გასარჩევია. იგი ძირითადად სქელ და საშუალოშრეებრივი ქვიშაქვებისაგანაა აგებული, რომლებიც არგილიტებთან, მერგელებთან და თიხაფიქლებთან მორიგეობს. წყება მკვეთრად განსხვავდება როგორც ქვეშ მდებარე ნავთისხევის ფერადი შრეებისაგან, ისე ზემოთ მდებარე ანანურის წყებიდან, რომლებიც კაჟებისა და გაკაჟებული ქანებითაა აგებული. მთიულეთის ქვეზონაში უკუღმართის წყება თანხმობითაა გაწოლილი ნავთისხევის წყებაზე. ამ ნაწილში წყებების ერთმანეთისაგან გამოყოფა გაძნელებულია, რადგან ნავთისხევის წყებების ქანები ხშირად კარგავს მათთვის დამახასიათებელ შეფერილობას. ამ შემთხვევაში მათ შორის საზღვარს პირველი სქელშრეებრივი, უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების გამოჩენისთანავე ატარებენ, რომელთა საგებში დგნალის და ნავთისხევის ქვიშაქვებისთვის დამახასიათებელი ფლიშური ფიგურები კარგად არაა გამოხატული. არღუნ-ჟინვალის ქვეზონაში უკუღმართის წყება უხეში ფაციესითაა წარმოდგენილი. წყება კონგლომერატებით ან კონგლომერატ-ბრექჩიებით იწყება, ხანდახან გვხვდება ლოდბრექჩიებიც. მდინარე არაგვის აუზში, დაბა ანანურთან, უკუღმართის წყებაში გვხვდება კონგლომერატების დასტების და გრაველიტების შუაშრეები [2].

სენომანური სართულის ზედა ქვესართული და ტურონული სართულის ქვედა ქვესართული (K_{2s_2}-t_1) (ანანურის წყება). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ანანურის წყება ყველგან თანხმობით მოსდევს უკუღმართის წყებას და ერთსა და იმავე ადგილებში არის გაშიშვლებული. ანანურის წყების ზედა და ქვედა ნაწილი გაკაჟებული ქანებითაა წარმოდგენილი, ხოლო შუა ნაწილში შავი ფერის კაჟები ან გაკაჟებული ქანები დომინირებს. მთიულეთის ქვეზონაში წყების სიმძლავრე 8-9 მეტრიდან 15-20 მეტრის ფარგლებში მერყეობს. წყების ქვედა დასტა გაკაჟებული მერგელებითა და არგილიტებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ქვიშაქვების შუაშრეებს შეიცავს. ასევე გვხვდება შავი და მოცისფრო ფერის კაჟების შუაშრეებიც. შუა დასტა შავი ფერის კაჟებითაა აგებული, სადაც მოცისფრო-მონაცრისფრო ზოლებრივი კაჟების და შავი გაკაჟებული ფიქლების შუაშრეები გამოერევა. ზედა დასტა გაკაჟებული, სუსტად კარბონატული მერგელებით, ქვიშაქვებითა და ფიქლებითაა აგებული.

დასტის ზედა ნაწილში გაკაჟებული მერგელების და თეთრი ფერის გაკაჟებული პელიტური კირქვების მორიგეობა აღინიშნება, რომელშიდაც თიხა-ფიქლების შუაშრეებიც გამოერევა [2].

ტურონული სართულის ზედა ქვესართული (K$_2$t$_2$) (მარგალიტისკლდის წყება). მარგალიტისკლდის წყება თავისი წითელი შეფერილობით სხვა წყებებისაგან ადვილად გამოსარჩევია. უმეტეს შემთხვევაში მარგალიტის კლდის წყება თანხმობითაა გაწოლილი ანანურის წყების ზედა ნაწილზე. მხოლოდ ერთეულ ადგილებში, განსაკუთრებით ქვედა ფაციალურ ზონაში გვხვდება წყების ტრანსგრესიული განლაგება. მთიულეთის ქვეზონაში წყება მოყავისფრო-წითელი ფერისაა, იშვიათად მომწვანო ნაცრისფერი მარცვლოვანი კირქვების, პელიტომორფული კირქვების, მერგელების და ფიქლების რითმული მორიგეობითაა წარმოდგენილი. არღუნ-ჟინვალის ქვეზონაში მარგალიტისკლდის წყების ნალექები მოყავისფრო-წითელი და მოვარდისფრო კირქვების, მერგელებისა და ფიქლების მორიგეობითაა წარმოდგენილი. ჩრდილო ქვეზონისაგან განსხვავებით, აქ წყების აგებულებაში ქვიშაქვები, მიკრო კონგლომერატები და კონგლომერატები დიდ როლს თამაშობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ადგილას წითელი კაჟების და ტუფოგენური ქანების შუაშრეებიც ფიქსირდება [6].

კონიაკური და სანტონური სართული (K$_2$kn-St) (ეშმაკისხევის წყება). საკვლევ ტერიტორიაზე ეშმაკისხევის წყება მკვლევრების მიერ ორ ნაწილადაა გაყოფილი. ქვედა ნაწილი კირქვების, მერგელებისა და ფიქლების მორიგეობითაა წარმოდგენილი, რომლებისთვისაც ხშირად ლითოგრაფიული კირქვებია დამახასიათებელი. კირქვები საშუალო და სქელშრეებრივია, მოთეთრო-ნაცრისფერია მომწვანო ელფერით, მკვრივია და ნიჟარისებური მონატეხი ახასიათებს; მათში კარბონატულობა 90-95%-ია. მერგელები შედარებით რბილია, ძირითადად საშუალო და თხელშრეებრივი. თიხები მომწვანო ნაცრისფერია, ზოგ შემთხვევაში – ფურცლოვანი, ისინი ყველგან თხელშრეებრივია. სამხრეთით არღუნ-ჟინვალის ქვეზონაში ეშმაკისხევის წყების ნალექები მხოლოდ ერთეულ ადგილებშია გაშიშვლებული. ადრე ჩატარებული კვლევების მონაცემების მიხედვით მდ. ალეურას აუზსა და სამების მთის მიდამოებში აღნიშნული ნალექები მცირე სინკლინური ნაოჭების გულის ამგები ქანებია. აქ ისინი მარგალიტისკლდის წყების ნალექებზე თანხმობითაა განლაგებული, რომლებიც ლითოგრაფიული კირქვების, მერგელებისა და ფიქლების რითმული მორიგეობითაა წარმოდგენილი. აქვე ქვიშაქვების შუაშრეებიც ფიქსირდება. ქვიშაქვები ზოგ ადგილას მსხვილმარცვლოვან ქვიშაქვებსა და მიკროკონგლომერატებში გადადის. წყების სიმძლავრე 30-40 მეტრს არ აღემატება [6].

კამპანური სართული (K$_2$km) (წითლიანის და ჯორჭოს წყება). აღნიშნული ნალექები ეშმაკისხევის ნალექებისაგან ლითოლოგიურადაც მკვეთრად განსხვავდება. კამპანური ასაკის ნალექები საშუალოშრეებრივი ქვიშიანი კირქვების, მოყავისფრო-წითელი, იისფერი, მომწვანო-ნაცრისფერი მერგელების და მერგელოვანი ფიქლების მორიგეობითაა წარმოდგენილი. ეშმაკისხევის წყების კირქვებთან შედარებით კამპანური ასაკის კირქვები უფრო რბილი და ქვიშიანია, ხშირ შემთხვევაში მოყავისფრო-წითელი შეფერილობით ხასიათდება. ეს ნალექები საქართველოს სამხედრო გზაზე სოფელ წითლიანთანაა კარგად გაშიშვლებული [2].

2.3.3. ზედა ცარცული და ქვედა პალეოგენური ნალექები (K$_2$-E$_1$)

მაასტრიხტული სართული და დანიური სართული (K$_2$m-E$_1$d) (ორბიტოიდებიანი წყება და კვეტერას წყება). გასულ საუკუნეში ვ. რენგარტენმა [7] საქართველოს სამხედრო გზაზე ორბიტოიდებიანი წყება მაასტრიხტულ ასაკად დაათარიღა. მოგვიანებით ნ. ვასოევიჩმა [8]

ორბიტოიდებიანი წყება ცალკე წყებად გამოყო კახეთის ქედზე და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. ალევი-ჟინვალის ქვეზონაში დანიური სართულის ნალექები მხოლოდ მდ. არყალას ხეობასა და დაბა ჟინვალის მიდამოებშია დაფიქსირებული. დაბა ჟინვალის მიდამოებში დანიური ასაკის ნალექები მუქი ნაცრისფერი არგილიტებისა და მერგელების მორიგეობითაა წარმოდგენილი, რომლებიც შავი კაჟების შუაშრეებს და ლინზებს შეიცავს. წყების ზედა ნაწილში წვრილნატეხოვანი ბრექჩიები და კონგლომერატებია დაფიქსირებული. აქ წყების სიმძლავრე 50-60 მეტრია [2].

2.4. პალეოგენური სისტემა

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში პალეოგენური ნალექები თიანეთი-საძეგურის და არღუნ-ჟინვალის ქვეზონებში ფლიშური ნალექებითაა წარმოდგენილი, რომლებიც, პირველ რიგში, მსხვილი სინკლინური სტრუქტურების ამგები ქანებია. ეს ნალექები მკვლევარებს შახვეტილას (პალეოცენი და ქვედაეოცენი), ქვაკვერის (შუაეოცენი) და იღდოყანის (ზედაეოცენი), წყებებადაა დაყოფილი. არღუნ-ჟინვალის ქვეზონაში მხოლოდ ზედაეოცენური ნალექებია გავრცელებული, რომლებიც უხეში ფლიშითაა წარმოდგენილი. სამხრეთით ქსანი-არყალას ქვეზონის ფარგლებში შუა და ზედაეოცენური ნალექების გამოსავლებიც აღინიშნება. აღნიშნული ნალექები შუა იურულ წარმონაქმნებზეა ტრანსგრესიულად გაწოლილი და ზემოდან ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური (მაიკოპის წყება) ნალექებითაა გადაფარული.

2.4.1. პალეოცენური და ქვედა ეოცენური ნალექები (E_1-E_1^2) (შახვეტილას წყება).

შახვეტილას წყება მუქი ნაცრისფერი-მომწვანო ფერის წვრილ და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვების, ქვიშიანი კირქვების, თიხაფიქლების და მერგელოვანი თიხების მორიგეობითაა წარმოდგენილი, რომლებშიც გაკაჟებული ქვიშიანი კირქვების შუაშრეები შეინიშნება. მდ. არაგვსა და მდ. ქსანს შორის შახვეტილას წყების ნალექები საძეგურის სინკლინის ორივე ფრთაზე კარგადაა გამოხატული. აღმოსავლეთით კი მდ. არაგვის მარცხენა ფერდზე სინკლინის სამხრეთი ფრთის ამგები ქანებია, ხოლო ნაოჭის ჩრდილო ფრთა პავლეურის შეცოცების მიერაა მოკვეთილი. სოფ. ავენისიდან აღმოსავლეთი მიმართულებით აღნიშნული ნალექები რამდენიმე ნაოჭის აგებულებაში იღებს მონაწილეობას. შახვეტილას წყება იწყება კონგლომერატებით, რომლებიც რიფული კირქვების, ქვიშაქვების, იშვიათად პორფირიტების და ცარცული ასაკის ფლიშური ნალექების, წითელი და ლითოგრაფიული კირქვების, შავი ფერის კაჟების და სხვა ქანების ქვარგვალებითაა აგებული. მდინარე საკანაფისხევის ხეობაში შახვეტილას წყება ბაზალური ფუძის კონგლომერატებით საბუეს წყებაზე ტრანსგრესულადაა გაწოლილი. აქ კონგლომერატების სიმძლავრე 4-5 მეტრია. შახვეტილას წყების საერთო სიმძლავრე 200-215 მეტრს შეადგენს [2].

2.4.2. შუა ეოცენური ნალექები (E_2^2) (ქვაკვერის წყება).

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ქვაკვერის წყების ნალექებითაა აგებული საძეგურის, დოლოშის და შაშუკაანთკარის სინკლინური სტრუქტურების ფრთები. წყება მუქინაცრისფერი და მომწვანო-ნაცრისფერი მერგელების, თიხაფიქლების და ქვიშაქვების მორიგეობითაა წარმოდგენილი. შუა ეოცენური ნალექები დაბა ჟინვალის მიდამოებში, მდ. არაგვის მარჯვენა

შენაკადების დინების ზედა ნაწილშია გაშიშვლებული. აქ სორის წყებაზე ბაზალურ კონგლომერატებთან ერთად ქვიშაქვები და ქვიშიანი კირქვები ტრანსგრესიულადაა დალექილი, რომლებიც მსხვილი ნუმულიტების მრავალრიცხოვან განამარხებულ ფორმებს შეიცავს. შუა ეოცენური ნალექების სიმძლავრე ჭრილში 20 მეტრს არ აღემატება [2].

2.4.3. ზედა ეოცენური ნალექები (E_2^3).

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ზედა ეოცენური ნალექები ცარცულ და ქვედა პალეოგენურ ნალექებთან შედარებით მკვეთრ ფაციალურ ცვლილებებს განიცდის. თიანეთი-საძეგურის ქვეზონაში ზედა ეოცენი ტიპიური ფლიშური ნალექებითაა წარმოდგენილი, რომლებიც თითქმის ყველა მსხვილი სინკლინური სტრუქტურების გულის ამგები ქანებია. არღუნ-ჟინვალის ქვეზონაში ზედა ეოცენი უხეში ფლიშური ნალექებითა და კონგლომერატებითაა წარმოდგენილი. ქსანი-არყალას ქვეზონაში ზედაეოცენი ქვიშაქვიან-თიხიანი ნალექებითაა წარმოდგენილი.

საძეგური-თიანეთის ქვეზონის ზედა ეოცენური ნალექები (E_2^3) (ილდოყანის წყება). აღნიშნულ ქვეზონაში ილდოყანის წყება მერგელების, ფიქლებრივი თიხების და ქვიშაქვების მორიგეობითაა წარმოდგენილი. თიხები და მერგელები მუქი ნაცრისფერია, ზოგჯერ შავიფერისაა და ბითუმინიზირებულია. ქვიშაქვები ძირითადად კარბონატულია, საგებში ფლიშური ფიგურების არსებობა აღინიშნება. წყება თითქმის ყველგან კონგლომერატებით იწყება, რომელიც პორფირიტების, კვარც-არკოზული ქვიშაქვების, რიფული კირქვების, შავი კაჟებისა და სხვა ქანების ქვარგვალებითაა აგებული. წყების სიმძლავრე რამდენიმე ათეული მეტრიდან 250-300 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ილდოყანის წყება შუა ეოცენური ნალექების სხვადასხვა ჰორიზონტზე ტრანსგრესიულადაა დალექილი [2].

არღუნ-ჟინვალის ქვეზონის ზედაეოცენური ნალექები (E_2^3) (უხეში ფლიში). არღუნ-ჟინვალის ქვეზონის ჩრდილო ნაწილში უხეში ფლიშის ნალექები მდ. დიდი ჯახას ხეობაშია დაფიქსირებული, სადაც ცარცულ ფლიშურ ნალექებზე უთანხმოდაა განლაგებული ლოდბრექჩიების შრეები, რომლებიც ძირითადად ბაიოსური პორფირიტული წყების ქანებითაა აგებული, სადაც თითოეული ლოდის დიამეტრი 10-12 მეტრს აღწევს. ლოდბრექჩიებში ასევე გვხვდება ზედა იურული ასაკის რიფული კირქვებისა და ქვიშაქვების, ცარცული ფლიშის წითელი კირქვების, ლითოგრაფიული კირქვების, შავი კაჟების, მიკროკონგლომერატების, რომლებიც ორბიტოიდების ფაუნას შეიცავს და სხვათა ლოდები. ლოდბრექჩიების სიმძლავრე 150 მეტრია. სამხრეთით, სადაც ფლიშური ნალექები ფრონტალური გავრცელებით სარგებლობს, ზედა ეოცენური უხეში ფლიში მდ. ქსნიდან აღმოსავლეთით მდ. არაგვის აუზამდე თითქმის უწყვეტ ზოლად გაედევნება [6].

2.4.4. ზედა ეოცენური და ოლიგოცენური ნალექები (E_2^3-E_3) (ყინთის წყება)

ყინთის წყების ნალექები თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის სიახლოვეს სოფ. ჩეკურაანთგორის სამხრეთით და ერწოს დაბლობის ჩრდილოეთითაა გაშიშვლებული. აქ ეს ნალექები მკვეთრი კუთხური უთანხმოებით არის განფენილი ქვედა ცარცულ აპტ-ალბურ და ზედა ცარცულ-სენომანურ წყებებზე, სადაც ბაზალური კონგლომერატები პორფირიტების, ქვიშაქვების, გრანიტების და სხვა ქანების კარგად დამუშავებული ქვარგვალებითაა აგებული. წყების აგებულებაში გარდა ქვიშაქვებისა და თიხებისა მონაწილეობას იღებს მერგელების

ლინზისებური შუაშრეები. იშვიათად გვხვდება მკვრივი წვრილმარცვლოვანი კარბონატული ქვიშაქვების სეპტარიები.

ქსანი-არყალას ზედა ეოცენური და ოლიგოცენური ნალექები (E_2^3-E_3). ქსანი-არყალას ქვეზონაში, მდ. ქსნის აუზიდან მდ. არაგვის აუზამდე უწყვეტ ზოლად გავრცელებული ქვიშაქვიან-თიხიანი ნალექები ძირითადად აალენური და ბაიოსურია, ხოლო აღმოსავლეთით ისინი შუა ეოცენურ ნუმულიტებიან კირქვებზე ტრანსგრესიულადაა განლაგებული. ზედა ეოცენური ნალექები თითქმის ყველგან კონგლომერატებით იწყება. კონგლომერატები კვარც-არკოზული ქვიშაქვების, პორფირიტების და ტუფების კარგად დამუშავებული ქვარგვალებითაა აგებული. გვხვდება ასევე რიფული კირქვების, გრანიტების და სხვა კრისტალური ქანების ქვარგვალებიც. მათ ზემოდან მოყვება თხელი და საშუალოშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა მერგელებისა და კირქვების შუაშრეებით. ხშირად გვხვდება მიკროკონგლომერატების, ხოლო იშვიათად, წვრილ და საშუალოკენჭოვანი კონგლომერატების შუაშრეები. ზედა ეოცენური უხეში ფლიშის ნალექების სიმძლავრე 2500 მეტრია [2].

2.4.5. ოლიგოცენური და ქვედა მიოცენური ნალექები (E_3-N_1^1) (მაიკოპის წყება).

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მაიკოპის სერიის ნალექები ქსანი-არყალას ტექტონიკურ ფანჯარაში რამდენიმე სინკლინური სტრუქტურის ამგები ქანებია. საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ დაძირვის ზონაში, ორხევის შეცოცების გასწვრივ, მათი ზედაპირზე გამოსავლები რთული ტექტონიკური აშლილობის შედეგად წყვეტილი სახითაა წარმოდგენილი. მაიკოპის სერიის გავრცელების არეალში ხშირადაა განვითარებული მძლავრი მეწყრული სხეულები, რაც ხელს უშლის წყების სრული ჭრილის შედგენას და რეალური სიმძლავრის დადგენას. მკვლევრების დიდი ნაწილი მაიკოპის სერიას ორ ნაწილად ყოფს: ქვედა-ქვიშაქვიანი და ზედა-თიხოვანი. მათი აზრით, ქვიშაქვებიანი წყება ქვედა და შუა ოლიგოცენად, ხოლო თიხოვანი – ზედა ოლიგოცენ-ქვედა მიოცენადაა მიჩნეული. მაიკოპის სერიის სიმძლავრეები, სხვადასხვა მკვლევრების მოსაზრებების მიხედვით, ძალზედ განსხვავებული და სხვადასხვაგვარია. მკვლევრების გარკვეული ნაწილი მაიკოპის სერიის სიმძლავრედ 600 მეტრს მიიჩნევს, ზოგის აზრით, მისი სიმძლავრე 438 მეტრია, ხოლო რიგი მკვლევრებისა მაიკოპის სერიის სიმძლავრედ 315 მეტრს მიიჩნევს [2]. მაიკოპის სერიის ქვედა ნაწილი საშუალო და სქელშრეებრივი ქვიშაქვებითაა წარმოდგენილი, რომლებიც თხელ და საშუალოშრეებრივ, მოყავისფრო და მოყვითალო ფერის თიხების შუაშრეებს შეიცავს. თიხების დასტებში კი თხელშრეებრივი, საშუალო და მსხვილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვები გვხვდება, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მიკროკონგლომერატებში გადადის. აგრეთვე გვხვდება კონგლომერატების შუაშრეები და ლინზებიც, რომელთა ქვარგვალები ძირითადად ცარცული ფლიშის ქვარგვალებისგანაა წარმოდგენილი. მაიკოპის სერიის ქვედა ნაწილის სიმძლავრე 120-140 მეტრია. მაიკოპის სერიის ზედა ნაწილი მუქი ნაცრისფერი, მოყავისფრო და შოკოლადისფერი თხელშრეებრივი თიხებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ქვიშაქვების თხელ შუაშრეებს შეიცავს და რომლებშიც იაროზიტის რაოდენობაა მომატებული. თიხები ძირითადად არაკარბონატულია, ზოგ ნაწილში – კარბონატული, იშვიათად მუქი ყვითელი მერგელებიც გვხვდება. მაიკოპის სერიის ზედა ნაწილის სიმძლავრე 200 მეტრამდეა. დუშეთის ტერიტორიაზე მაიკოპის სერიის ასაკი შუა და ზედა ოლიგოცენადაა განსაზღვრული. მაიკოპის სერიის ქვედა ნაწილში მუქინაცრისფერი სუსტადკარბონატული თიხების 25-30 მეტრის სიმძლავრის დასტა გამოიყოფა, რომელიც ქვედა ოლიგოცენურ ასაკად არის დათარიღებული.

თიხების ამ დასტას და ქვედა ნაწილის უმეტესობას ა. ლალიევი [9] ზედა ეოცენურ ასაკს აკუთვნებს, ხოლო მაიკოპის სერიის ნალექებს მთლიანობაში იგი ოლიგოცენ-ქვედამიოცენის ინტერვალში განიხილავს.

2.5. ნეოგენური სისტემა

2.5.1. სარმატული სართული

სარმატული სართულის ქვედა ქვესართული (N_1S_1). საკვლევ ტერიტორიაზე სარმატული სართულის ქვედა ქვესართული სოფ. არღუნის აღმოსავლეთითაა გაშიშვლებული და მდ. ფოთეს ხეობამდე ვრცელდება.

სარმატული სართულის შუა ქვესართული (N_1S_2). შუა სარმატული ნალექები მდ. ქსნის აუზიდან მდ. ივრის აუზამდე ფართო ზოლის სახითაა გავრცელებული. მათი ნაწილი ჩრდილოეთიდან შეცოცებული ცარცულ-პალეოგენური და შუა მიოცენური წარმონაქმნებითაა გადაფარული, ხოლო თავის მხრივ, შუა სარმატული ნალექები დუშეთის წყების კონგლომერატებზეა შეცოცებული. ჰორიზონტის საერთო სიმძლავრე 711 მეტრია [2].

სარმატული სართულის ზედა ქვესართული (N_1s_3) (ნაცხორის წყება) საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში კონტინენტური ქვიშაქვიან-თიხიანი ნალექებითაა წარმოდგენილი, რომლებიც უშუალოდ შუა სარმატულ ნალექებზეა განლაგებული და ტრანსგრესიულადაა გადაფარული აღჩაგილ-აფშერონული კონგლომერატებით. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ნაცხორის წყება კონგლომერატების, ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობითაა აგებული, სადაც თიხები ნაცრისფერი, ღია ნაცრისფერი, ზოგჯერ კი მოყვითალო-ნაცრისფერი და მურა-მოწითალო ფერისაა. კონგლომერატები ძირითადად ზედა ცარცული ფლიშის კირქვების, იშვიათად პორფირიტების, ქვიშაქვების, კაჟების და სხვა ქანების კარგად შეცემენტებული ქვარგვალებისაგანაა აგებული. ერწოს დეპრესიის ჩრდილო ბორტთან, ნაცხორის წყების სიმძლავრე 150-200 მეტრს არ აღემატება, ქართლის დეპრესიის სხვა რაიონებში – 1500 მეტრს აღწევს, ხოლო გრომი-ბერშუეთის რაიონში – 3000 მეტრია. ერწოს დეპრესიის ჩრდილო ბორტზე ნაცხორის წყების სიმძლავრის ასეთი მნიშვნელოვანი სიმცირე აღჩაგილ-აფშერონული ტრანსგრესიით უნდა იყოს გამოწვეული [2].

2.5.2. მეოტური და პონტური სართულები (N_1^3m-p) (დუშეთის წყება).

საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულია ზღვიურ-კონტინენტური ნალექები, რომლებიც ქვიშიანი თიხების, თიხნარებისა და ქვიშაქვების შუაშრეების შემცველი კონგლომერატების მძლავრი დასტითაა წარმოდგენილი. აღნიშნული წყების სრული ჭრილის დახასიათება ტერიტორიის ფარგლებში იმის გამო ვერ ხერხდება, რომ ჩრდილოეთიდან დუშეთის წყებაზე სარმატული და შუა ეოცენური ნალექებია შეცოცებული, ხოლო სამხრეთით ამ ნალექების გავრცელება საკვლევი ტერიტორიის საზღვრებს სცილდება. დუშეთის წყების ნალექები ნაცხორის წყების ზღვიურ-კონტინენტურ ნალექებზეა დალექილი და დ. ბულეიშვილის [10] მონაცემების მიხედვით, ორ ნაწილადაა გაყოფილი. ქვედა ნაწილი კონგლომერატებითაა წარმოდგენილი, რომლებიც წვრილკენჭოვანი, კარგად დახარისხებული და ძლიერ შეცემენტებულია. დუშეთის წყების სიმძლავრე 600-700 მეტრს შეადგენს.

2.6. მეოთხეული სისტემა

საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობებს მოიცავს, რომლებიც ციცაბოდ დახრილი ფერდობებიანი მაღალმთიანი რელიეფითაა წარმოდგენილი ღრმად ჩაჭრილი და გაშლილი ტროგული და მყინვარული ეროზიული ხეობებით. ტერიტორიის ამ ნაწილში მორფოლოგიურ ფორმებს, ტექტონიკური, გლაციალური და ეროზიულ-აკუმულაციური პროცესები ქმნის. ტექტონიკურ-ეროზიული რელიეფის ძირითადი ფონი მყინვარული, ვულკანური, გრავიტაციული და ნაწილობრივ კარსტული წარმოშობის ფორმებითაა გართულებული. რეგიონში მეოთხეული ნალექების წარმონაქმნის ხელშემწყობი ფაქტორებია აქ გაბატონებული მკაცრი კლიმატური პირობები და ამგებ ქანებზე ფიზიკური და სხვა სახის გამოფიტვის აგენტების ინტენსიური ზემოქმედება. მეოთხეული ნალექები ძირითადად ალუვიური, დელუვიური, პროლუვიური, კოლუვიური, კოლუვიურ-სოლიფლუქციური, ფლუვიოგლაციალური და გლაციალური ნალექებითაა წარმოდგენილი. მათ შორის ჭარბობს დელუვიური ნალექები, რომლებიც ტერიტორიის ფარგლებში შლეიფების სახითაა გავრცელებული. ქედებისა და მთების ციცაბოდ დახრილ კალთებზე აკუმულირებული მასალა კოლუვიური ნალექებითაა წარმოდგენილი, ხოლო მთის ფერდობების ძირებში მდინარეების კალაპოტების მიმდებარედ დელუვიურ-პროლუვიური ნალექებია გავრცელებული. რეგიონის მაღალმთიან ნაწილში, რომლის ქედების კლდოვანი თხემები ფიქლებითა და ქვიშაქვებითაა აგებული, ჭარბობს კოლუვიური ნალექები. მდინარის ხეობებს, რომელთაც ვარცლისებური ფორმები ახასიათებს, მათი ფერდობები სხვადასხვა ქანების მორენული და სუსტად დამუშავებული ნატეხოვანი მასალით წარმოდგენილი ფლუვიო-გლაციალური ნალექებითაა აგებული [2; 6].

ალუვიური ნალექები (aQ). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ალუვიური ნალექებითაა აგებული მთავარი მდინარეების – თერგის, არაგვის, არღუნისა და ანდაქის და მათი მსხვილი შენაკადების კალაპოტები, ჭალები და ჭალისზედა ტერასები, სადაც ისინი როგორც ვულკანური წარმონაქმნების, ისე დანალექი ქანების კარგად დამუშავებული მსხვილი კაჭარ-კენჭნარით, ხრეშის, ქვიშის და ქვიშნარის შემავსებლებითაა წარმოდგენილი [2; 6].

ალუვიურ-პროლუვიური ნალექები (apQ). აღნიშნული ტიპის ნალექები მდინარისპირა აუზებში, ძირითადად ალუვიური ნალექების კარგად დამუშავებული ქვარგვალების და პროლუვიური ნალექების ცუდად დამუშავებული მასალის ნაზავითაა წარმოდგენილი. ეს ნალექები ქვიშაქვების, თიხაფიქლების, კირქვების, კვარცის, იშვიათად, მაგმური ქანების, კაჭარ-კენჭნარის, ხვინჭის, ქვიშა-ხრეშის და ნატეხოვანი დაუხარისხებელი მასალითაა აგებული. მათი შედარებით მძლავრი დანაგროვები მდინარეთა გაშლილ ხეობებშია თავმოყრილი, რომელთაც ფართო ტერასები ახასიათებს იქ, სადაც მდინარეებს მრავალრიცხოვანი მცირე და მშრალი ხევები უერთდება. ამ ხევებში განვითარებული ღვარცოფული ნაკადების მიერ ჩამოტანილი კოლუვიური მასალის აღრევა ხდება ალუვიურ ნალექებში და წარმოიქმნება მძლავრი ალუვიურ-პროლუვიური დანაგროვები.

ალუვიურ-პროლუვიური ნალექები, რომლებიც მდინარეების – თერგის, სნოსწყლის, ასას, ხევსურეთის არაგვის, ფშავის არაგვის, ანდაქისა და არღუნის მეორეხარისხოვან ხეობებშია განვითარებული, ძლიერ განსხვავდება ძირითად ხეობებში განვითარებული ალუვიურ-პროლუვიური ნალექებისაგან და წარმოდგენილია შედარებით ცუდად დამუშავებული და ცუდად დახარისხებული უხეშმარცვლოვანი მასალით [2; 6].

პროლუვიური ნალექები (pQ). პროლუვიური ნალექები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ძირითადად მცირე შენაკადების და მშრალი ხევების კალაპოტებში სატრანზიტო ზონებშია თავმოყრილი და ღვარცოფული ნაკადების გავლის პერიოდში კატასტროფულ გამონატანებს ქმნის. ხოლო მთავარი მდინარეებისა და მათი დიდი შენაკადების ხეობებში ამ ნალექებით როგორც ჭალისპირა, ისე სხვა დონეებზე არსებული ტერასებია გადაფარული, სადაც ისინი შლეიფების და მძლავრი გამოზიდვის კონუსების სახითაა წარმოდგენილი.

აღნიშნული ნალექები დიდი რაოდენობითაა დაგროვილი მდ. თერგის მარცხენა შენაკადის მდ. დევდორაკის (ამალი) ხეობის ტრანზიტულ ზონაში, სადაც 2014 წლის 17 მაისს განვითარებული კლდეზვავური ტიპის მეწყრის შედეგად წარმოქმნილი ღვარცოფული ნაკადის გავლას კატასტროფული შედეგი მოყვა. მდ. დევდორაკის (ამალი) და მდ. თერგის შესართავთან უცაბედად მოვარდნილმა ღვარცოფულმა ნაკადმა, რომელმაც ჩამოიტანა უამრავი ქვა-ტალახოვანი მასა, გადაკეტა და შეაგუბა მდ. თერგი. საგრძნობლად დააზიანა და საექსპლოატაციოდ უვარგისი გახადა ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დიდი მონაკვეთი, იყო ადამიანთა მსხვერპლი, დაიტბორა და მწყობრიდან გამოვიდა აქ არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები [2].

დელუვიურ-პროლუვიური ნალექები (dpQ). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში აღნიშნული ნალექები ფართო გავრცელებით სარგებლობს, რომლებიც ზედა მეოთხეული (QIII-IV) და თანამედროვე (Q_{IV}) ნალექებითაა წარმოდგენილი. ეს ნალექები მდინარეების აუზებში, ძირითადად ხეობების ფერდობებსა და მათ კალთებზეა გავრცელებული. ისინი ღორღოვანი და ქვიშანარევი მასალის უსტრუქტურო წარმონაქმნებია, რომლებიც ფერდობების ზედა ნაწილიდან წვიმის წყლისა და თოვლის დნობის შედეგად წარმოქმნილი ღვარების მიერ გადარეცხილი მასალის პროდუქტს წარმოადგენს [2; 6].

კოლუვიურ-დელუვიური ნალექები (cdQ_{IV}). აღნიშნული ტიპის ნალექებით მდინარეების ხეობების ფერდობებია დაფარული, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მდინარეებს კეტავს და იწვევს კალაპოტების მიგრაციას. ეს ნალექები ძირითადად ცუდად დახარისხებული და სუსტად დამუშავებული ნატეხოვანი მასალითაა წარმოდგენილი, რომლებიც თიხა-ქვიშნარითაა შეცემენტებული [2; 6].

კოლუვიური ნალექები (cQ). კოლუვიური ნალექები მთის ფერდობების მიმდებარე ტერიტორიებზე და მდინარეთა ხეობების ფერდობების გასწვრივ აღინიშნება, რომელთა მძლავრი დანაგროვები ქედების ძირში გვხვდება. იმ ადგილებში, სადაც მკვრივი ქანებით აგებული ციცაბოდ დახრილი ფერდობებია, კოლუვიური წარმონაქმნები ფერდობების ძირში მსხვილნატეხოვან დანაგროვებს ქმნიან. ხოლო რბილი ქანებით აგებული ფერდობებიდან ჩამოცვენილი ნატეხოვანი მასალა ფართო შლეიფების სახითაა წარმოდგენილი.

საკვლევი ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც მერგელოვან-კირქვიანი და კარბონატული ქანებია გავრცელებული, კოლუვიური ნალექები კირქვების, მერგელების, თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების ნატეხოვანი მასალითაა წარმოდგენილი. იქ, სადაც ვულკანური წარმონაქმნებია გავრცელებული, კოლუვიური ნალექები ანდეზიტების, ბაზალტების, დაციტებისა და სხვა მსხვილნატეხოვანი მასალითაა წარმოდგენილი, რომლებიც ხეობების ფერდობებს ფარავს, ხოლო ხეობების კალაპოტში ხშირ შემთხვევაში ხეობების გადაკეტვას იწვევს [2; 6].

ფლუვიოგლაციალური ნალექები. ზედა მეოთხეული და თანამედროვე (Q_{III-IV}) ფლუვიო-გლაციალური ნალექები დაუხარისხებელი ქვარგვალებით, ქვიშითა და მონაცრისფრო-მოყავისფრო-მოყვითალო ფერის თიხებითაა წარმოდგენილი [2; 6].

გლაციალური ნალექები. ამ ტიპის ნალექები მორენული და მყინვარული ფორმებითაა წარმოდგენილი. თანამედროვე (Q_{IV}) გლაციალური ნალექები ჩვენს საკვლევ ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 2500-3300 მეტრის სიმაღლეებზეა გავრცელებული. თანამედროვე გლაციალური ნალექების მორენები ზედა მეოთხეულ – თანამედროვე (QIII-IV) მორენებისგან განსხვავებით ძირითადად ფიქლების და ქვიშაქვების ნატეხოვანი ჩანართებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ღორღოვან, ქვიშიან და პუდრისებურ მასალასთან ერთადაა გადაზელილი. აღნიშნული ნალექები ფართო გავრცელებით სარგებლობს მდ. ჩხერისა და მდ. ხდესწყლის (ბროლის წყალი) ხეობებში, მდ. ამალისა და მდ. აბანოს დინებების ზედა ნაწილებში, კორას, ჩროლის, ტანიეს და ჭაუხის მთების მიდამოებში [2].

2.7. მაგმური ქანები

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მაგმური ქანები წარმოდგენილია ზედა პალეოზოური გრანიტოიდებით ($\square Pz_3^2$), იურული გაბროდიორიტებით, პლიოცენური სუბვულკანური ბაზალტებით, მეოთხეული ასაკის გრანიტპორფირებითა და სუბაერული ანდეზიტების, დაციტებისა და ანდეზიტ-დაციტების ლავებით (aLQ). ზედა პალეოზოური გრანიტოიდები ($\square Pz_3^2$) გავრცელებულია რეგიონის ჩრდილო ნაწილში, მდინარეების თერგის, დარიალის, ხდესწყლისა (ბროლის წყალი) და თარგმისწყლის ხეობებში და წარმოდგენილია სამი დამოუკიდებელი სხეულის სახით: დარიალის, გველეთისა და თარგმის მასივებით. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, განსაკუთრებით, ჩრდილო-აღმოსავლურ ნაწილში ხშირად გვხვდება იურული ასაკის დიაბაზური ფორმაციის ინტრუზიული და ეფუზიური შრეთაშორისი წარმონაქმნები [2].

მეოთხეული ასაკის ვულკანოგენები (aLQ). კავკასიონის ნაოჭა ზონაში, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, სუბაერალური ეფუზიური ვულკანიზმი გვიან პალეოზოურში ჩნდება და ჰოლოცენამდე გრძელდება. ვულკანიზმის წარმოქმნა დაკავშირებულია კავკასიონის მთავარი ქედის მნიშვნელოვან ცენტრალურ აზევებასთან და ტექტონიკურად ძლიერ აშლილ უბნებთან, სადაც ამომყვანი ყელის ცენტრები უმეტეს შემთხვევაში ანტიკლინურ სტრუქტურებთანაა დაკავშირებული. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში უახლესი ვულკანიზმი კავკასიონის დანაოჭების გვიანდელ ეტაპზე აქტიურდება. ვულკანური ამომყვანი ყელის ცენტრები ძირითადად მდ. თერგის შენაკადების სათავეებში, კავკასიონის მთავარი ქედის წყალგამყოფსა და მის ორივე ფერდზეა თავმოყრილი. გარდა ამისა, ვულკანური წარმონაქმნების ცალკეული ჯგუფები წითელის და კაბარჯინას მთების ტერიტორიებს მოიცავს [2].

კაბარჯინას ვულკანიზმი. საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებულ მრავალრიცხოვან ეფუზიურ ლავებს შორის კაბარჯინას ვულკანური მასივი ყველაზე რთული და საინტერესო წარმონაქმნია. დღეისათვის კაბარჯინას ვულკანი ძლიერ დანაწევრებულია და საკმაოდ ღრმა ხეობებითაა ჩაჭრილი. განსაკუთრებულად ციცაბო და ვერტიკალურია მისი დასავლური და ჩრდილო ფერდები, ხოლო დამრეცი და სუსტად დანაწევრებულია მისი სამხრეთი ფერდი, რომლის ზედაპირიც მეოთხეული საფარითაა გადაფარული [2].

ყაზბეგის ვულკანური მასივი. ყაზბეგის ვულკანური წარმონაქმნები ხოხის ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე მდ. თერგის შენაკადებშია გავრცელებული. მასივი მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. ყაზბეგის ვულკანური წარმონაქმნების აგებულებაში ლავების გარდა ქვედა იურული ასაკის ფიქლებიან-ქვიშაქვებიანი ნალექებიც მონაწილეობს, რომლებიც მძლავრ ფუნდამენტს ქმნის. ჰიფსომეტრიულად მაღალ ნიშნულზე, ლავური ნაკადების

გამოსავლები ძნელად მისადგომ ადგილებშია გაშიშვლებული, სადაც ისინი მყინვარებს შორისაა მოქცეული. მთავარი სიმაღლიდან (5054 მ) ლავური ნაკადები ყველა მიმართულებითაა გავრცელებული, რომლებიც ადრინდელი, უსწორმასწორო რელიეფის გამო მდინარე თერგის ხეობაში ეშვება. შედგენილობით აღნიშნული ლავური ნაკადები ძირითადად ანდეზიტურ-დაციტურია. ლავური ნაკადებიდან ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ხვდება ჩაჩხოხის, ხრეთის, ცდოს, ჩხერის, არშის, ფანშეტისა და მნადონის ლავური ნაკადები [2].

ლიტერატურა:

[1] გამყრელიძე ე.პ. (2004). საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემა, თბილისი;

[2] გარემოს ეროვნული სააგენტო (2018). ყაზბეგის და დარიალის ფურცლების (K-38-XV და IX) გეოლოგიური ანგარიში, მასშტაბი 1:200 000 (ტომი I). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი, 179 გვერდი;

[3] ჩიხრაძე გ.ა. (1979). კავკასიონის დიდი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობების ქვედა და შუა იურული ნალექების ლითოლოგია, ახალი სერია №62. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1979 წ;

[4] ჩიხრაძე გ.ა. (1981). კავკასიონის დიდი წყალგამყოფი ქედის სამხრეთი ფერდობის ქვედა და შუა იურული ასაკის ნალექების ლითოლოგიური თავისებურებები, ახალი სერია, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1981;

[5] გამყრელიძე ე.პ. (1970). მდ. ქსნის ხეობის ტექტონიკური სარკმელი, ტომი 59, პარაგრაფი №3, 1970;

[6] გარემოს ეროვნული სააგენტო (2021). კახეთის მხარის ტოპოფურცლების: ახმეტის K-38-XVI, ყვარლის K-38-XVII და მახისმაღალის K-38-X გეოლოგიური ანგარიში, მასშტაბი 1:200 000, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი, 151 გვერდი;

[7] რენტგარტენი ვ.პ. (1932). საქართველოს სამხედრო გზის გეოლოგიური ანგარიში, 148 გვერდი, თბილისი;

[8] ვასოევიჩი ნ.ბ. (1940). აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდი ტექტონიკურ ნაფენები. ტომი XIX, №2,3, 1940;

[9] ლალიევი ა.გ. (1964). საქართველოს მაიკოპის წყება, გამომცემლობა „ნედრა“;

[10] ბულეიშვილი დ.ა. (1960). აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი აუზის გეოლოგია და ნავთობისა და გაზის შემცველობა, 1960 წ.

თავი 3

საშიში გეოლოგიური მოვლენები

საკვლევი არეალის ფარგლებში სტიქიურ გეოლოგიურ პროცესებს შორის, განვითარების მასშტაბებით და მათგან მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტებისადმი მიყენებული მატერიალური ზიანის მიხედვით, განმსაზღვრელ დომინანტურ ადგილს იკავებს მეწყრები, ღვარცოფები, კლდეზვავები, ქვათაცვენები და მდინარეთა ნაპირების გარეცხვა.

3.1. მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესები

საკვლევ არეალში წარმოშობის მიხედვით გვხვდება შემდეგი ჯგუფის მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები:

სანაპირო (ბაზისური) მეწყრები – მათი წარმოქმნა-განვითარებისა და პროგნოზის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს მდინარეთა და წყალსაცავების ეროზიული პროცესებით ნაპირების წარეცხვა, მათი მორფოდინამიკა და ამგები ქანების ეროზიისადმი მდგრადობის კრიტერიალური მახასიათებლები. იმისდა მიხედვით თუ რა ადგილი და გეომორფოლოგიური მდებარეობა უკავიათ ნაპირების გეოლოგიური აგებულების ჭრილში ქანების ეროზიული მდგრადობის თვალსაზრისით, ეს დამოკიდებულია ნაპირამგები ქანების ეროზიული პროცესებისადმი მგრძნობიარობის ხარისხზე. ეროზიული პროცესებით გამოწვეული მეწყრები მნიშვნელოვან საშიშროებას უქმნის მოსახლეობას და ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. აღნიშნული პროცესებია განვითარებული მდინარეების – არაგვის, თერგის, არღუნის, ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის და მათი შენაკადების ნაპირებზე.

კლიმატოგენური (ანუ კონსისტენტური) მეწყრების წარმოქმნა-გააქტიურება დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობრივი მაჩვენებლების შიდაწლიურ რეჟიმზე, გრუნტის წყლების არსებობასთან და ტექნოგენური წყლების ჩაჟონვასთან დამეწყვრისადმი მიდრეკილ ფერდობებში, რაც იწვევს დამეწყვრისადმი მგრძნობიარე დანალექ ქანებში ფარულად მიმდინარე „დატენიანების ეფექტით დამუხტვას“, მათ კონსისტენურ ცვლილებებს და ძვრის წინაღობის დაქვეითებას კრიტიკულ ზღვრამდე. საკვლევ არეალში კლიმატოგენური მეწყრები ხასიათდება საყოველთაო და მასობრივი გავრცელებით.

ტექტო-სეისმოგენური მეწყრული მოვლენები არსებითად განსხვავდება ამ სახეობის მოვლენების ყველა სხვა გენეტიკური ტიპებისგან. მათ ახასიათებს აზონალური განვითარება და ლოკალიზდება სხვადასხვა რანგის ტექტონიკური დისლოკაციების ზონაში, განსაკუთრებით, ზონათშორისო აშლილობების სივრცეში. სეისმოგენური მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენების მრავალსახეობებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ლოკალური სეისმოგენური რღვევების ეფექტი, როდესაც ძლიერი მიწისძვრების შედეგად ძირითადი ქანებით აგებულ ფერდობებზე წარმოიქმნება ახალი ნაპრალები, რომელთა გასწვრივ შემდგომში მიმდინარეობს სტრუქტურული ხასიათის მნიშვნელოვანი გადაადგილებები.

ტექნო-ანთროპოგენური მეწყრული მოვლენები. მაღალი ურბანიზაციის დასახლების სივრცეში ბუნებრივად მიმდინარე ეგზოგეოდინამიკური პროცესების წარმოქმნის გვერდით, განსაკუთრებით, მეწყრული მოვლენების სახით, ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ტექნო-ანთროპოგენური ზემოქმედებით ენერგეტიკული პოტენციალი და მისგან წარმოშობილი მეწყრები.

იმასთან დაკავშირებით, რომ **ღვარცოფული მოვლენების** ფორმირებაში გადამწყვეტია ღვარცოფტრანსფორმირებადი მდინარეთა აუზების ამგებელი ქანების მგრძნობიარობა დენუდაცია-გრავიტაციული პროცესებისადმი, როგორც ღვარცოფმაფორმირებელ კერებში გეოლოგიური პროდუქტის მიმწოდებელი, სადაც მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები დამოკიდებულია ქანების ფიზიკურ მდგრადობაზე და გადაადგილების გრავიტაციულ ენერგიაზე, დამუშავებული იქნა საქართველოს მთავარ მდინარეთა აუზების ამგებელი ქანების საინჟინრო-გეოლოგიური ფორმაციების ფართობები არსებული შესაბამისი რელიეფის ენერგეტიკული პოტენციალის სივრცეში.

მდინარის ნაპირის გარეცხვა (ეროზია). საკვლევი ტერიტორიის თანამედროვე რელიეფის ფორმირებასა და გარდაქმნაში წამყვანი როლი ეროზიას მიეკუთვნება. რელიეფის დანაწევრების ენერგია დამოკიდებულია ამგებელი ქანების ლითოლოგიაზე, წყლის მასაზე, წყლის მოძრაობის სიჩქარესა და სიმძლავრეზე, ასევე, რელიეფის დახრილობაზე, ტექტონიკურ მოძრაობებსა და ეროზიის ბაზისის მდებარეობაზე.

მდინარეთა ნაპირების ინტენსიური ეროზიული პროცესები მიმდინარეობს მდინარეების – არაგვის, თერგის, არღუნის, ფშავის არაგვის, ხევსურეთის არაგვის და მათი შენაკადების ნაპირებზე.

3.2. გეოლოგიური საფრთხეების მაპროვოცირებელი ფაქტორები

საკვლევი არეალის ფარგლებში გეოლოგიური საფრთხეების ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორები შესაძლებელია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

მუდმივად მოქმედი: გეოლოგიური აგებულება (სტრატიგრაფია, ლითოლოგია) და მორფოლოგიური თავისებურება (რელიეფი);

ნელა ცვალებადი: ტექტონიკური მოძრაობები, კლიმატური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები და ნიადაგურ-მცენარეული საფარი;

სწრაფად ცვალებადი: მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, სეისმური და ადამიანის არასწორი საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გეოლოგიური პროცესებისა და მოვლენების წარმოქმნის მუდმივად მოქმედი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ტერიტორიის გეოლოგიური პირობები, ამგებელი ქანების ლითოლოგიური შედგენილობა, მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და სხვა.

რელიეფი წარმოადგენს არამარტო ადამიანის სამეურნეო-საინჟინრო საქმიანობის ფუძემდებელ საფუძველს, არამედ ეგზოგეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-გააქტიურებაში, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მეწყრულ-გრავიტაციული პროცესებისა და ღვარცოფებისათვის. რელიეფის როლი განსაკუთრებით შთამბეჭდავია კავკასიის ცენტრალური სეგმენტის –საქართველოს ალპურ-ჰიმალაური ტიპის რელიეფისათვის.

იმის დასადგენად, თუ რა ადგილს იკავებს რელიეფის მორფო-კლიმატური ზონალობა ეგზოგეოდინამიკური პროცესებისა და მოვლენების წარმოქმნა-გააქტიურებაში საქართველოს მაგალითზე, მრავალმხრივი რეგიონალური და რეჟიმულ-სტაციონარული კვლევებით დადგენილია რელიეფის დახრილობის ის ოპტიმალური კატეგორიები, სადაც ვერტიკალურ ზონალობასთან კავშირში გრავიტაციული ველების დაძაბულობის სიდიდეები იცვლება იმ საზღვრებში, რომლებშიც დომინირებს ამა თუ იმ სახის გეოდინამიკური პროცესები. რელიეფის ამ სახით დამოკიდებულება გეოდინამიკური პროცესების ურთიერთობასთან კავშირში

აღნიშნულია „რელიეფის ენერგიის პოტენციალით“, რომელიც მოცემულია დახრილობის შემდეგ გრადაციებში: 3^0-მდე – იდეალურად ბრტყელი ზედაპირი; $3\text{-}8^0$ – ვაკე დამრეცი, $8\text{-}15^0$ – სუსტად დახრილი, $15\text{-}25^0$ – ზომიერად დახრილი, $25\text{-}35^0$ – საშუალოდ დახრილი, $35\text{-}45^0$ – მაღალი დახრილობის, $45\text{-}65^0$ – ძლიერ მაღალი დახრილობის და $65\text{-}90^0$ – ქარაფოვანი და შვეული (ფლატე) ზედაპირები.

კლიმატი, როგორც მოცემული ტერიტორიის ამინდის გრძელვადიანი რეჟიმი, შესაბამისი გეოგრაფიული გარემოს პირობებისათვის უნდა იქნას განხილული, როგორც სტატიკური ფუნქცია გეოლოგიური პროცესების ფონური მდგომარეობის მაფორმირებელ დომინანტად, ხოლო მეტეოროლოგიური ელემენტები (ამინდი, ტემპერატურა, ნალექები, ტენიანობა), რომელთა რეჟიმი იცვლება შიდაწლიურ გადახრებში გრძელვადიანი საშუალო მრავალწლიურიდან სტოქასტიკურად ფონურზე ზევით თუ დაბლა, წარმოადგენს მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენების ერთ-ერთ მთავარ გამსაზღვრელ ფაქტორს.

მეწყრები, რომელთა დინამიკური რეჟიმის გამსაზღვრელი „დატენიანების ეფექტი“ უკავშირდება ატმოსფერული ნალექების საშუალო მრავალწლიური ნორმიდან გადახრების სიდიდეებს, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. **ფონურზე დაბალი მეწყერი (სტაბილური მეწყრები),** როდესაც ატმოსფერული ნალექების და „დატენიანების ეფექტის“ წლიური მაჩვენებლები საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე დაბალია;

2. **ფონური მეწყერი,** როდესაც წლის განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობრივი მაჩვენებელი და დეფორმირებადი ჰორიზონტის „დატენიანების ეფექტი“ ექცევა საშუალო მრავალწლიური ნორმის საზღვრებში (ანუ სტატიკური რეჟიმის პირობებში) და მეწყრული პროცესები მიმდინარეობს ფონური რეჟიმის დონეზე;

3. **სტრესული მეწყერი,** როდესაც წლის განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექები აჭარბებს საშუალო მრავალწლიურ ნორმას 200 მმ-მდე. ამ შემთხვევაში, დეფორმირებადი ჰორიზონტის ფერდობებზე, აგებული ოპტიმალური რეცეპტორული თვისებების მქონე ქანებით, იწყება მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების გააქტიურების ტენდეცია ფონურზე მაღლა და ხშირად დინამიკაში მოდის წონასწორობის ზღვრულ მდგომარეობაში მყოფი მეწყერსაშიში ფერდობები;

4. **ექსტრემალური მეწყერი** – როდესაც მეწყრული პროცესების გააქტიურება იწყება ნალექების მოსვლის შემთხვევაში 400 მმ-მდე საშუალო მრავალწლიური ნორმის ზევით. ამ შემთხვევაში ცოცხლდება ჰომეოსტატიზმის მდგომარეობაში მყოფი თითქმის ყველა მეწყრული სხეული, დინამიკაში მყოფი სხეულები გადადის ექსტრემალურ რეჟიმში, ხოლო სენსიტიური გეოლოგიური გარემოს პირობებში მეწყრული პროცესებისადმი მაღალი რეცეპტორული თვისებების მქონე ფერდობებზე წარმოიქმნება ახალი მეწყრები;

5. **პაროქსიზმული მეწყერი** – იმისდა მიუხედავად, თუ ატმოსფეროს რა სახის ცირკულაციურ რეჟიმთან გვექნება საქმე და ატმოსფერული ნალექები მოვა 400-600 მმ-ზე მეტი საშუალო მრავალწლიური ნორმის ზევით, რომელსაც თან დაერთვის „დატენიანების ეფექტის“ ზრდა ზღვრულ შესაძლებლობამდე, გააქტიურდება სტაბილურ მდგომარეობაში მყოფი ყველა მეწყრული სხეული და წარმოიქმნება მრავალი ახალი, ხოლო მეწყრული პროცესების ექსტრემალური გააქტიურება შეიძლება გადავიდეს რეგიონალური ხასიათის პაროქსიზმულ რეჟიმში, რომელთა არაერთი პარადიგმა გვაქვს საქართველოში.

თუ მეწყრული პროცესების დინამიკურ რეჟიმში გადამწყვეტ როლს თამაშობს ატმოსფერული ნალექების შიდა წლიური გადახრები და „დატენიანების ეფექტი“, **ღვარცოფული**

მოვლენების ტრანსფორმაციაში მთავარი განმსაზღვრელია დღე-ღამეში თავსხმა წვიმების სახით მოსული ნალექების რაოდენობა და ინტენსივობა (წლის თბილ პერიოდში – IV-X თვეები) და ღვარცოფმაფორმირებელი გეოლოგიური პროდუქტის არსებობა.

მთიანი ტერიტორიისათვის დადგენილია, რომ ღვარცოფული პროცესების ფონური მდგომარეობა იწყება დღეღამეში მოსული ნალექებით 30-40 მმ დიაპაზონში. შესაბამისი გეოლოგიური გარემოს პირობებში ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფები დიდი ენერგიითა და მოცულობებით იწყება 50-80 მმ-ის დიაპაზონში; 80-100 მმ-ის და მეტი ნალექების მოსვლის პირობებში, როდესაც გაჯერებული იქნება ღვარცოფმაფორმირებელი გეოლოგიური პროდუქტით, ადგილი ექნება კატასტროფული ხასიათის ღვარცოფებს. ამის კლასიკურ მხარეს წარმოადგენს ცენტრალური კავკასიონის მდინარეების – არაგვის, თერგის, ფშავის არაგვის, ხევსურეთის არაგვისა და არღუნის შენაკადები.

3.3. საკვლევ ტერიტორიაზე გეოლოგიური საფრთხეებით გართულებული დაძაბული უბნები და მათი დახასიათება

ისტორიული გეოლოგიური მონაცემების და საველე გეოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად საკვლევი არეალის ფარგლებში დაფიქსირდა:

1) სხვადასხვა მასშტაბის 42 მეწყერი;

2) კლდეზვავ-ქვათაცვენის 31 უბანი;

3) 115 ღვარცოფმაფორმირებელი წყალსადინარი;

4) მდინარეთა ნაპირების გარეცხვის და სიღრმითი ეროზიის 17 უბანი.

აღნიშნული პროცესებისთვის მომზადდა მონაცემთა ბაზა გეოსაინფორმაციო სისტემაში (GIS), თითოეული იდენტიფიცირებული საფრთხე დატანილია რუკაზე, რომლის საფუძველზეც შედგენილია საფრთხეების ზონირების (დარაიონება) რუკები (დანართები 4-15).

ქვემოთ ვიძლევით საკვლევ არეალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე აფიქსირებული მნიშვნელოვანი გეოლოგიური საფრთხეების დახასიათებას.

ჟინვალი – ბარისახო – შატილის საავტომობილო გზის მონაკვეთი

აქტიური მეწყრული პროცესის (ნახ.3.3.1) შედეგად ზიანდება მდ. არღუნის ხეობაში დათვისჯვარი – შატილი – მუცოს საავტომობილო გზის მონაკვეთები (კოორდ.: X-505804-Y-4710258). საავტომობილო გზაზე დაფიქსირებულია ღვარცოფული ხევი (ნახ. 3.3.2).

ნახ. 3.3.1

ნახ. 3.3.2

მაღალი რისკის შემცველობის კლდეზვავ-ქვათაცვენის უბანი (კოორდ.: X-508532-Y-4715879) პერიოდულად აქტიურდება და საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას (ნახ. 3.3.3-3.3.4).

ნახ. 3.3.3

ნახ. 3.3.4

მდ. არღუნის ხეობის მარჯვენა მხარეს განვითარებულმა კლდეზვავმა (კოორდ.: X-508509-Y-4717081) 2021 წლის გაზაფხულზე გადაკეტა საავტომობილო გზა, დააზიანა გზის ვაკისი და დამცავი გვერდული ბაგირი. შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდა საავტომობილო გზის ოპერატიული გაწმენდა (ნახ. 3.3.5-3.3.6).

ნახ. 3.3.5

ნახ. 3.3.6

მდ. არღუნის მარჯვენა ნაპირის ეროზირებად უბანზე, სადაც ირეცხება 2-3 მ სიმაღლის ნაყარი გრუნტი და მასზედ არსებული გზის ვაკისი (კოორდ.: X-508626-Y-4717282), დაზიანებულია გვერდული ბაგირები (ნახ. 3.3.7-3.3.8).

ნახ. 3.3.7

ნახ. 3.3.8

მდ. არღუნის მარჯვენა ნაპირის გარეცხვის უბანზე (ნახ. 3.3.9 – კოორდ.: X-508969-Y-4717564) ირეცხება 2-3 მ სიმაღლის ნაყარი გრუნტი და მასზედ არსებული გზის ვაკისი, ასევე ამ უბანზე განვითარებულია მეწყრული პროცესები (კოორდ.: X-509007-Y-4717572) და დაზიანებულია გვერდული ბაგირები (ნახ. 3.3.10).

ნახ. 3.3.9

ნახ. 3.3.10

მდ. არღუნის მარცხენა ნაპირის გარეცხვის უბანზე (კოორდ.: X-509365-Y-4718837) ზიანდება კოლუვიურ ნაფენებსა და ნაყარ გრუნტზე გაყვანილი გზის ვაკისი. აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობს მდინარის მარჯვენა მხარეს არსებული კლდეზვავ-ქვათაცვენის უბნის პერიოდული რეაქტივიზაციის შედეგად მდინარის ნაკადის მარცხენა ნაპირისკენ მიმართვა (ნახ. 3.3.11-3.3.12).

ნახ. 3.3.11

ნახ. 3.3.12

დელუვიურ-კოლუვიურ ნალექებში განვითარებულია ჩამოქცევითი ტიპის მეწყრული სხეული, რომლის მასალაც აკუმულირდება გზის ვაკისსა (კოორდ.: X-511435-Y-4720332) და მდ. არღუნის მარჯვენა ნაპირის გარეცხვის უბანზე (ნახ. **3**.3.13-3.3.14).

ნახ. 3.3.13

ნახ. 3.3.14

მდ. არღუნი რეცხავს მარჯვენა ნაპირს (კოორდ.. X-511705-Y-4720680; X-511589-Y-4720747), რის შედეგადაც ზიანდება გზის ვაკისი და გვერდული ბაგირები (ნახ. 3.3.15-3.3.16).

ნახ. 3.3.15

ნახ. 3.3.16

მდ. არღუნი რეცხავს მარჯვენა ნაპირს (კოორდ.: X-512020-Y-4721312; X-512251-Y-4721616) და აზიანებს საავტომობილო გზის ვაკისს. პროცესს ხელს უწყობს მდინარის კალაპოტში არსებული დიდი ზომის ლოდი, რომელიც ნაკადს მარჯვენა ნაპირისკენ მიმართავს. აღნიშნულ უბანზე პერიოდულად ხდება ერთეული ნატეხოვანი მასალის გრავიტაციული გადაადგილება გზის ვაკისის მიმართულებით (ნახ. 3.3.17-3.3.18).

ნახ. 3.3.17

ნახ. 3.3.18

მდინარის მარცხენა მხარეს დაფიქსირებულია კლდეზვავური ტიპის მეწყერი (კოორდ.: X-512280-Y-4722023), რომლის მასალა აკუმულირებულია საავტომობილო გზის ვაკისზე (ნახ. 3.3.19-3.3.20).

ნახ. 3.3.19

ნახ. 3.3.20

მდინარის ხეობის მარცხენა მხარეს დაფიქსირებულია ქვათაცვენის უბანი (კოორდ.: X-512220-Y-4722409), რომელიც გამოხატულია კოლუვიური შლეიფის სახით.

ნახაზზე – 3.3.21 ჩანს ღვარცოფული ხევის გზით გადაკვეთის უბანი სოფ. შატილის მიმდებარედ. 1500 მმ-იანი რკინის ნაკადგამტარი ამოვსებულია ღვარცოფული მასალით, რის შედეგადაც ხდება ღვარცოფული მყარი ნატანი მასალის გზის ვაკისზე აკუმულირება.

ნახ. 3.3.21

სოფ. შატილში, კოშკების მიმდებარედ, მდ. არღუნი რეცხავს მარცხენა ნაპირს (კოორდ.: X-512907-Y-4722901), რის შედეგადაც თითქმის სრულად დეფორმირებულია მავთულბადიანი ქვა-ყორის ნაპირდამცავი გაბიონი. ნაპირგარეცხვა ასევე მიმდინარეობს კოშკების მოპირდაპირე მხარეს, აქ არსებული ხის კოტეჯების მიმდებარედ. ნაპირგარეცხვების შედეგად საფრთხე ექმნება შიდასაუბნო საავტომობილო გზას, ხის კოტეჯებს და კოშკებს (ნახ. 3.3.22-3.3.23). საჭიროა მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება და ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა.

ნახ. 3.3.22

ნახ. 3.3.23

სოფ. შატილის ტერიტორიაზე მდ. არღუნი რეცხავს მარჯვენა ნაპირს (კოორდ.: X-513040-Y-4722904), რის შედეგადაც ზიანდება შატილი-მუცოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზა. საჭიროა მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება და ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა.

მდ. არღუნი რეცხავს ტბიური ნალექებით აგებულ მარჯვენა ნაპირს (კოორდ.: X-514001-Y-4723577; X-514064-Y-4723651), რომელზეც მდებარეობს შატილი-მუცოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ვაკისი (ნახ. 3.3.24-3.3.25).

ნახ. 3.3.24

ნახ. 3.3.25

ჟინვალი – ბარისახო –დათვისჯვრის უღელტეხილის მონაკვეთი

სხვადასხვა ტიპის გეოლოგიური საფრთხეებია (ღვარცოფი, მეწყერი-კლდეზვავი-ქვათაცვენა, მდინარის ნაპირის გარეცხვა) დაფიქსირებული ჟინვალი – ბარისახო – დათვისჯვრის უღელტეხილის მონაკვეთზე, **მდინარეების – ფშავის არაგვის, ხევსურეთის არაგვისა და გუდანისჭალის ხეობებში** (ნახ. 3.3.26, 3.3.27 და 3.3.28).

ნახ. 3.3.26. ღვარცოფი

ნახ. 3.3.27. მეწყერი-კლდეზვავი-ქვათაცვენა

ნახ. 3.3.28. მდინარის ნაპირის გარეცხვა (ეროზია)

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე განსაკუთრებით აღსანიშნავია მდინარეების – საკანაფისხევის, გუდრუხისხევის, თვალიურას, შარახევის, მაღარულას, ჩარგლურას და სხვათა ღვარცოფული ხევები (ნახ. 3.3.29; 3.3.30).

ნახ. 3.3.29. მდ. საკანაფისხევი

ნახ. 3.3.30. მდ. მაღარულა

სოფ. ბისოში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ბისოს ციხე-სახლი (არქიტექტურული ძეგლი) მდებარეობს (კოორდ.: X-499922, Y-4708555) მდ. გუდანის მარჯვენა სამხრეთული ექსპოზიციის, ძლიერ დახრილი (50-80^0) ფერდობის შუა ნაწილში. გეოლოგიურად აგებულია აალენური სართულის ქვედა ქვესართულით (J_2a_1) და წარმოდგენილია საშუალო და სქელშრეებრივი, საშუალო და წვრილმარცვლოვანი კვარც-არკოზული ქვიშაქვებით, პირიტიანი თიხაფიქლების კონკრეციებით და თიხიანი სიდერიტებით. აალენური ასაკის ნალექები გადაფარულია 3-4 მეტრის სიმძლავრის კოლუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით, რომლებიც ცუდად დახარისხებული და დაუმუშავებელი ნატეხოვანი მასალითაა წარმოდგენილი და თიხა-ქვიშნარითაა სუსტად შეცემენტებული. **ბისოს ციხე-სახლი (არქიტექტურული ძეგლი)** განეკუთვნება გვიან-შუა საუკუნეებს. აგებულია კლდოვანი წყებით და შედგება მიჯრით მდგარი ორი სამსართულიანი ციხე-სახლისგან. ნაგებობაზე ფიქსირდება სხვადასხვა მიმართულების და მასშტაბის ბზარები, აღმოსავლეთის კედელი შეზნექილია, რაც სავარაუდოდ უკავშირდება ადრეულ პერიოდში მომხდარ სეისმურ ბიძგებს. ორივე სახლის სართულშუა გადახურვა და სახურავი ჩაქცეულია. აღნიშნული ფაქტორი ატმოსფერული ნალექების პერიოდში ხელს უწყობს დეფორმაციების მომატებას. ბოლო პერიოდში საავტომობილო გზის გაფართოების მიზნით, 200-220 მეტრ მანძილზე მოხდა ფერდობის ჩამოჭრა, რაც ვიზუალურადაც ფიქსირდება. სავარაუდოდ, სამუშაოების შემდგომ, ფერდობის დიდმა დახრილობამ, ბუნებრივად (მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი) ქანების დაბალმა ფიზიკურ-მექანიკურმა თვისებებმა და ინტენსიური წვიმების შედეგად გრუნტების გადატენიანებამ გამოიწვია ბისოს ციხის და მიმდებარედ არსებული ნაგებობების ქვედა მხარეს, საავტომობილო გზის გასწვრივ დაახლოებით 90 მეტრ მანძილზე ძლიერ გამოფიტული თიხა-ფიქლების ჩამოშლა. ციხე-სახლის ქვედა მხარეს, საავტომობილო გზის გასწვრივ 50 მეტრ მონაკვეთზე, ნაგებობიდან 0,5-1,5 მეტრში წარმოქმნილია დაახლოებით 12 მეტრიანი თითქმის ვერტიკალური ფლატე. მეწყრული სხეულის დინამიკური მდგომარეობის, დიდი დახრილობის (მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი) და ამგები გრუნტების ხარისხის გათვალისწინებით, არსებობს მეწყრული სხეულის რეგრესიულად განვითარების მაღალი რისკი, რა დროსაც შესაძლებელია ციხე-სახლს ძირი გამოეცალოს და არქიტექტურული ძეგლი სრულად დაინგრეს (ნახ. 3.3.31).

ნახ. 3.3.31. მეწყერი

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთი

მდ. არაგვის აუზის თითქმის ყველა შენაკადი ღვარცოფული პროცესების განვითარების მაღალი რისკით ხასიათდება, რომელთა ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს არა მარტო თავსხმა წვიმები, არამედ მეწყრული მოვლენებიც. ღვარცოფმაფორმირებელი გეოლოგიური გარემოს და კლიმატურ-მორფოლოგიური ზონალობიდან გამომდინარე, ღვარცოფული პროცესების ტრანსფორმაციას ადგილი აქვს თითქმის ყოველ წელს, ან შეიძლება განმეორდეს წელიწადში რამდენჯერმე.

ეროზიულ-მეწყრული პროცესების შედეგად ღვარცოფმაფორმირებელი კერების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მდინარე არაგვის ხეობის მარჯვენა ფერდობის ალევის (ლომისის) ქედის აღმოსავლეთი კალთა – **დაბა ფასანაურიდან სოფ. მლეთას შორის,** რომლის ყველა ეროზიულ ხევში შესაბამისი რაოდენობის ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ტრანსფორმირდება სხვადასხვა სიძლიერისა და მოცულობის ღვარცოფული მოვლენები (ნახ. 3.3.32).

ნახ. 3.3.32

მაგალითისათვის, 1953 წლის 17 ივლისს წარმოქმნილმა ღვარცოფებმა მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან საქართველოს სამხედრო გზა ფასანაური-მლეთის მონაკვეთზე, ხოლო 1987 წლის 2-3 ივნისს განვითარებულმა ღვარცოფებმა, რომელთა ზოგიერთი ცალკეული ხევიდან (ჩოხელთხევი, ნაღვარევისხევი, მლეთისხევი) გამოტანილი ქვატალახოვანი მასალის მოცულობამ 1მლნ.მ^3-მდე შეადგინა, წალეკა სოფ. ჩოხელთხევის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქვა-ტალახით მოფინა საავტომობილო გზა და მთლიანად დაფარა სოფლის ეკლესია. ასევე, 2006 წელს მლეთის ხევში დიდი მოცულობის ღვარცოფმა დაფარა ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ მხრივ განსაკუთრებულად რთული ვითარებაა შექმნილი სოფ. მლეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მლეთის ტერიტორიაზე ნათლად იკვეთება ეროზიის სამი გენერაციის მორფოლოგიური ფორმები.

1. მლეთის ხევი და მისი მსგავსი ფორმები, რომლებსაც გამომუშავებული აქვთ წყალშემკრები აუზები და ღვარცოფმაფორმირებელი კერები, შედარებით ღრმად ჩაჭრილი ხეობები "V"-ესებური პროფილით, რომელთაც შექმნილი აქვთ უმეტესად ორ იარუსიანი გამოზიდვის კონუსები და მათში ჩაჭრილი ეროზიული კალაპოტებით უშუალოდ უერთდებიან მთავარ ეროზიულ ბაზისს (მდ. არაგვის კალაპოტს). მათ მიერ გამომუშავებული გამოზიდვის კონუსები 20-40მ სიმაღლის საფეხურებით მდინარის კალაპოტიდან, გამოყენებულია დასასახლებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის;

2. ეროზიული ხრამები, რომელთაც დაწყებული აქვთ წყალშემკრები აუზის ფორმირება და მასში აქტიურად მიმდინარეობს ღვარცოფმაფორმირებელი გეოლოგიური კერების რეგრესიული განვითარება – გაფართოება. მათთვის დამახასიათებელია ეროზიული ჩაჭრის ნაკლები სიღრმე (1.5-10მ), კალაპოტების დიდი დახრილობა, რომლებიც მთავრდება ნახევრად დაკიდებული შესართავი საფეხურებით და ბაზისურ არეალში გამომუშავებული აქვს ახალგაზრდა ერთსაფეხურიანი გამოზიდვის კონუსები;

3. სრულიად ახალგაზრდა (არაუმეტეს 2-3 წლის) **ეროზიული ღრანტეები,** რომელთა უმრავლესობა იწყება ფერდობის შუა ნაწილში, სადაც მეწყრულ-სოლიფლუქციური მოვლენებით უკვე დარღვეულია მისი ზედაპირის მდგრადობა. ასეთ ეროზიულ ფორმებს არ გააჩნია წყალშემკრები სივრცე, ჩაჭრის სიღრმე 0.5-1.0 მ-მდეა, ჯერ კიდევ არ გადაუკვეთია გრუნტის წყლების განტვირთვის დონე, ახასიათებს დიდი დახრილობის კალაპოტები დაკიდებული ბაზისით და აქტიური პროგრესირებადი განვითარება, როგორც სათავისკენ, ასევე ბაზისის მიმართულებით. ამ სახის ეროზიული ფორმები ახლო მომავალში ღვარცოფული პროცესების აქტიური განვითარების სარბიელს წარმოადგენს.

მდ. მლეთის ხევის სიგრძე 1.5 კმ-ია, ხოლო ვიწრობიდან გამოსვლის შემდეგ 890 მეტრი. ხეობას ზედა ნაწილში აქვს ,,V''-ს მაგვარი ფორმა, რომელიც ვიწრობიდან გამოსვლის შემდეგ ღებულობს გაშლილი ხეობის სახეს. ინტენსიური თოვლის დნობისა და თავსხმა წვიმების პერიოდში მდინარის კალაპოტში ფორმირდება მძლავრი ღვარცოფული ნაკადები. სხვადასხვა სიმძლავრის ღვარცოფული ნაკადების ფორმირება ხდება ყოველწლიურად, ხშირად წელიწადში 2-3 ჯერ და დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რა რაოდენობის ნალექები მოვა თავსხმა წვიმების სახით (40 – 50 მმ-ზე ზევით).

ამჟამად კალაპოტში ფიქსირდება ღვარცოფული ნაკადების ახალი გავლის კვალი. მდ. მლეთისხევის ღვარცოფტრანსფორმირებად გეოლოგიურ პროდუქტს წარმოადგენს მის კერაში არსებული ძირითადი ქანების დენუდაციურ – გრავიტაციული და პერიოდულად გააქტიურებული მეწყრული მოვლენები (ნახ. 3.3.33).

ნახ. 3.3.33

სოფ. ქვეშეთში დიდი მოცულობის (დაახლოებით 10000მ^3) ღვარცოფმა გაიარა 2014 წლის ივნისის დასაწყისში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს სამხედრო გზას და სოფლის მოსახლეობას. ღვარცოფმაფორმირებელი ხევი იწყება ალევის (ლომისის) ქედის აღმოსავლური კალთის თხემისპირა ზონაში, სოფელს კვეთს თითქმის ცენტრალურ ნაწილში და უერთდება მდინარე არაგვს მარჯვენა მხრიდან. აღნიშნულ უბანზე ამჟამად გატარებულია კაპიტალური დამცავი ღონისძიება (ნახ. 3.3.34).

ნახ. 3.3.34

კლდეზვავ-ქვათაცვენების პროცესებია განვითარებული **სტეფანწმინდა-ცდო-გველეთის საავტომობილო გზის** ცალკეულ მონაკვეთებზე. აღნიშნული პროცესები პერიოდულად საფრთხეს უქმნის საავტომობილო გზას (ნახ. 3.3.35).

ნახ. 3.3.35

ღვარცოფული პროცესების აქტიური გამოვლინების უბნებია დაფიქსირებული **გუდაური-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთზე** (ნახ. 3.3.36).

ნახ. 3.3.36

2014 წლის 17 მაისს, დარიალის ხეობაში მდინარე თერგისა და მდინარე დევდორაკი-ამალის შესართავში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) ადგილი ჰქონდა კატასტროფული მასშტაბის ღვარცოფულ მოვლენას. 17 მაისს მთა მყინვარწვერზე ჩამოიქცა კლდეზვავური ტიპის მეწყერი, რომელმაც კლდოვან მასალასთან ერთად ჩაითრია მასზე ზედდებული მყინვარულ-თოვლიანი მასა. მყინვარწვერიდან მოწყვეტილი მასის მოცულობამ დაახლოებით 5 მლნ $მ^3$ შეადგინა. ეს მასა თავისუფალი ვარდნით და შემდგომი გადაადგილებით შეეჯახა რა მყინვარ დევდორაკის ენას, რომელმაც თავის მხრივ განიცადა გარკვეული დეფორმაციები, მდინარე დევდორაკის ხეობაში მოხვედრის შემდეგ გადაიზარდა ღვარცოფულ ნაკადში, რომელიც მდინარე ამალთან შეერთების შემდეგ ერთიან ნაკადად ტრანსპორტირდა ქვედა დინებაში. მდინარე ამალისა და მდინარე თერგის შეერთების უბანზე წარმოიქმნა მძლავრი გამოზიდვის კონუსი (დაახლოებით 2 მლნ $მ^3$ მოცულობის), რომელმაც მთლიანად ჩახერგა დარიალის ხეობა, წარმოიქმნა 30 მეტრი სიმაღლის ჯებირი და დააგუბა მდინარე თერგი. აღნიშნული მოვლენის შედეგად თერგის შესართავთან დაიღუპა 8 ადამიანი. 2014 წლის 20 აგვისტოს მდ. დევდორაკის ხეობაში მოსული უხვი ნალექის შედეგად ადგილი ჰქონდა 2014 წლის 17 მაისის მოვლენის დროს ხეობაში აკუმულირებული ჭარბი მასალის დინამიკაში მოსვლას ღვარცოფის სახით (ნახ. 3.3.37), რამაც მდინარე თერგთან ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დასაქმებული 2 ადამიანი იმსხვერპლა.

2014 წლის 17 მაისის და 20 აგვისტოს წარმოქმნილმა პროცესებმა მთლიანობაში ქვეყანას დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა, მწყობრიდან გამოიყვანა საქართველოს სამხედრო გზა, “ჩრდილოეთი-სამხრეთის” მაგისტრალური გაზსადენი, დააზიანა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძა და სატრანსპორტო საშუალებები, გარე სამყაროს მოწყვიტა მესაზღვრეთა ბაზა, საბაჟო-გამშვები პუნქტი, საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენცია და დიდი ყოფითი პრობლემები შეუქმნა იქ მომსახურე პერსონალს. აღნიშნული კატასტროფის ძირითადი გამომწვევი მიზეზებია ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, მორფოლოგიური პირობები, ასევე კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზემოქმედება.



ნახ. 3.3.37

სტიქიის შემდეგ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით შვეიცარიულმა კომპანიამ დაამონტაჟა ადრეული შეტყობინების თანამედროვე სისტემა, რომელიც როგორც ღვარცოფის სათავეს, ასევე მდინარის ხეობაში წყლის კრიტიკულ დონეებს აკონტროლებს თანამედროვე ტექნოლოგიებით. ასევე შეიქმნა მონაცემების კომუნიკაციის ერთიანი სისტემა, რაც ადრეული გაფრთხილების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს [1]. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ბოლო პერიოდში გაყვანილი იქნა საავტომობილო გვირაბი, რის შედეგადაც მომავალში საკუთრივ საავტომობილო გზაზე პრაქტიკულად გამოირიცხა რაიმე სახის სერიოზული გართულებები.

3.4. საადაპტაციო ღონისძიებები

მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები – საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებული მეწყერების გენეზისიდან, აქტიურობის ხარისხიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, შემუშავებული იქნა ის ძირითადი საადაპტაციო დამცავი ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შევამციროთ მათი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, ან სრულად აღმოვფხვრათ მათი ნეგატიური შედეგები [2] .

არჩევენ **პასიურ (პროფილაქტიკური)** და **აქტიურ (კაპიტალურ)** მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს.

პასიური: 1) **აკრძალვითი** – ფერდობების ჩამოჭრა, ნაგებობების მშენებლობა, მიწების სასოფლო-სამეურნეო დამუშავება, მცენარეული საფარის განადგურება, მორწყვა, სამთო სამუშაოები და სხვა; 2) **მარეგულირებელი** – სამეურნეო საქმიანობის შემცირება, სხვადასხვა რეკომენდაციები.

აქტიურ ანუ კაპიტალურ საინჟინრო მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს განეკუთვნება **სპეციალური ნაგებობები** – ფერდობსამაგრი კედლები, ნაკადების მიმართულების შემცვლელები, ფერდობებზე ქანების ფიზიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედება და სხვა.

მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები ასევე შეიძლება დავყოთ **პრევენციულ და საინჟინრო** დამცავ ღონისძიებებად.

პრევენციული ღონისძიებების დანიშნულებაა ფერდობებზე მეწყრული პროცესების ფორმირებამდე ან მეწყრული პროცესების გააქტიურების საწინააღმდეგო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება ფერდობის მდგრადობის ზრდისკენ.

მეწყრული ფერდობების მდგრადობის გაზრდის **საინჟინრო ღონისძიებები** შემდეგია:

ა) რელიეფის შეცვლა ფერდობებში ამძრავი ძალების შემცირების მიზნით (ციცაბო საფეხურების მოჭრა-მოსწორება, ფერდობის დატერასება, გრუნტის კონტრბანკეტების მოწყობა და სხვა);

ბ) ქანების არამდგრადი მასივების და ერთეული ლოდების მოხსნა (ზოგჯერ სუსტი გრუნტების შეცვლა მდგრადით);

გ) სხვადასხვა შემაკავებელი ნაგებობებისა და კონსტრუქციების გამოყენება (საყრდენი კედლები, კონტრფორსები, შემაკავებელი ხიმინჯები და სვეტები, ანკერები, დაანკერებული ფილები, გამამაგრებელი ფილები, პლომბები);

დ) ფერდის მასივის გაწყლოვანების შემცირება (სხვადასხვა ტიპის დრენაჟების მოწყობა, აგროსატყეო მელიორაცია და სხვა);

ე) კლდეზვავ-ქვეთაცვენის ტიპის მეწყრებისთვის: ფერდობების პერიოდული გაწმენდა ცალკეული ლოდებისგან, დამცავი ბადეების და ზღუდარების მოწყობა, შესაბამისი საგზაო ნიშნების გამოყენება, საშიშროების შემცველი უბნების მონიტორინგი.

ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებები – ღვარცოფული ნაკადების შესარბილებლად – რკინა-ბეტონის და ქვის წყობის დამბები და ზღურბლები; ღვარცოფული ნაკადების გასატარებლად – ღვარცოფგამტარები, არხები, ხიდები, მიმმართველები, დამბები, დეზები; ღვარცოფული ნაკადების დინამიკის შესამცირებლად – საგუბარების კასკადის მოწყობა, კალაპოტების დასაფეხურება, აგროსატყეო მელიორაცია, კალაპოტების პერიოდული გაწმენდა; ღვარცოფული ნაკადების მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების სისტემის ორგანიზაცია.

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები – პროცესის ტიპიდან გამომდინარე ღონისძიებები შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ჯგუფად: კალაპოტის ეროზიული პროცესებისგან დამცავი საინჟინრო ღონისძიებები; ფართობული ეროზიისგან დამცავი საინჟინრო ღონისძიებები და დახრამვითი ეროზიისგან დამცავი ღონისძიებები; შესაბამისად, დამცავი ღონისძიებებიც ამის მიხედვით უნდა შეირჩეს, კერძოდ:

1) **კალაპოტის ეროზიული პროცესებისგან დამცავი საინჟინრო ღონისძიებები:**
   - ეროზიის საწინააღმდეგო კედლები;
   - მიმმართველი და შემაკავებელი დამბები და დეზები;
   - კალაპოტის გასწორხაზოვნება;
   - სხვადასხვა ტიპის კომბინირებული ღონისძიებები.

2) **ფართობული ეროზიისგან დამცავი საინჟინრო ღონისძიებები:**

გაშიშვლებული ფერდების დაცვა გამოფიტვისგან:
   - დამცავი საფარები (მაგ: „რენოს მატრასები“ და სხვა);
   - ბალახოვან-მცენარეული საფარის შექმნა (ბიოინჟინერია).

3) **დახრამვითი ეროზიისგან დამცავი ღონისძიებები:**
   - ხრამების ძირების გამაგრება;
   - ზედაპირული ნაკადების ორგანიზება;
   - ხრამების ამოვსება;

– სადრენაჟო-წყალგამშვები კოლექტორების მოწყობა;

– ფერდობების გრუნტის მასების გაძლიერებული გაწყლოვანების თავიდან აცილება ინფილტრაციის ხარჯზე (წყალმოსაცილებელი ღარების და თხრილების სისტემები, აგროსატყეო მელიორაცია, ზედა მხრის თხრილები).

ლიტერატურა:

[1] საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი (2020). თბილისი, 541 გვერდი. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/unfccc-fourth-national-communication.html

[2] გაფრინდაშვილი, გ. (2016). საქართველოს სამხრეთ მთიანეთის გეოდინამიკური პროცესები და მოსალოდნელი გეოეკოლოგიური გართულებები. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოპოვებული http://press.tsu.ge/data/image_db_innova/zustadasabunebismety/giorgi_gafrindashvili.pdf-დან

თავი 4

კლიმატი და ჰიდროლოგია

4.1. ჰაერის ტემპერატურა

რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მრავალფეროვნების და სიმაღლეთა სხვაობის დიდი დიაპაზონის გამო, ტემპერატურის განაწილებას კონტრასტული ხასიათი აქვს. ტემპერატურის ცვლილების მთავარი ფაქტორი რეგიონში ადგილის სიმაღლეა. სიმაღლის გაზრდასთან ერთად ტემპერატურა ეცემა. ცხრილი 4.1.1-ის თანახმად, ყველაზე ცივი თვე ძირითადად იანვარია, მაღალმთიან ზონაში კი თებერვალი (ყაზბეგი, მაღალმთიანი) [1; 2].

ცხრილი 4.1.1. ჰაერის ტემპერატურა, ^{0}C

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ.დ., მ	თ ვ ე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი, 403	1,7	2,8	6,9	12,8	17,4	21,2	24,4	23,7	19,6	13,4	8,1	3,8	13,0
დუშეთი, 922	-1,4	-0,5	3,5	8,9	13,9	17,2	20,2	20,4	16,3	11,2	5,5	0,8	9,7
ფასანაური, 1070	-4,1	-2,6	1,9	7,4	12,4	15,6	18,5	18,5	14,4	9,4	3,7	-1,6	7,8
თიანეთი, 1099	-4,7	-3,1	1,3	7,0	12,4	15,7	18,6	18,5	14,4	9,2	3,3	-2,1	7,5
ბარისახო, 1325	-4,7	-3,6	0,6	6,0	10,9	13,6	16,5	16,4	12,6	8,1	2,6	-2,4	6,4
სტეფანწმინდა, 1744	-5,2	-4,7	-1,5	4,0	9,0	11,8	14,4	14,4	10,6	6,6	1,5	-2,6	4,9
კობი 2, 1962	-8,4	-7,6	-4,0	1,7	6,8	10,2	12,9	13,2	9,5	5,1	-0,5	-5,7	2,8
კობი 1, 1987	-8,0	-6,6	-2,9	2,7	8,1	11,6	13,8	13,9	9,8	5,2	-0,5	-5,4	3,5
გუდაური 2, 2194	-7,7	-7,7	-4,6	0,4	5,5	9,1	12,3	12,3	8,3	4,0	-1,2	-5,3	2,1
გუდაური 1, 2197	-6,7	-6,1	-2,6	2,0	6,8	10,5	13,2	13,3	9,8	5,2	-0,4	-4,4	3,3
ჯვრის უღ., 2396	-11,4	-10,8	-7,2	-1,6	3,8	7,8	10,5	10,6	6,8	2,1	-4,6	-8,7	-0,2
ყაზბეგი მ/მ, 3653	-15,0	-15,3	-12,2	-8,0	-3,5	-0,3	3,0	3,4	0,0	-4,1	-8,6	-12,3	-6,1

სიმაღლის მიხედვით ტემპერატურის წლიური სვლის დეტალები კარგად ჩანს ნახ. 4.1.1-ზე წარმოდგენილი დიაგრამიდან.



ნახ. 4.1.1. ტემპერატურის წლიური სვლის ცვლილება სიმაღლის მიხედვით დისკრეტულ წერტილებში უდიდესი და უმცირესი თვიური ტემპერატურების სიმაღლის მიხედვით

საშუალო წლიური და თვიური ტემპერატურების ცვლილება სიმაღლის მიხედვით კარგად აღიწერება წრფივი ფუნქციით (ნახ. 4.1.2). დეტერმინაციის კოეფიციენტები ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს ადგილის სიმაღლის მნიშვნელოვან როლს ტემპერატურის ველის ჩამოყალიბებაში.



ნახ. 4.1.2. ჰაერის ტემპერატურის ცვლილება სიმაღლის მიხედვით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და შესაბამისი აღმწერი ფუნქციები: 1-იანვარი; 2-ივლისი; 3-წელი
(R^2-დეტერმინაციის კოეფიციენტია)

ნახ. 4.1.2-დან და შესაბამისი განტოლებებიდან ირკვევა, რომ ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი ივლისის საშუალო თვიური და საშუალო წლიური ტემპერატურებისათვის ყოველ 100მ სიმაღლეზე 0.5^0-ს, ხოლო იანვრის ტემპერატურისათვის 0.4^0-ს შეადგენს, რაც ზამთრისათვის დამახასიათებელი ინვერსიების შედეგია. ამავე ნახაზზე წარმოდგენილი დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენია ადგილის სიმაღლის წილი ტემპერატურის ცვლილებაში. როგორც დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები

გვიჩვენებს, ადგილის სიმაღლის წილი ტემპერატურის ცვლილებაში ძირითადად გადამწყვეტია და 100 %-ს უახლოვდება, მხოლოდ იანვარში 90%-ს შეადგენს, ასევე ინტენსიური ინვერსიული პროცესების გამო. მიღებული დამოკიდებულებების და განტოლებების მაღალი საიმედოობიდან გამომდინარე, შეგვიძლია საკმაო სიზუსტით ვიმსჯელოთ სხვადასხვა სიმაღლითი სარტყლის ტემპერატურულ რეჟიმზე და წარმატებით გამოვიყენოთ ისინი სხვადასხვა გაანგარიშებებში.

რეგიონის ტერიტორიის ტემპერატურული რეჟიმი კარგად აისახება ნახ. 4.1.3-4.1.7-ზე წარმოდგენილ იზოთერმების რუკებზე [3].



ნახ. 4.1.3. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა [3]

ნახ. 4.1.4. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა (იანვარი) [3]

ნახ. 4.1.3-დან ჩანს, რომ ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა რეგიონის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ძირითადად დადებითია და მინუს 6-დან 10-12^{0}C -მდე იცვლება. უდიდესი ტემპერატურები აღინიშნება მდინარეების არაგვისა და ქსნის ქვემო დინებებსა და მტკვრის ხეობაში, ხოლო უმცირესი -კავკასიონის მაღალმთიან ზონაში.

ნახ. 4.1.4-ის თანახმად, იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა ყველგან უარყოფითია და ძირითადად მინუს 14-16^{0}C-დან მინუს 1-2^{0}C -მდე ფარგლებში მერყეობს. უდიდესი ტემპერატურები აღინიშნება აგრეთვე მდინარეების არაგვისა და ქსნის ქვემო დინებებსა და მტკვრის ხეობაში, ხოლო უმცირესი კავკასიონის მაღალმთიან ზონაში აღინიშნება.

აპრილში (ნახ. 4.1.5) ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ტემპერატურა დადებითია და 10-12^{0}C -მდე აღწევს, მაღალმთიან ზონაში კი უარყოფითია და მინუს 8-10^{0}C-მდე ეცემა. ამ შემთხვევაშიც უდიდესი ტემპერატურები აღინიშნება აგრეთვე მდინარეების არაგვისა და ქსნის ქვემო დინებასა და მტკვრის ხეობაში, ხოლო უმცირესი – კავკასიონის მაღალმთიან ზონაში.



ნახ. 4.1.5. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა (აპრილი) [3]



ნახ. 4.1.6. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა (ივლისი) [3]



ნახ. 4.1.7. ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა (ოქტომბერი) [3]

ივლისის თვეში (ნახ. 4.1.6) ჰაერის საშუალო ტემპერატურა ყველგან დადებითია და 4-დან 22^{0}C -მდე იცვლება, მაქსიმუმის და მინიმუმის ძირითადი ადგილები შენარჩუნებულია.

ოქტომბრის თვის ტემპერატურა (ნახ. 4.1.7) მინუს 4-დან პლიუს 12-14^{0}C -ფარგლებში მერყეობს. ამ თვეშიც შენარჩუნებულია ძირითადი გეოგრაფიული კანონზომიერება – უდიდესი ტემპერატურები მდინარეების არაგვის და ქსნის ქვემო დინებაში და მტკვრის ხეობაში, ხოლო უმცირესი კავკასიონის მაღალმთიან ზონაში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ტემპერატურის წლიური სვლა ხასიათდება მინიმუმით იანვარში, ხოლო მაქსიმუმით – ივლის-აგვისტოში.

ასეთივე სვლა აქვს ტემპერატურის ექსტრემალურ მახასიათებლებს – აბსოლუტურ მინიმუმს და აბსოლუტურ მაქსიმუმს, საშუალო მინიმუმს და საშუალო მაქსიმუმს. ეს კარგად ჩანს ნახ. 4.1.8- დან, სადაც წარმოდგენილია ჰაერის ტემპერატურის საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების წლიური სვლა სამ განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში: დუშეთში, გუდაურსა და მაღალმთიან ყაზბეგში.







ნახ. 4.1.8. ჰაერის ტემპერატურის საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების წლიური სვლა: **1** – აბსოლუტური მინიმუმი; **2** – საშუალო; **3** – აბსოლუტური მაქსიმუმი

როგორც ნახ. 4.1.8 – დან ჩანს, ექსტრემალურ ტემპერატურათა მნიშვნელობანი რეგიონში საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობს. მაგალითად, გუდაურში იანვარში ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი მინუს 30 გრადუსზე დაბლა ეცემა, ხოლო ზაფხულში ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 30 გრადუსს აღწევს. მაღალმთიან ყაზბეგში იანვარში ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი მინუს 40 გრადუსზე დაბლა ეცემა, ხოლო ზაფხულში ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 18-20 გრადუსს აღწევს [4].

4.2. ჰაერის სინოტივე

სინოტივის ძირითადი მახასიათებლებია წყლის ორთქლის პარციალური წნევა და ჰაერის შეფარდებითი სინოტივე. წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ჰაერის ტემპერატურის მსგავსად, წლიურ სვლაში უმცირეს მნიშვნელობებს ზამთარში, ხოლო უდიდესს მნიშვნელობებს _ზაფხულში აღწევს [1; 2]. ამასთანავე სიმაღლის ზრდით პარციალური წნევაც აგრეთვე კანონზომიერად კლებულობს (ცხრ. 4.2.1).

ცხრილი 4.2.1. ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა (ჰპა)

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ.დ., მ	თ ვ ე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი, 403	5,0	5,2	5,9	8,5	12,2	14,6	16,8	16,3	13,8	10,7	8,1	5,7	10,2
დუშეთი, 922	4,3	4,5	5,2	7,7	11,3	13,8	16,1	15,5	13,0	9,6	7,0	5,0	9,4
ფასანაური, 1070	3,7	4,0	4,9	7,2	10,5	12,9	15,2	14,7	12,1	8,8	6,3	4,5	8,7
თიანეთი, 1099	3,9	4,3	5,2	7,6	11,0	13,5	15,8	15,1	12,6	9,0	6,5	4,8	9,1
ბარისახო, 1325	3,5	3,8	4,7	6,7	9,6	12,0	14,2	13,9	11,4	8,1	5,8	4,2	8,2
სტეფანწმინდა, 1744	2,8	3,0	3,7	5,6	8,0	10,0	12,1	11,6	9,1	6,2	155	3,3	6,7
კობი 2, 1962	2,2	2,6	3,3	5,0	7,6	9,3	11,2	10,9	8,7	6,1	4,1	2,9	6,2
გუდაური 2, 2194	2,5	2,8	3,4	4,8	7,0	9,0	11,0	10,7	8,6	6,0	4,1	3,0	6,1
ჯვრის უღ,, 2396	2,3	2,5	3,1	4,6	6,4	8,5	10,5	10,2	8,1	5,5	3,8	2,8	5,7
ყაზბეგი მ/მ, 3653	1,4	1,4	1,6	2,5	3,5	4,4	5,5	5,4	4,1	2,9	2,1	-1,6	3,0

ცხრილიდან ჩანს, რომ წლის განმავლობაში პარციალური წნევის საშუალო წლიური მნიშვნელობა რეგიონის ტერიტორიაზე იცვლება დაახლოებით 3-დან 10 ჰპა-მდე ფარგლებში, უდიდესია დაბალმთიან სადგურებზე, ხოლო უმცირესია მაღალმთიან ყაზბეგში.

იანვარში წყლის ორთქლის პარციალური წნევა უმცირესია და მერყეობს 1-დან 4-5 ჰპა-ფარგლებში. გაზაფხულიდან პარციალური წნევა იზრდება და მაქსიმუმს ივლის-აგვისტოში აღწევს, როდესაც ის 5-16 ჰპა ფარგლებში იცვლება. შემოდგომიდან პარციალური წნევა კვლავ კლებულობს.

ჰაერის სინოტივის აგრეთვე მნიშვანელოვანი მახასიათებელია შეფარდებითი სინოტივე. ის წარმოადგენს ჰაერში შემავალი წყლის ორთქლის პარციალური წნევის შეფარდებას გაჯერებული წყლის ორთქლის პარციალურ წნევასთან იმავე ტემპერატურაზე და გამოისახება პროცენტებში (%). ეს პარამეტრი დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე, ცირკულარულ პროცესებზე, ღრუბლიანობაზე, ქარის რეჟიმზე, ოროგრაფიაზე და ა.შ. შეფარდებით სინოტივეს სინოტივის სხვა მახასიათებლების მსგავსად ახასიათებს სეზონური სვლა, თუმცა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე (ცხრ. 4.2.2).

ცხრილი 4.2.2. ჰაერის შეფარდებითი სინოტივე (%)

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ.დ., მ	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი, 403	73	69	66	62	64	60	56	57	64	73	77	76	66
დუშეთი, 922	72	72	70	68	72	70	69	68	72	75	75	74	71
ფასანაური, 1070	76	74	73	70	74	74	73	72	76	77	77	77	74
თიანეთი, 1099	81	80	78	75	76	75	74	73	78	80	82	82	78
ბარისახო, 1325	76	76	73	72	75	77	77	77	80	78	78	76	76
სტეფანწმინდა, 1744	62	63	66	69	70	71	74	72	72	87	64	61	68
კობი 2, 1962	64	64	67	69	72	73	74	74	74	75	65	64	69
გუდაური 2, 2194	72	74	76	74	76	76	76	75	78	75	72	68	74
ჯვრის უღ., 2396	78	80	84	80	82	82	83	83	86	82	79	75	81
ყაზბეგი მ/მ, 3653	66	68	68	69	70	71	70	69	66	63	60	60	67

როგორც ცხრილიდან ჩანს, შეფარდებითი სინოტივის საშუალო წლიური მნიშვნელობა 67-81% ფარგლებში მერყეობს. წლიურ სვლაში მაქსიმუმი დაბალი და საშუალო მთის ზონაში ზამთარში ან შემოდგომის დასაწყისში, ძირითადად ნოემბერ-იანვარში იცის, ხოლო მინიმუმი ძირითადად გაზაფხულზე აღინიშნება. მაღალმთიან ზონაში შეფარდებითი სინოტივის მაქსიმუმი ზაფხულში ან შემოდგომის დასაწყისში, ხოლო მინიმუმი ზამთარში აღინიშნება.

4.3. ატმოსფერული ნალექები

ატმოსფერული ნალექები კლიმატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ასევე გვევლინება სტიქიური ჰიდროლოგიური და გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. ცხრილში 4.3.1 წარმოდგენილია ატმოსფერული ნალექების თვიური და წლიური ჯამების მნიშვნელობები რეგიონის მთავარ პუნქტებში.

ცხრილი 4.3.1. ატმოსფერული ნალექების თვიური და წლიური ჯამები (მმ)

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ. დ., მ	თ ვ ე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი, 403	16	22	31	52	86	72	48	37	42	42	35	22	505
დუშეთი, 922	35	43	50	77	121	104	62	51	60	57	45	34	739
ფასანაური, 1070	49	60	70	103	144	133	101	83	77	68	59	52	999
თიანეთი, 1099	44	52	61	89	137	122	83	66	71	62	53	38	878

ბარისახო, 1325	57	72	83	117	160	150	113	93	86	78	68	59	1136
სტეფანწმინდა, 1744	27	35	53	81	110	104	90	89	72	56	39	30	786
კობი 2, 1962	50	66	98	114	147	142	128	104	97	85	71	58	1160
გუდაური 2, 2194	90	107	132	160	205	180	145	124	112	116	112	102	1585
ჯვრის უღ., 2396	104	137	147	172	220	186	150	129	118	125	125	119	1733
ყაზბეგი მ/მ, 3653	63	71	-95	147	183	165	150	168	121	99	83	58	1404

ცხრილი 4.3.1-დან ჩანს, რომ რეგიონის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში უდიდესი ნალექი მაღალმთიან ზონაში მოდის. წლიურ სვლაში მათი მაქსიმუმი გაზაფხულზე, ან ზაფხულში აღინიშნება, ხოლო უმცირესი ნალექი უმთავრესად ზამთარში მოდის. რეგიონში ნალექების წლიური სვლის მთელ მრავალფეროვნებას კარგად გამოხატავს ნახ. 4.3.1-ზე წარმოდგენილი დიაგრამა.



ნახ.4.3.1. ნალექების თვიური ჯამების წლიური სვლის სიმაღლის მიხედვით ცვლილების ველი

ნახ. 4.3.1-ზე წარმოდგენილი ველი კარგად გამოსახავს ნალექების წლიური სვლის სიმაღლის მიხედვით ცვლილების დეტალებს. კერძოდ, კარგად მოჩანს ზედაპირის დადებითი ფორმები (ამოზნექილობა), რაც შეესაბამება ნალექების მაქსიმუმებს ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში.

ნალექების თვიური ჯამები დიდ ფარგლებში მერყეობს. ეს კარგად ჩანს ნახ. 4.3.2-ზე ფასანაურის მაგალითზე წარმოდგენილი ნალექების უდიდესი, საშუალო და უმცირესი თვიური ჯამების ჰისტოგრამებიდან.



4.3.2. ატმოსფერული ნალექების უდიდესი, საშუალო და უმცირესი თვიური ჯამების წლიური სვლა ფასანაურში

როგორც ნახ. 4.3.2-დან ჩანს, ზამთრის თვეების განმავლობაში შესაძლებელია ნალექი საერთოდ არ მოვიდეს, ან უმნიშვნელო რაოდენობით მოვიდეს. ამავე დროს ცალკეულ წლებში ნებისმიერ თვეს შესაძლებელია მოვიდეს ნალექების ისეთი რაოდენობა, რომ ჯამში რამდენიმეჯერ აღემატებოდეს ნალექების თვიურ ნორმას. ნალექებისათვის ეს დამახასიათებელია, რადგანაც დიდი დისპერსიით ხასიათდება. ექსტრემალური დღეღამური ნალექები ცალკე პარაგრაფში განიხილება.

მთებში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ნალექთა ჯამების ცვლილება სიმაღლის მიხედვით. ნახ. 4.3.3-ზე წარმოდგენილია ნალექების ჯამების სიმაღლის მიხედვით ცვლილება რეგიონში, შესაბამისი აღმწერი ფუნქცია და დეტერმინაციის კოეფიციენტი.



ნახ. 4.3.3. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამების ცვლილება სიმაღლის მიხედვით და შესაბამისი აღმწერი ფუნქცია (R^2-დეტერმინაციის კოეფიციენტია); X – ადგილის სიმაღლე, Y – ნალექების ჯამი, 1- ნალექების წლიური ჯამი, 2 – ცივი პერიოდის ნალექების ჯამი, 3 – თბილი პერიოდის ნალექების ჯამი.

დეტერმინაციის კოეფიციენტი ნალექთა წლიური ჯამისათვის 0.67-ს უდრის, თბილი პერიოდის ნალექებისათვის – 0.76, ხოლო ცივი პერიოდის ნალექებისათვის – 0.52-ია, რაც იმას ადასტურებს, რომ ადგილის სიმაღლის ხვედრითი წილი ნალექთა ჯამის ცვლილებაში შედარებით მნიშვნელოვანია წლის თბილი პერიოდის განმავლობაში და 76%-ს შეადგენს.

დანარჩენი წილი, ანუ 24%, ნალექთა ჯამების გადანაწილებაში რელიეფის ფორმას და სხვა მორფომეტრულ ფაქტორებს შეაქვს.

ატმოსფერული ნალექების ტერიტორიული განაწილების შემაჯამებელი იზოჰიეთების რუკები წარმოდგენილია ნახ. 4.3.4 – ნახ.4.3.6-ზე [3]. ამ რუკებიდან კარგად ჩანს ნალექების სივრცობრივი განაწილების კანონზომიერებები.

ნახ. 4.3.4. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამები (მმ) [3]



ნახ. 4.3.5. ატმოსფერული ნალექების ჯამები წლის ცივ პერიოდში (მმ) [3]

ნახ. 4.3.6. ატმოსფერული ნალექების ჯამები წლის თბილ პერიოდში (მმ) [3]

ნახ. 4.3.4 – 4.3.6-ის თანახმად, რეგიონის ტერიტორიაზე მოსული ნალექების წლიური ჯამები მერყეობს 400-500-დან 1500-1600 მმ-მდე. წლის ცივი პერიოდის ნალექები დაახლოებით 100-1000 მმ-მდე შეადგენს, ხოლო წლის თბილი პერიოდის ნალექები-200-300 მმ-დან 1400 მმ-მდე შეადგენს. უმცირესი რაოდენობის ნალექები მდინარეთა ხეობებშსა და დაბალ მთაში მოდის, ხოლო ნალექების უდიდესი რაოდენობა კავკასიონის მაღალმთიან ქედებზე აღინიშნება.

ცხრილში – 4.3.2 წარმოდგენილია ატმოსფერული ნალექების მნიშვნელოვანი მახასიათებელი – ნალექიან დღეთა რაოდენობა.

ცხრილი 4.3.2. ნალექიან დღეთა რაოდენობა

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ.დ., მ	თ ვ ე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი, 403	6,5	7,5	8,8	11,8	15,1	11,7	9,1	7,5	8,7	9,2	8,7	6,8	111
დუშეთი, 922	9,3	9,5	10,8	11,9	15,5	12,1	9,5	8,1	8,5	9,3	9,0	8,9	122
ფასანაური, 1070	10,3	10,7	12,7	15,0	19,7	16,9	13,5	11,8	11,0	10,9	9,0	8,9	150
თიანეთი, 1099	9,5	10,7	12,9	13,9	16,8	14,1	11,2	9,1	10,3	10,9	10,6	9,5	140
ბარისახო, 1325	9,0	9,9	11,8	12,7	19,0	16,6	13,6	12,2	11,3	9,9	8,3	8,1	132
სტეფანწმინდა, 1744	7,0	7,1	9,4	12,2	16,3	15,3	12,7	11,2	9,5	8,2	7,2	6,2	122
გუდაური 2, 2194	12,5	13,3	15,1	17,4	21,3	19,5	17,2	14,6	14,6	13,1	12,7	11,7	183
ჯვრის უღ., 2396	12,6	13,2	15,6	17,4	20,5	18,3	17,2	14,8	14,4	12,5	12,4	12,0	181
ყაზბეგი მ/მ, 3653	10,7	12,1	15,4	16,5	20,7	19,8	17,1	15,5	14,1	13,6	12,0	11,3	179

ცხრილიდან ჩანს, რომ ნალექიან დღეთა რიცხვი რეგიონში საშუალოდ 120-180 დღეს შეადგენს. ნალექიან დღეთა რიცხვის წლიური სვლა ძირითადად შეესაბამება ნალექების ჯამების წლიურ სვლას: მაქსიმუმი – გვიან გაზაფხულზე, ან ზაფხულში, ხოლო მინიმუმი - ზამთარში.

4.4. თოვლის საფარი

საკვლევი რეგიონის მთიანი ზონა ხშირი თოვლიანობით ხასიათდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თოვლის საფარის არსებობის ხანგრძლივობა. ზღვის დონიდან 1000მ სიმაღლეზე თოვლის საფარიანი დღეთა რაოდენობა წელიწადში დაახლოებით 70-100 დღეა, 2000მ სიმაღლეზე – 170, 3000მ სიმაღლეზე – 280 და ა.შ. ადგილის სიმაღლის შესაბამისად მატულობს აგრეთვე თოვლის საფარის სიმაღლე (ნახ 4.4.1).

ცხრილში – 4.4.1 მოცემულია თოვლის საფარის საშუალო თვიური სიმაღლეები მეტეოსადგურებზე არსებული მუდმივი ლარტყის მონაცემებით [2].

როგორც ცხრილი 4.4.1- დან ჩანს, თოვლის საფარის საშუალო თვიური და მაქსიმალური მნიშვნელობებით გამოირჩევა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდ. არაგვის აუზი. აქ განლაგებულ სადგურებზე თოვლის საფარის უდიდესი სიმაღლეების საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობები შეადგენს სადგურ ფასანაურში (1070მ) 48 და 105სმ-ს, მლეთაში (1580მ) 96 და 241სმ-ს, გუდაურში (2194მ) 152 და 260სმ-ს, ხოლო ჯვრის უღელტეხილზე (2395მ) 156 და 334სმ-ს.

ნახ.4.4.1. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე, სმ [3]



ნახ. 4.4.2. თოვლის საფარის რღვევის საშუალო თარიღები [3]

ცხრილი 4.4.1. თოვლის საფარის საშუალო თვიური სიმაღლე (სმ)

მეტეოსადგური	თ ვ ე										ზამთარში		
	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	საშ.	მაქს.	მინ.
ყაზბეგი მ/მ	8	13	20	17	13	12	18	22	42	33	62	156	23
სტეფანწმინდა	–	–	5	8	13	23	15	4	13	–	38	96	6
სნო	–	–	3	6	–	20	17	2	–	–	34	90	3
ჯვრის უღ.	–	5	27	61	107	153	185	164	84	14	156	334	104
გუდაური	–	–	13	45	77	99	147	95	32	–	152	260	48
მლეთა	–	–	8	24	48	71	67	31	–	–	96	241	27
ქვეშეთი	–	–	8	20	46	65	63	26	–	–	–	–	–
ფასანაური	–	–	–	7	21	32	21	3	–	–	48	105	8
ჟინვალი	–	–	–		7	8	2	–	–	–	17	62	1
თიანეთი	–	–	–	7	17	22	15	3	–	–	36	73	5
დუშეთი	–	–	–	2	6	8	4	–	–	–	17	61	3

თოვლის საფარის ვერტიკალური განაწილებისა და არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ზონა: არამდგრადი, მდგრადი და მუდმივი თოვლის საფარის ზონა.

თოვლის საფარის არამდგრადი ზონა ვრცელდება დაახლოებით 800-900 მ სიმაღლემდე ზ.დ. ამ ზონაში ზამთრის განმავლობაში თოვლის საფარი რამდენჯერმე რჩება და ქრება. შესაძლოა უთოვლო ზამთრების შემთხვევებიც. თოვლის საფარის მრავალწლიური საშუალო მაქსიმალური სიმაღლე ჩვეულებრივად არ აღემატება 3-5 სმ-ს, თუმცა ცალკეულ ძალიან იშვიათ შემთხვევაში თოვლის საფარის სიმაღლემ შეიძლება მიაღწიოს 1 მეტრს და მეტს.

მდგრადი თოვლის საფარის ზონაში, გუდაურში და ჯვრის უღელტეხილის ტერიტორიაზე თოვლის საფარის სიმაღლეების საშუალო მნიშვნელობები აღემატება 200 სმ-ს, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე აღწევს 260-270 სმ-ს. აქ 200-300 სმ სიმაღლის თოვლის საფარის გრადაციას აქვს მაქსიმალური განმეორებადობა (ცხრ. 4.4.2).

ცხრილი 4.4.2. გრადაციების მიხედვით თოვლის საფარის სიმაღლის უდიდესი მნიშვნელობების განმეორებადობა მდგრადი თოვლის საფარის ზონაში (%) [2]

მეტეოსადგური	თოვლის საფარის სიმაღლე (სმ)											
	11-20	21-30	31-50	51-75	76-100	101-125	126-150	151-175	176-200	201-250	251-300	301-350
კობი	15	10	5	10	15	20	25	–	–	–	–	–
ჯვრის უღ.	–	–	0	–	–	6	6	17	17	18	24	12
გუდაური	–	–	2	2	15	15	18	15	14	17	2	–
ფასანაური	12	20	25	29	9	2	–	–	–	–	–	–

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ კობში, რომელიც მდებარეობს მდ. თერგის აუზში კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე, თოვლის საფარის საშუალო დეკადური სიმაღლეების უდიდესი მნიშვნელობების (126-150 სმ) განმეორებადობა აღწევს 25%-ს, ხოლო სამხრეთ ფერდობზე სადგურებში – ჯვრის უღელტეხილი და გუდაური, ეს მაჩვენებელი შესაბამისად ტოლია 12%-ისა (301-350 სმ) და 2%-ის (251-300სმ). ასეთი განსხვავება აიხსნება კავკასიონის ჩრდილოეთი და სამხრეთი ფერდობების განსხვავებული ორიენტაციით ჰაერის ნოტიო ნაკადების მიმართ.

მდგრადი (მარადიული) თოვლის საფარის ზონა მდებარეობს თოვლის ხაზის ზევით.

რეგიონის ტერიტორიის დაბლობ ნაწილში (პირველი ზონა) თოვლის საფარის გაჩენის საშუალო თარიღი დეკემბრის თვის მეორე ნახევარია (დიღომი, მუხრანი, ჟინვალი). ადგილის სიმაღლის მატებისას (მეორე ზონა) თოვლის საფარის გაჩენის საშუალო თარიღი გადაინაცვლებს ნოემბრის მორე ნახევარზე (ბარისახო, მლეთა, ქვეშეთი, ფასანაური). მესამე ზონაში თოვლის საფარის გაჩენის საშუალო თარიღი აღინიშნება უკვე ოქტომბრის პირველ ნახევარში (ჯვრის უღელტეხილი).

ზემოთ მოცემულ ნახ. 4.4.2-ზე წარმოდგენილია თოვლის საფარის რღვევის საშუალო თარიღები რუკა. აქ კარგად ჩანს თოვლის საფარის არამდგრადი ზონა.

ნახ. 4.4.2-ის თანახმად თოვლის საფარის რღვევის საშუალო თარიღი პირველ ზონაში აღინიშნება მარტის თვის პირველ ნახევარში, მეორე ზონაში – აპრილში, ხოლო მესამე ზონაში – მაის-ივნისში.

4.5. ქარი

საკვლევ ტერიტორიაზე ქარის რეჟიმული მახასიათებლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია რთულ ოროგრაფიაზე. მთის მწვერვალებსა და ქედებზე აღინიშნება ქარის დიდი სიჩქარეები, ხოლო ხეობებში ქარის სიჩქარე მინიმალურია. ამავე დროს, განვითარებულია ადგილობრივი ცირკულაცია, ანუ ადგილი აქვს მთა-ხეობების, ფერდობების და მყინვარული გენეზისის ქარების ლოკალური სახეობების ფორმირებას. ამიტომაც რეგიონის მთიან ტერიტორიაზე აღინიშნება ქარის სიჩქარის და მიმართულების დიდი ცვალებადობა [4] (ნახ. 4.5.1).

მართლაც, ნახ. 4.5.1-ზე წარმოდგენილი რუკის თანახმად, მდინარეთა ხეობებში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2მ/წმ-ზე ნაკლებია, ხოლო მწვერვალებსა და ქედებზე აღემატება 6 მ/წმ-ს.

ცხრილი 4.5.1-ის თანახმად, ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მაქსიმუმი (6,4 მ/წმ) აღნიშნულია სადგურ ყაზბეგზე.

ნახ. 4.5.1. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე (მ/წმ) [3]

ცხრილი 4.5.1. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე (მ/წმ)

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ.დ., მ	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი, 403	2.2	2.7	2.8	2.8	2.5	2.5	2.8	2.3	2.1	2.0	1.7	1.8	2.4
დუშეთი, 922	1.3	1.6	1.7	1.6	1.6	1.6	1.4	1.4	1.4	1.4	1.2	1.0	1.4
ფასანაური, 1070	0,9	1,2	1,6	1,6	1,4	1,2	1,2	1,0	1,1	1,1	0,9	0,8	1,2
თიანეთი, 1099	1.8	2.2	2.4	2.3	2.1	2.1	1.7	1.6	1.8	1.8	1.3	1.2	1.9
ბარისახო, 1325	1,8	1,9	2,1	2,2	2,1	1,9	1,8	2,0	1,9	1,9	1,8	1,6	1,9
სტეფანწმინდა, 1744	2,6	2,6	2,4	2,0	1,6	1,5	1,4	1,6	1,7	2,0	2,2	2,5	2,0
ბურსაჭირი, 1760	1,7	1,9	1,8	1,8	2,0	2,0	2,0	1,7	1,6	1,5	1,4	1,6	1,8
კობი 2, 1962	1,7	1,9	1,9	1,3	1,4	1,3	1,5	1,4	1,6	1,5	1,9	1,7	1,6
გუდაური 2, 2194	1,5	1,6	1,4	1,4	1,4	1,2	1,2	1,2	1,2	1,3	1,2	1,2	1,3
ჯვრის უღ., 2396	2,2	2,4	2,2	1,8	1,9	2,0	1,9	2,0	2,0	2,0	1,9	2,2	2,0
ყაზბეგი მ/მ, 3653	7,0	7,5	7,4	7,0	6,1	4,8	5,0	5,4	6,4	7,1	6,6	6,8	6,4

ქარის საშუალო თვიური სიჩქარის აბსოლუტური მაქსიმუმი შეადგენს ყაზბეგზე 7,5 მ/წმ-ს თებერვალში, სტეფანწმინდაში – 2,6 მ/წმ-ს იანვარსა და თებერვალში, კობში – 1,9 მ/წმ-ს თებერვალში, მარტსა და ნოემბერში, ჯვრის უღელტეხილზე – 2,4 მ/წმ თებერვალში, სადგურ ბურსაჭირში – 2.0 მ/წმ-ს მაისში, ივნისსა და ივლისში, გუდაურში – 1,6 მ/წმ-ს თებერვალში, ფასანაურში – 1,6 მ/წმ-ს მარტსა და აპრილში, თიანეთში – 2,4 მ/წმ-ს მარტში.

4.6. ჰიდროლოგია

საკვლევი არეალის ზედაპირული ჩამონადენის ძირითად არტერიებს წარმოადგენს მდინარეები: არაგვი, თერგი, ფშავის არაგვი და არღუნი თავიანთი მრავალრიცხოვანი შენაკადებით. აღნიშნული ტერიტორიები მიეკუთვნება კასპიის ზღვის აუზს, მდინარე არაგვისა და თერგის აუზებს.

მდინარეთა თანამედროვე ხეობები გამომუშავებულია წყლის ეროზიული მოქმედების შედეგად და რელიეფში ღრმად ჩაჭრილი პატარა მდინარეები ჭალას თითქმის ყველგან მოკლებულია და ხასიათდება დიდი დახრილობით, გასწვრივი პროფილი საფეხურობრივი ან სწორხაზობრივია. საკუთრივ მდინარე თერგი და არაგვი რამდენიმე ადგილას იტოტება და ქმნის მცირე ზომის კუმბულებს. კალაპოტები ზომიერად კლაკნილია. შენაკადების კალაპოტის ფსკერი უმრავლეს შემთხვევაში არასწორია, კლდოვანია და ჩახერგილია ლოდებით.

მდინარეები ხასიათდება შერეული საზრდოობით: თოვლის, წვიმის მყინვარების და გრუნტის წყლებით. საზრდოობის წყაროებიდან პირველი ადგილი უჭირავს თოვლის საბურველს, რომლის სიმძლავრე და დგომის ხანგრძლივობა სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება. ასევე მნიშვნელოვანია მყინვარული საზრდოობა, განსაკუთრებით მდინარე თერგისათვის. საკვლევ არეალში მდინარეთა ქსელი კარგად არის განვითარებული და მაღალია ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირის კოეფიციენტი.

წყლის ნაკადის საშუალო სიჩქარეები დიდი მდინარეებისათვის მერყეობს 1,1-1,8 მ/წმ ფარგლებში, ხოლო პატარა მდინარეებისათვის 1,5 მ/წმ-დან 2.4 მ/წმ-მდე. წყლის ტემპერატურა ზამთრის პერიოდში 0,5 – 0,7 ^{0}C -ია, ზაფხულში ტემპერატურა 15 – 18 ^{0}C ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ წლებში, ნოემბრიდან მარტის ჩათვლით, ჰაერის ტემპერატურის დაბლა დაწევის შემთხვევაში, მდინარეებში ფიქსირდება ფსკერული ყინული და წანაპირები.

წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულ-ზაფხულის წყალდიდობით და არამდგრადი წყალმცირობით წლის სხვა პერიოდებში. გაზაფხულ-ზაფხულის წყალდიდობა, გამოწვეული თოვლისა და მყინვარების დნობითა და წვიმებით, ჩვეულებრივ იწყება აპრილში, მაქსიმუმს აღწევს ივლის-აგვისტოში. ამ დროს ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 70%. წყლის მინიმალური დონეები აღინიშნება შემოდგომაზე და იანვარ-თებერვალში.

საკვლევი არეალის თითქმის ყველა მდინარეს ახასიათებს სწრაფი და ძლიერი ადიდება, ისინი ხასიათდება დონეების შედარებით უფრო სწრაფი მატებითა და კლებით და ამისი განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი წვიმაა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარე არაგვის, თერგისა და არღუნის შენაკადები, სადაც წარმოიქმნება ღვარცოფული ნაკადები. აღსანიშნავია, რომ ღვარცოფული ნაკადები არ წარმოიქმნება ყოველწლიურად და მათ რეგულარული სახე არა აქვთ.

საკვლევ არეალში გავრცელებულია დროებითი ნაკადები, რომლის კალაპოტებში წყალი ჩნდება მხოლოდ თოვლის დნობის ან ინტენსიური წვიმების პერიოდში. ამ მხრივ

გამოირჩევა მდინარე არაგვის შენაკადები; ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, მათში არსებული მცენარეებისა და აუზების მცირე სიგრძის გამო, ისინი შედარებით ნაკლები რისკის შემცველია.

ლიტერატურა:

[1] საქართველოს სამეცნიერო-გამოყენებითი კლიმატური ცნობარი (2020). უნივერსალი, თბილისი, 303 გვ.

[2] Справочник по климату СССР (1967-1971). Вып.14, часть 1-5, Гидрометеоиздат, Ленинград.

[3] საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი (2011). ჰიდრომეტეო-როლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 120გვ.

[4] ე. ელიზბარაშვილი (2017). საქართველოს ჰავა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 320გვ.

თავი 5

საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები

5.1. ინტენსიური, უხვი და კატასტროფული ატმოსფერული ნალექები

ინტენსიური ეწოდება ნალექებს, როდესაც დღეღამის განმავლობაში მოსული რაოდენობა აღემატება 20 მმ-ს, ხოლო უხვი ეწოდება ნალექებს, როდესაც მათი დღეღამური ჯამები აღემატება 30მმ-ს. ასეთი ნალექები ამინდის საშიშ მოვლენად მიიჩნევა, რადგანაც შესაძლოა სტიქიური მოვლენების განვითარება გამოიწვიოს, მათ შორის, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, დატბორვა, ღვარცოფი და სხვა, და ამით დიდი მატერიალური ზარალი მიაყენოს მოსახლეობას და ეკონომიკას [1]. ცხრილში – 5.1.1 წარმოდგენილია ინტენსიურ და უხვნალექიან დღეთა რიცხვის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები 3 პუნქტისათვის, რომლებიც ახასიათებს რეგიონის განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს.

ცხრილი 5.1.1. დღეთა რიცხვი ინტენსიური და უხვი ნალექებით

მეტეოსადგური		თვე												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
დუშეთი	დღეთა რიცხვი ინტენსიური ნალექებით	0,1	0,2	0,2	0,8	1,3	1,3	0,5	0,5	0,6	0,5	0,2	0,1	6
	დღეთა რიცხვი უხვი ნალექებით	0,02	0,01	0,1	0,2	0,5	0,5	0,2	0,2	0,2	0,1	0,1	0,0	2
გუდაური	დღეთა რიცხვი ინტენსიური ნალექებით	1,0	1,4	1,6	1,8	2,5	2,5	1,9	1,6	1,3	1,3	2,9	1,1	21
	დღეთა რიცხვი უხვი ნალექებით	0,4	0,7	0,7	0,8	0,8	0,8	0,7	0,7	0,6	0,6	0,6	0,6	8
ჯავახეთი მ/მ	დღეთა რიცხვი ინტენსიური ნალექებით	0,9	0,9	0,9	2,0	2,1	1,4	1,6	2,2	1,3	0,8	1,0	0,7	16
	დღეთა რიცხვი უხვი ნალექებით	0,3	0,3	0,5	1,1	0,7	0,5	0,6	1,1	0,5	0,5	0,4	0,2	8

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურ ნალექებიან დღეთა რიცხვი დიდ ფარგლებში მერყეობს და ტერიტორიაზე ძირითადად 6-21-ს შეადგენს. უხვნალექიან დღეთა რიცხვი შედარებით ნაკლებია და წელიწადში 2-8 დღეს შეადგენს. უფრო დეტალურ ინფორმაციას უხვნალექიან დღეთა რიცხვის რეგიონის ტერიტორიაზე განაწილების შესახებ იძლევა ნახ. 5.1.1-ზე წარმოდგენილი რუკა.



ნახ. 5.1.1. დღეთა რიცხვი უხვი ნალექებით წელიწადში [2]

ნახ. 5.1.2. ატმოსფერული ნალექების აბსოლუტური დღეღამური მაქსიმუმი (მმ) [2]

რუკიდან ჩანს, რომ რეგიონის ტერიტორიაზე უხვ ნალექიან დღეთა რიცხვი წლის განმავლობაში იცვლება 1-2-დან 10-15 და მეტ დღემდე. უხვი ნალექები განსაკუთრებით ხშირია კავკასიონის მაღალმთიან ზონაში, სადაც მერყეობს 6-10 დღეს შორის. ინტენსიური და უხვი ნალექები წლის განმავლობაში განსაკუთრებით ხშირია გაზაფხულის მეორე ნახევარსა და ზაფხულში, როდესაც გააქტიურებულია კონვექციური პროცესები. თუ განვიხილავთ საავტომობილო გზებს, მაშინ შემდეგი სურათი გვექნება: თბილისი-ჟინვალის მონაკვეთზე დღეთა რიცხვი უხვი ნალექებით საშუალოდ წლის განმავლობაში არ აღემატება 2-ს, მაქსიმუმს აღწევს გუდაური-კობის მონაკვეთზე (10 დღე), სადაც ინტენსიურ ნალექიან დღეთა რიცხვი აღემატება 20-ს. ასეთივე მდგომარეობაა ჟინვალი-შატილის გზის უღელტეხილზე.

დღეისათვის არ არის განსაზღვრული კატასტროფული ნალექების ზოგადი განმარტება. ერთერთი განმარტების თანახმად ეს არის “საშიში მოვლენა, რომელიც უქმნის საშიშროებას ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, და იწვევს ნაგებობების და სატრანსპორტო საშუალებების რღვევას, საწარმოო და სატრანსპორტო პროცესის მოშლას, ან ზიანს აყენებს გარემოს”. ამრიგად, კატასტროფულს შეიძლება მივაკუთვნოთ ექსტრემალურად ინტენსიური ნალექები, აგრეთვე მნიშვნელოვანი ნალექები, რომლებიც მოდის რამდენიმე დღეღამის განმავლობაში, იწვევს წყალდიდობას, წყალმოვარდნას, ღვარცოფულ პროცესებს, თოვლის ზვავებს ან სხვა სტიქიურ მოვლენებს და მთლიანობაში ქმნის საგანგებო სიტუაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის თანახმად, ნალექების კატასტროფულობის ხასიათზე შეიძლება ვიმსჯელოთ დღეთა რიცხვით 50 მმ-ზე მეტი ნალექებით (R50). თუმცა, არსებული მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მონაცემების თანახმად, რეგიონში ასეთი ნალექების საშუალო დღეთა რიცხვი წელიწადში არ აღემატება 1-ს, ხოლო უდიდეს დღეთა რიცხვი შეადგენს 3-4 დღეს. აგრეთვე დაბალია კატასტროფული ნალექების მოსვლის ალბათობა.

ცხრილი 5.1.2. ნალექების დღეღამური მაქსიმუმების მახასიათებლები (მმ)

მეტეოსადგური, სიმაღლე ზ.დ., მ	აბსოლუტური მაქსიმუმი	საშუალო მაქსიმუმი	მოსალოდნელი 100 წელიწადში ერთხელ
თბილისი, 403	147	29	128
დუშეთი, 922	82	29	84
ფასანაური 1070	93	35	96
თიანეთი 1099	105	32	110
ბარისახო, 1325	94	30	95
სტეფანწმინდა, 1744	111	27	114
გუდაური 2, 2194	100	33	106

ცხრილი 5.1.2.-დან ჩანს, რომ ნალექების აბსოლუტური მაქსიმუმი რამდენიმეჯერ აღემატება ინტენსიური და უხვი ნალექების კრიტერიუმებს. კონკრეტულად, გუდაურსა და თიანეთში შეადგენს 100-105 მმ-ს. რამდენადმე ნაკლებია ფასანაურში (93 მმ), ხოლო დუშეთში 82 მმ-ია. ამავე ცხრილის თანახმად საუკუნეში ერთხელ მაინც მოსალოდნელი დღეღამური ნალექების ჯამები საკმაოდ მაღალია, და გუდაურსა და თიანეთში შეადგენს 106-110 მმ-ს, ფასანაურში 96 მმ-ს, ხოლო დუშეთში-84 მმ-ს.

დეტალურ ინფორმაციას ექსტრემალური ნალექების სივრცობრივი განაწილების შესახებ რეგიონის ტერიტორიაზე იძლევა ზემოთ მოცემულ ნახ. 5.1.2 – ზე წარმოდგენილი განზოგადოებული რუკა. რუკის თანახმად, რეგიონში გამოიყოფა ექსტრემალური ნალექების ორი მთავარი ზონა. პირველი მათგანი მოიცავს დუშეთის მუნიციპალიტეტს, არაგვის შუა დინებას და მიმდებარე მთებს. ამ ზონაში ნალექების დღეღამური მაქსიმუმი შეადგენს 75-100 მმ-ს. მეორე ზონა, სადაც ნალექების მაქსიმუმი 100 მმ-ს აღემატება, უფრო ვრცელ ტერიტორიაზე ვრცელდება და მოიცავს კავკასიონის მაღალმთიან სარტყელსაც.

5.2. ნისლი

ნისლი წარმოადგენს საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენას. თუ ნისლის დროს მხედველობის არე შემცირებულია 50 მ და ნაკლებზე, მას ძლიერ ნისლს უწოდებენ. ნისლი უარყოფითად მოქმედებს ტრანსპორტის ყველა სახეობის მოძრაობაზე (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო), ძლიერი ნისლის დროს გახშირებულია ავარიები. ნისლი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ირღვევა თერმოლეგურაციის პროცესები, რაც იწვევს სასუნთქი ორგანოების დაავადებას [1].

წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ შიდამასიურ და ფრონტალურ ნისლს. შიდამასიური ნისლის სახეობებია: ადვექციური და რადიაციული ნისლი. მთიანი რელიეფის პირობებში არსებობს ადვექციური ნისლის ნაირსახეობა – ფერდობების ნისლი. ნისლიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობა წარმოდგენილია ცხრილში 5.2.1.

ცხრილი 5.2.1. ნისლიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობა

მეტეოსადგური		თვე												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი	საშ.	8	6	3	0,9	0,3	0,1	0,1	0,03	0,3	1	4	9	33
	მაქს.	19	16	14	6	3	1	1	1	2	10	11	23	62

დუშეთი	საშ.	4	3	3	2	2	0,8	0,6	0,7	0,6	1	2	4	24
	მაქს.	15	8	9	4	6	3	5	6	3	4	6	10	42
თიანეთი	საშ.	4	4	4	3	1	0,6	0,4	0,5	1	2	4	4	28
	მაქს.	10	16	13	8	5	3	2	3	3	6	13	17	54
კობი	საშ.	4	5	6	7	3	3	3	3	5	5	4	5	53
	მაქს.	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
ბურსაჭირი	საშ.	12	12	16	13	8	7	6	6	10	12	13	11	126
	მაქს.	25	23	25	21	16	15	12	12	18	28	22	15	161
გუდაური	საშ.	12	12	15	15	13	10	9	8	13	14	13	11	145
	მაქს	24	23	25	22	21	18	17	18	22	26	23	27	178
სტეფანწმინდა	საშ.	3	2	4	4	3	1	2	2	3	4	4	2	34
	მაქს.	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
ჯვრის უღ.	საშ.	13	14	19	19	18	14	17	14	19	18	16	13	194
	მაქს.	28	23	27	26	26	24	24	24	28	26	26	21	239
ყაზბეგი მ/მ	საშ.	2	3	5	9	14	15	14	13	12	8	6	3	104
	მაქს.	18	16	18	19	26	27	24	22	24	19	18	15	214

ნისლიან დღეთა როგორც საშუალო, ისე მაქსიმალური რაოდენობით გამოირჩევა ჯვრის უღელტეხილი (შესაბამისად 194 და 239 დღე წელიწადში), შემდეგ მოდის ყაზბეგი, გუდაური და ბურსაჭირი. დანარჩენ სადგურებში ნისლიან დღეთა მაქსიმალური რიცხვი წელიწადში არ აღემატება 65 დღეს.

ნისლიან დღეთა ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი კარგად ჩანს ნახ. 5.2.1-დან.

რუკიდან გამომდინარეობს, რომ ნისლიან დღეთა რაოდენობა გარდა ადგილის აბსოლუტური სიმაღლისა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ოროგრაფიაზე. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად ნისლების საშუალო ხანგრძლივობა იზრდება. ჯვრის უღელტეხილზე ის წელიწადში აღწევს აბსოლუტურ მაქსიმუმს (1903,3სთ).



ნახ.5.2.1. ნისლიან დღეთა საშუალო წლიური რიცხვი [2]

ნისლების ხანგრძლივობის დიდი მნიშვნელობებით გამოირჩევა გუდაური (1383,1სთ). რაც შეეხება ყაზბეგს, იქ ნისლების საშუალო ხანგრძლივობა წელიწადში ორჯერ ნაკლებია, ვიდრე გუდაურში და თითქმის სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ჯვრის უღელტეხილზე, რაც განპირობებულია იმით, რომ კავკასიონის მთიან რეგიონში 3კმ სიმაღლეზე ზევით ადგილი აქვს ღრუბლიანობის და შესაბამისად, ნისლიანობის შემცირებას.

ამრიგად, საავტომობილი გზის თბილისი-ჟინვალის მონაკვეთზე ნისლიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არ აღემატება 40-ს, ჟინვალი-ქვეშეთის მონაკვეთზე აღწევს 100-ს, გუდაურის მონაკვეთზე შეადგენს 150-ს, ხოლო კობი-სტეფანწმინდის მონაკვეთზე კლებულობს. საავტომობილო გზის ჟინვალი-ბარისახოს მონაკვეთზე წელიწადში საშუალოდ 60 დღეა ნისლით, ხოლო უღელტეხილის შემდეგ კლებულობს.

5.3. ძლიერი ქარები

ძლიერი ქარები, რომელთა სიჩქარე ტოლია ან მეტი 15მ/წმ განეკუთვნება ამინდის საშიშ მოვლენათა რიცხვს. მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიაზე განლაგებული სადგურებისათვის ძლიერი ქარიანი დღეების საშუალო და მაქსიმალური თვიური და წლიური რიცხვები წარმოდგენილია ცხრილ 5.3.1.-ში.

ცხრილი 5.3.1. ძლიერი ქარიანი დღეების საშუალო და მაქსიმალური თვიური და წლიური რაოდენობა

მეტეოსადგური		თვე												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისი	საშ.	2,0	2,2	2,9	2,5	1,4	1,1	1,0	1,1	1,0	1,0	1,2	1,3	19
	მაქს.	7	7	13	8	8	6	6	8	7	6	6	5	52
დუშეთი	საშ.	0,5	0,5	0,8	0,5	0,6	0,2	0,2	0,2	0,4	0,4	0,3	0.2	5
	მაქს.	2	3	6	5	5	2	2	1	2	2	3	1	26
თიანეთი	საშ.	3,2	3,5	4,3	3,8	2,7	2,2	1,9	1,8	2,3	2,8	2,1	1,9	32
	მაქს.	8	10	11	12	9	8	9	8	10	10	7	6	74
ბურსაჭირი	საშ.	3,7	4,1	4,5	3,6	3,7	4,1	3,0	3,0	2,5	2,7	2,5	3,5	41
	მაქს.	10	14	12	11	10	10	8	8	8	9	8	8	70
გუდაური	საშ.	0,8	0,6	0,9	0,6	0,4	0,1	0,5	0,6	0,2	0,4	0,3	0,3	6
	მაქს.	6	5	4	5	3	1	4	3	1	2	3	2	17
სტეფანწმინდა	საშ.	0	0,1	0,1	0	0	0	0	0	0	0,1	0,1	0,2	1
	მაქს.	0	1	1	0	1	1	0	0	1	3	1	3	8
ყაზბეგი მ/მ	საშ.	8,2	8,6	9,5	8,4	6,7	4,3	4,3	4,0	6,8	8,8	7,1	7,9	85
	მაქს.	14	22	23	17	19	16	15	9	19	20	20	23	132

როგორც ცხრილიდან ჩანს, წელიწადში ძლიერი ქარიანი დღეების საშუალო წლიური რაოდენობა უდიდესია ყაზბეგში (85 დღე), ძლიერი ქარიანი (ვ≥15მ/წმ) დღეების მინიმალური რაოდენობა წელიწადში აღნიშნულია სტეფანწმინდაში (1 დღე), დუშეთსა და გუდაურში შესაბამისად 5 და 6 დღე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის აეროპორტში ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი შეადგენს 127-ს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ძლიერი ქარიანი დღეების საშუალო და მაქსიმალური თვიური და წლიური რაოდენობა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებისას არ განიცდის შესაბამის მატებას. მაქსიმალურ დღეთა რიცხვი ძლიერი ქარებით უდიდესია ყაზბეგში და წელიწადში შეადგენს 132-ს, რეგიონის დანარჩენ პუნქტებში მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ქარს, რომლის სიჩქარე მეტია 33 მ/წმ-ზე, ცნობილია გრიგალის სახელწოდებით. გრიგალური ქარები დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობის რიგ დარგებს. სადგურ ყაზბეგზე მთელი წლის განმავლობაში ადგილი აქვს გრიგალურ ქარებს. ჯვრის უღელტეხილზე გრიგალური ქარები (სიჩქარე, დაქროლვა) საერთოდ არ აღინიშნება, თბილისში კი ქარის მაქსიმალური სიჩქარე მთელი წლის განმავლობაში ნაკლებია 30 მ/წმ-ზე, მხოლოდ დაქროლვებს თებერვალში, მარტში და დეკემბერში აქვს 30 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარე (შესაბამისად 34,32 და 34 მ/წმ) [1].

5.4. ქარბუქი

ქარბუქი წარმოადგენს საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენას; მთებში ის ზრდის ზვავსაშიშროებას. იგი ზიანს აყენებს სახმელეთო ტრანსპორტის ყველა სახეობის ფუნქციონირებას. ავტომაგისტრალებზე ქარბუქის მიერ წარმოქმნილი ნაქმქერების შედეგად ფერხდება მიმოსვლა. ქარბუქი ზიანს აყენებს მემცენარეობას. ქარბუქის დროს ადგილი აქვს თოვლის საფარის ბუნებრივ განაწილებას, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურის გაყინვა-განადგურებას. ქარბუქი ხელს უშლის აგრეთვე პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას.

ქარბუქი დამახასიათებელია მთიანი რაიონებისათვის, სადაც მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს რელიეფის ხასიათი და ადგილის აბსოლუტური სიმაღლე, აგრეთვე თოვლის ინტენსივობა და თოვლის საფარის ფიზიკური თვისებები (ელიზბარაშვილი, 2017). მცხეთა-მთიანეთის რაიონის მთიანი ტერიტორიისათვის წარმოდგენას ქარბუქის განაწილების შესახებ იძლევა ცხრილი 5.4.1.

ცხრილი 5.4.1. ქარბუქიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობა და საშუალო ხანგრძლივობა (სთ) თვესა და წელიწადში [3]

მეტეოსადგური		თვე												წელი
		VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	
თბილისი	საშ.	-	-	-	-	-	-	0,2	0,1	-	-	-	-	0,3
	მაქს.	-	-	-	-	-	-	4	1	-	-	-	-	4
	საშ. ხანგ.	-	-	-	-	0,7	0,04	1,4	1,1	0,4	0,2	-	-	3
დუშეთი	საშ.	-	-	-	-	-	-	0,5	0,2	0,1	-	-	-	0.8
	მაქს.	-	-	-	-	-	-	4	2	2	-	-	-	4
	საშ. ხანგ.	-	-	-	-	-	-	3,5	0,7	0,6	-	-	-	5
თიანეთი	საშ.	-	-	-	0,03	0,2	0,3	0,1	1	0,9	0,2	-	-	3
	მაქს.	-	-	-	1	2	2	8	6	3	2	-	-	12
	საშ. ხანგ.	-	-	-	0,04	1,6	1,6	9,1	8,5	4,4	1,5	-	-	27
ბარისახო	საშ.	-	-	-	-	0,07	0,2	0,7	0,5	0,4	0,2	-	-	2
	მაქს.	-	-	-	-	1	3	4	2	4	2	-	-	10
	საშ. ხანგ.	-	-	-	-	0,2	0,2	1,8	2,0	3,1	0,2	-	-	8
გუდაური	საშ.	-	-	-	0,4	1	2	3	3	2	0,4	-	-	12
	მაქს.	-	-	-	3	9	7	10	11	10	3	-	-	31
	საშ. ხანგ.	0,1	-	-	1,5	3,3	8,4	13,6	8,3	8,5	1,5	-	-	45
ბურსაჭირი	საშ.	-	-	-	0,3	0,6	2	3	3	3	0,7	0,08	-	13
	მაქს.	-	-	-	2	4	5	7	10	8	3	2	-	26
	საშ. ხანგ.	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კობი	საშ.	-	-	-	-	3	6	10	9	8	4	-	-	40
	მაქს.	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-
	საშ. ხანგ.	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჯვრის უღ.	საშ.	-	-	-	2	2	3	5	5	6	2	0.5	-	26
	მაქს.	-	-	-	4	5	7	8	14	13	5	2	-	33

	საშ. ხანგ.	-	-	-	7,5	14,0	22,3	34,8	40,4	47,4	14,7	8,4	-	184
ყაზბეგი მ/მ	საშ.	1	1	6	10	9	10	11	12	14	12	9	5	100
	მაქს.	4	4	14	21	23	24	20	21	21	20	18	13	143
	საშ. ხანგ.	6,3	6,7	38,1	90,9	117,8	103,0	128,3	143,8	141,6	126,7	93,2	30,6	1027

ქარბუქების საშუალო ხანგრძლივობა უდიდესია ყაზბეგში (1027სთ). ჯვრის უღელტეხილზე შეადგენს 184,5სთ, ხოლო გუდაურში 45,2სთ. ქარბუქიან დღეთა საშუალო წლიური რიცხვის ტერიტორიული განაწილება გამოსახულია ნახ. 5.4.1-ზე. ნახაზიდან ჩანს, რომ თბილისი ჟინვალის მონაკვეთზე ქარბუქიან დღეთა რიცხვი წელიწადში არ აღემატება 1-ს; ქვეშეთიდან მატულობს და გუდაური – კობის მონაკვეთზე შეადგენს მაქსიმუმს – 40-ს, სიონი-სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე კი კლებულობს დაახლოებით 5 დღემდე.



ნახ. 5.4.1. ქარბუქიან დღეთა საშუალო რიცხვი წელიწადში [2]

5.5. თოვლის ზვავები

საკვლევი რეგიონის მთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო და სუსტი ზვავსაშიშროება.

ლ.ქალდანის და მ.სალუქვაძის გამოკვლევებით [4; 5] საქართველოს სამხედრო გზის ზვავსაშიშ მონაკვეთზე არაზვავსაშიშია მხოლოდ ის მონაკვეთი, რომელიც კაიშაურის პლატოზე გადის. სუსტი ზვავსაშიშროების რაიონში მდებარე გზების უმეტესი ნაწილი არაზვავსაშიშია, მაგრამ აქ არის ცალკეული ციცაბო ფერდობები, რომლებზედაც უხვთოვლიან ზამთრებში ზვავები წარმოიქმნება. ეს ზვავები და ასევე მაღალმთიან ზონაში წარმოქმნილი ზოგიერთი ზვავი გზამდე აღწევს და საფრთხეს უქმნის ტრანსპორტის გადაადგილებას.

საქართველოს სამხედრო გზაზე სამი ძირითადი ზვავსაშიში მონაკვეთია – ჟინვალი-მლეთა, გუდაური-კობი და ალმასიანი-დარიალი. პირველი (ჟინვალი-მლეთა) და მესამე მონაკვეთი (ალმასიანი-დარიალი) სუსტი, ხოლო მეორე მონაკვეთი (გუდაური-კობი) – განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროებით გამოირჩევა.

მ. სალუქვაძის [5] მონაცემებით, ჟინვალი-მლეთის მონაკვეთზე 52 ზვავშემკრებია და ზვავების ჩამოსვლა მოსალოდნელია ინტენსიური ნალექების დროს. ზვავების უმეტესობა უხვთოვლიან ზამთარში გზას ფარავს.

ალმასიანი-დარიალის მონაკვეთზე 27 ზვავი ჩამოდის, რომლებიც ინტენსიური ნალექების დროს მთლიანად კეტავს გზას, ხოლო ტრასაზე გამოტანილი თოვლის მასის მოცულობა 76 ათასი $მ^3$ აღინიშნა 1987 წლის იანვარში. გუდაური-კობის მონაკვეთზე 59 ზვავშემკრებია, აქედან 41 ზვავი გზაზე გამოდის. ამ მონაკვეთზე არსებული ზვავდამცავი გვირაბები და გალერეა გზის ნაწილს სრულად ან ნაწილობრივ იცავს მხოლოდ 17 ზვავისაგან.

ცხრილი 5.5.1. ზვავსაშიშროების განაწილება ფართობის, კერების ზედაპირის დახრილობის და ზვავის მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით [5]

ფართობი			კერების ზედაპირის დახრილობა			ზვავის მაქს. სიჩქარე		
ჰა	როდენობა	%	გრადუსი	როდენობა	%	მ/წმ	როდენობა	%
<0,5	46	32	<25	6	4	<20	16	11
0,5-1,0	14	10	26-30	16	11	21-30	44	30
1,1,-10,0	53	36	31-35	38	26	31-40	46	32
>10	32	22	36-40	48	33	>40	39	27
–	–	–	>40	37	26	–	–	–
∑	145	100	–	145	100	–	145	100

საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არსებული ზვავშემკრებების უმეტესობა – 31 ზვავი (45%) 0,5 ჰა-ზე ნაკლები ფართობისაა, ხოლო ზედაპირის დახრილობა უმეტესად 31-350-ს შეადგენს (23 ზვავი), 26 ზვავის მაქსიმალური სიჩქარეა 31-20 მ/წმ (ცხრ. 5.5.1).

საქართველოს სამხედრო გზისთვის საშიში ზვავშემკრებები მდებარეობს სამივე, როგორც დაბალმთიან და საშუალომთიან, ისე მაღალმთიან ზონაში. არსებული ზვავებიდან ყველაზე სუსტი მაქსიმალური დარტყმის ძალა 4 ტ/მ^2, ხოლო ძლიერი 97 ტ/მ^2-ია (ცხრ. 5.5.2).

ცხრილი 5.5.2. ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის, ზვავის კონუსის მოცულობისა და მოძრავი ზვავის სიმაღლის მიხედვით [5]

დარტყმის ძალა			კონუსის მოცულობა			ზვავის სიმაღლე		
ტ/მ^2	რაოდენობა	%	ათ.მ^3	როდენობა	%	მ	როდენობა	%
<20	16	11	<1,0	14	9	<10	24	17
21-40	35	24	1,1-15	49	34	10,1-15	29	20
41-60	31	21	15,1-25	10	7	15,1-20	22	15
61-80	33	23	25,1-100	26	18	20,1-25	50	34
>80	30	21	>100	46	32	>25	20	14
∑	145	100	–	145	100	–	145	100

განსაკუთრებული ზვავაქტიურობით გამოირჩევა მდინარე ბიდარას ხეობა. ბიდარა სოფელ კობთან თერგს უერთდება და მის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს. მდინარის ხეობა ზღვის დონიდან 3000 მ-მდე 10-40 მ სიგრძისა და 20-150 მ სიგანის ეროზიული ღარტაფებითაა წარმოდგენილი. მონაკვეთზე 50 ზვავშემკრებია და აქ ზვავები ყოველწლიურად ჩამოდის.

საქართველოს სამხედრო გზაზე რთული რელიეფით ხასიათდება კურორტ ფასანაურის მონაკვეთი, რომელიც მდინარე თეთრი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მთა გურდიმის (2099 მ) აღმოსავლეთით მდებარეობს. სამხედრო გზაზე არსებული 7 ზვავი გზაზე გამოდის და საფრთხეს უქმნის ტრანსპორტის გადაადგილებას.

ამრიგად, საქართველოს სამხედრო გზაზე 145 ზვავის გამოკვეთილი კერაა და ზვავები თითქმის ყოველწლიურად ჩამოდის; ხშირად ზვავსაშიშროების გამო გადაადგილება გართულებულია. გარდა ზამთრის თვეებისა მარტსა და აპრილშიც, ზვავსაშიშროების გამო, იზღუდება და ზოგჯერ იკეტება გუდაური-კობის მონაკვეთი, სადაც გადაადგილება

შესაძლებელია ზვავსაშიში პერიოდის დასრულებისა და ზვავის კონუსებისგან გზის გაწმენდის შემდეგ. ეს კი ცხადია, ზამთრის საკურორტო სეზონის პერიოდში დისკომფორტს უქმნის დამსვენებელს, ასევე იმ მძღოლებს, რომელთაც ტვირთი გადააქვთ და ყინვიან ამინდში არაერთი ღამის გათევა უწევთ სატვირთო მანქანებში ზვავსაშიშროების გამო.

ამასთან, თუ გავაანალიზებთ საქართველოს ზვავსაშიშროების რუკებს [4; 5], შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისი-ჟინვალის მონაკვეთი არაზვავსაშიშია, შემდეგ გუდაურამდე მონაკვეთზე გზის უდიდესი ნაწილი ხასიათდება სუსტი და საშუალო ზვავსაშიშროებით, ხოლო გუდაურთან ახლოს ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების ზონებია (გუდაური-კობი). გუდაურიდან ლარსის მიმართულებით თანდათან სუსტდება ზვავსაშიშროება. ჟინვალი-შატილის მიმართულებით გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ჟინვალიდან და შატილიდან საშუალოდ ზვავსაშიშია, ხოლო უღელტეხილის მონაკვეთზე აღინიშნება ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროება.

5.6. სეტყვა

სეტყვა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენაა, რომელიც ხშირად იწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, აზიანებს სახლების სახურავებს და კედლებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ვენახებს, ხოცავს პირუტყვს.

საქართველოს ტერიტორიაზე სეტყვის ფორმირება და მოსვლა განისაზღვრება როგორც ფრონტალური, ისე შიდამასობრივი პროცესებით [6]. სეტყვის პროცესების ძირითადი ტრაექტორიები გადის ბაკურიანზე, აბასთუმანზე, გუდაურსა და ცივ-გომბორის ქედზე [7]. სეტყვის პროცესები აქტიურია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში, კახეთში, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე.

კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ცენტრალურ ნაწილში, მათ შორის, საკვლევ რეგიონში, სეტყვიან დღეთა რიცხვი წელიწადში 20-ს აჭარბებს. აქ სეტყვის პროცესები აქტიურია გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში, აპრილიდან სექტემბრამდე, როდესაც იქმნება ხელსაყრელი პირობები კონვექციური ღრუბლების განვითარებისთვის. თუმცა, სეტყვა ყველაზე საშიშია ივნისსა და სექტემბერში, როდესაც ის ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობას (ცხრილი 5.6.1).

ცხრილი 5.6.1. სეტყვიან დღეთა წლიური რაოდენობა და სეტყვის მოსვლის პერიოდი (თვეები) კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში

დაკვირვების პუნქტები	სიმაღლე ზ.დ. (მ)	საშუალო დღეთა რაოდენობა	უდიდეს დღეთა რაოდენობა	სეტყვის მოსვლის პერიოდი (თვეები)
გუდაური	2194	9	21	II-XI
ჯვრის უღელტეხილი	2395	6	13	IV-X
მამისონის უღელტეხილი	2854	8	20	V-X

სეტყვიან დღეთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია საკვლევი რეგიონის სხვა პუნქტებში, რასაც ადასტურებს ცხრილი 5.6.2.

ცხრილი 5.6.2. სეტყვიან დღეთა რიცხვი წელიწადში

მეტეოსადგური	სიმაღლე ზ.დ., მ	საშუალო	უდიდესი
თბილისი	403	1.6	7
დუშეთი	922	1.6	5
ფასანაური	1070	2.0	6
თიანეთი	1099	2.9	7
ბარისახო	1325	3.4	8
სტეფანწმინდა	1744	0.6	5

ნახ. 5.6.1-ზე ნაჩვენებია სეტყვიან დღეთა რაოდენობის ცვლილება ადგილის სიმაღლესთან დაკავშირებით ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე.



ნახ. 5.6.1. სეტყვიან დღეთა წლიური რიცხვის ცვლილება სიმაღლის მიხედვით ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე: 1-საშუალო დღეთა რიცხვი; 2-უდიდეს დღეთა რიცხვი [8]

ნახ. 5.6.1-დან ჩანს, რომ სეტყვიანობის ზრდა გრძელდება 2500-2800 მ სიმაღლემდე, ხოლო შემდეგ მცირდება.

მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვის სეტყვიან დღეთა წლიური რიცხვი საშუალოდ 1, 8 შეადგენს, თუმცა, ყველაზე საშიში სეტყვიანობის მხრივ არის გუდაურის ზონა, სადაც, როგორც ვნახეთ, სეტყვიან დღეთა საშუალო რიცხვი 9, ხოლო უდიდესი რიცხვი 21-ია.

სეტყვის ინტენსივობა დამოკიდებულია სეტყვის ზომაზე და სეტყვის ხანგრძლივობაზე. სეტყვის მარცვლის დიამეტრი ფართოდ მერყეობს რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე. რაც უფრო დიდია სეტყვის ზომა, მით უფრო ძლიერია ეფექტი. მაგალითად, 5 სმ-ზე მეტი დიამეტრის სეტყვას აქვს ძალიან ძლიერი, კატასტროფული ეფექტი. სეტყვის ზომის შემცირებით მცირდება ზემოქმედების ეფექტი და 5 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის სეტყვას აქვს სუსტი ეფექტი (ცხრილი 5.6.3).

ცხრილი 5.6.3. სეტყვიანობის ინტენსივობა [8]

ინტენსივობა, ბალი	სეტყვის მარცვლების დიამეტრი, მმ	100% დაზიანებული ფართობი, კმ^2	ზემოქმედების ეფექტი	შესაძლო დაზიანება და ზარალი
1	≤5	<1	ძალიან სუსტი	ნაწილობრივ დაზიანებულია ნათესები და ხეების ფოთლები
2	6-10	1-5	სუსტი	შესამჩნევად დაზიანებულია ბაღები, ვენახები, მარცვლეული კულტურები და ნათესები.
3	11-20	6-10	საშუალო	დაზიანებულია სათბურები და შენობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ფანჯრები, ნაწლიობრივ დაზიანებულია შენობათა სახურავები, დაზიანებულია ბაღები, ვენახები და მარცვლეული კულტურის ნათესები
4	21-50	11-50	ძლიერი	მთლიანად განადგურებულია ნათესები, დაცხრილულია სახლების სახურავები, დამსხვრეულია შენობათა და სატრანსპორტო საშუალებათა მინები, დახოცილია შინაური ფრინველები და წვრილფეხა საქონელი, დაზიანებულია აგურის შენობათა კედლები, არსებობს მსუბუქი თვითმფრინავების დაზიანების რისკი
5	>50	>50	ძალიან ძლიერი	მთლიანად განადგურებულია აგრარულ კულტურათა მოსავალი, ნათესები და საძოვრები. დანგრეულია ხის შენობები, საკმაოდ დაზიანებულია აგურის შენობები, თვითმფრინავებისა და ავტომობილთა კორპუსები, დანგრეულია ზოგიერთი შენობის სახურავები, დახოცილია შინაური ცხოველები, არის ადამიანთა მსხვერპლის რისკი

აღსანიშნავია ის, რომ მოცემული სეტყვიანობის სკალას აქვს საკმაოდ ზოგადი ხასიათი. იმ შემთხვევაში, თუ სეტყვას თან ახლავს ძლიერი ქარი და ქარიშხალი, გაცილებით მაღალია დაზიანების ხარისხი, როგორც აგრარული კულტურებისთვის, ასევე შენობებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის. ამ დროს თუნდაც მცირე ზომის სეტყვის მარცვლებს, როგორიც ახასიათებს 1-2 ბალის ინტენსიურ სეტყვას, შეუძლია ისეთივე ზარალის მიყენება, როგორიც 3 და მეტი ბალის ინტენსიურ სეტყვას. მსხვილი სეტყვის მარცვლებს ძლიერ ქართან და ქარიშხალთან ერთობლიობაში შეუძლია გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები, როგორც ეკონომიკური, ასევე ჰუმანიტარული ხასიათის (სახლების, სატრანსპორტო საშუალებებების, ელექტრო გადამცემი კომუნიკაციების დანგრევა, შინაური ფრინველებისა და ცხოველების დახოცვა, ადამიანთა მსხვერპლი და სხვ.). მსხვილ სეტყვას უფრო მძიმე შედეგების მოტანა შეუძლია, თუ მას თან ახლავს ინტენსიური თავსხმა წვიმები, რაც შეიცავს წყალდიდობების, მეწყრების და ღვარცოფების გამოვლინების საფრთხეს.

სეტყვა 100%-ით აზიანებს ყველაზე ხშირად 1-5 კმ^2 ფართობს (37%) და 1კმ^2-ზე ნაკლებ ფართობს (34%). 5კმ^2 მეტი ფართობის ტერიტორია 100%-ით ზიანდება 30%-ზე ნაკლები შემთხვევისას. 5-50კმ^2 ფართობის ტერიტორია მთლიანად ზიანდება 26% შეთხვევისას [7].

სეტყვის შემთხვევათა 60%-ის ხანგრძლივობა შეადგენს 5 წთ-ზე ნაკლებს, ხოლო 80%-ის ხანგრძლივობა – 10წთ-ზე ნაკლებს. სეტყვის ხანგრძლივობის ნახევარ საათზე მეტი განმეორებადობა შეადგენს მხოლოდ 3%-ს, ხოლო საათზე მეტი განმეორებადობა სეტყვის ხანგრძლივობისა – 1%-ზე ნაკლებია. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, სეტყვის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 9 – 10 წუთს [7].

სეტყვიანობა შესაძლებელია დღეღამის ნებისმიერ დროს, თუმცა, ყველაზე მეტად სეტყვა მოდის დღის მეორე ნახევარში, უმეტესად შუადღის ან საღამოს საათებში. შეთხვევათა დაახლოებით 80%-ისას სეტყვა მოდის 12 – დან 21 სთ – მდე. სეტყვის მოსვლის ყველაზე დიდი ალბათობა შეესაბამება 15 – დან 18სთ – მდე პერიოდს (37%), 12 – დან 15 სთ- მდე შემთხვევათა 26% – ია. ღამის საათებში, 24 – დან 06 სთ – მდე სეტყვის მოსვლის ალბათობა შეადგენს მხოლოდ 5% -ს [7].

5.7. წყალდიდობები და წყალმოვარდნები

საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებიდან ყველაზე მეტი შემთხვევა წყალდიდობა-წყალმოვარდნებზე მოდის. რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს და ხშირად ადამიანთა მსხვერპლს იწვევს. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს წყალდიდობა-წყალმოვარდნას ან რამდენიმე ბუნებრივი პროცესს და ანთროპოგენური ფაქტორების ზედდებას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ათწლეულებში კლიმატის ცვლილების ფონზე აშკარად შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით კი წყალდიდობა-წყალმოვარდნების რიცხვი საკმაოდ მატულობს. საკვლევ რეგიონში წყალდიდობა-წყალმოვარდნებისადმი განსაკუთრებით მოწყვლადი დასახლებული პუნქტებიდან გამოიყოფა დუშეთის მუნიციპალიტეტის თემები: მაღაროსკარი, ქვეშეთი, ხევსურეთი [9]. აქ წყალმოვარდნების რისკი მდინარე არაგვის აუზის საზღვრებში მაღალია [9].

ნახ. 5.7.1. მდინარე არაგვის ხეობა (დუშეთის მუნიციპალიტეტი)

უკანასკნელ წლებში საკვლევ არეალში რამდენიმე მნიშვნელოვანი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენა დაფიქსირდა, რომელთა მოკლე დახასიათებას ვიძლევით ქვემოთ:

06.06.2005-ში დაფიქსირდა წყალმოვარდნა დუშეთის მუნიციპალიტეტში, რამაც დაანგრია და დააზიანა 42 სახლი, წყალმა წაიღო პირუტყვი, მანქანები, მოშალა სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები.

2010 და 2012 წლების ივნისის თვეში მოსულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექებმა გამოიწვია მდინარე არაგვის ადიდება, რამაც პრობლემები შეუქმნა ზემო მლეთაში მცხოვრებ მოსახლეობას და სოფელში არსებულ ინფრასტრუქტურას. სტიქიის მასშტაბურ განვითარებას ასევე ადგილი ჰქონდა 2022 წლის ივნისს.

ნახ. 5.7.2. სოფ. ზემო მლეთა, 2022 წლის ივნისი

2022 წლის 26 ივნისს გვიან ღამით ძლიერი წვიმის და უხვი ნალექის გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა–სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 136-ე კილომეტრზე (ნეიტრალური ზონა) მდინარე თერგის ადიდების შედეგად გზის 80მ-მდე მონაკვეთი დაზიანდა, ხოლო საბაჟო გამშვებმა პუნქტმა ,,ყაზბეგმა“ დროებით შეწყვიტა მუშაობა საგანგებო მდგომარეობის გამო. უხვი ნალექის შედეგად, ადიდებულმა მდინარე თერგმა დააზიანა საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მონაკვეთი რუსეთის ფედერაციის საზღვართან ახლოს.

ნახ. 5.7.3. სტიქიის შედეგად დაზიანებული გზა [10]

საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსიური გაწმენდითი სამუშაოების შედეგად საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 136-ე კილომეტრზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება რამდენიმე დღეში აღდგენილი იქნა.

ლიტერატურა:

[1] Э. Ш. Элизбарашвили, М. Э. Элизбарашвили (2012). Стихийные метеорологические явления на территории Грузиии. Издательство Института гидрометеорологии,Тбилиси, Зеон, 104 с.

[2] საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი (2011). ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 120 გვ.

[3] რ. სამუკაშვილი (2015). კავკასიის ტერიტორიის რადიაციული რეჟიმი და ჰელიოენერგეტიკული რესურსები. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 339 გვ.

[4] ლ. ქალდანი, მ. სალუქვაძე (2015). თოვლის ზვავები საქართველოში. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 167 გვ.

[5] მ. სალუქვაძე (2019). ზვავების წარმოქმნის რისკი და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა საქართველოს მთიან რაიონებში. რედაქტორი, გამომცემლობა, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 159 გვ.

[6] Гигинеишвили В.М. (1960). Градобития в Восточной Грузии. Ленинград, Гидрометеоиздат, 123 с.

[7] Сулаквелидзе Г.К. (1967). Ливневые осадки и град. Ленинград, Гидрометеоиздат, 412 с.

[8] E. Sh. Elizbarashvili, A. G. Amiranashvili,O. Sh. Varazanashvili,N. S. Tsereteli, M. E. Elizbarashvili,S. E. Elizbarashvili, M.G. Pipia (2014). Hailstorms in the Territory of Georgia. European Geographical Studies. Vol.(2), № 2, pp. 55-69.

[9] ირაკლი მეგრელიძე (2021). საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შეფასება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, დისერტაცია, თსუ, 121 გვ.

[10] https://www.facebook.com/MckhetaMtianeti

თავი 6

საკვლევი ტერიტორიის ზონირება (დარაიონება) ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით

6.1. შესავალი

საკლევი არეალი მოიცავს მცხეთა-ჟინვალი-სტეფანწმინდა-ლარსის და ჟინვალი-ბარისახო-შატილი-მუცოს საავტომობილო გზების 250კმ-იან მონაკვეთს, სადაც განხორციელებული კამერალური და საველე კვლევების შედეგად იდენტიფიცირებული იქნა გეოლოგიური და ჰიდრომეტეროლოგიური პროცესების გამოვლინების უბნები. საავტომობილო გზების აღნიშნულ 250 კმ-იან მონაკვეთზე, როგორც მე-3 თავშია მოცემული, დომინირებს მეწყრული, ღვარცოფული, კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესები და თოვლის ზვავები, ხოლო ეროზიული პროცესები (დახრამვა, მდინარის ნაპირების გარეცხვა) დაფიქსირდა 17 უბანზე. გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების გადანაწილება აღნიშნული საავტომობილო გზების 250 კმ მონაკვეთზე მოცემულია ნახ. 6.1-ში.



ნახ. 6.1. გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების განაწილება მცხეთა-ჟინვალი-სტეფანწმინდა-ლარსის და ჟინვალი-ჟინვალი-ბარისახო-შატილი-მუცოს საავტომობილო გზების 250 კმ მონაკვეთზე

მცხეთა-ჟინვალი-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გასწვრივ იდენტიფიცირებული პროცესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ღვარცოფული, მეწყრული, კლდეზვავ-ქვათაცვენის პროცესები და თოვლის ზვავები, რომელთა პროცენტული გადანაწილება აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთზე მოცემულია ნახ. 6.2-ში.

ჟინვალი-ბარისახო-შატილი-მუცოს საავტომობილო გზის გასწვრივ იდენტიფიცირებული პროცესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ღვარცოფული, მეწყრული, კლდეზვავ-ქვათაცვენის პროცესები და თოვლის ზვავები, რომელთა პროცენტული გადანაწილება აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთზე მოცემულია ნახ. 6.3-ში.



ნახ. 6.2. გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების განაწილება მცხეთა-ჟინვალი-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთზე



ნახ. 6.3. გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების განაწილება ჟინვალი-ბარისახო-შატილი-მუცოს საავტომობილო გზის მონაკვეთზე

6.2. გზის ცალკეული მონაკვეთების ზონირება (დარაიონება) ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით

საველე სამუშაოების და ისტორიულ (საფონდო) მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა საკვლევი არეალის ზონირება (დარაიონება) ბუნებრივი საფრთხეების კატეგორიების მიხედვით. სამიზნე არეალი დაიყო მონაკვეთებად და თითოეული არეალისთვის მომზადდა შესაბამისი რუკები (იხ. დანართები).

მონაკვეთი 1 – ქ. მცხეთა – დაბა ჟინვალის მიმდებარედ (მანძილი დაახლოებით 28კმ). მონაკვეთზე დაფიქსირდა ღვარცოფული პროცესების გამოვლინების უბნები, რომელთაგან აღსანიშნავია მდინარე ლაზვიანთხევი, მდინარე დუშეთის ხევი და მდინარე ფოტეხევი, რომლებიც ხასიათდება პერიოდული აქტივაციით და საფრთხეს უქმნის საავტომობილო გზას და სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს (ნახ. 6.4-6.5).

აქ წელიწადში საშუალოდ 1-3 დღეა უხვი ატმოსფერული ნალექებით. ნისლიან დღეთა რიცხვი აღწევს 40-მდე, იშვიათი მოვლენაა ქარბუქი.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება დაბალი საფრთხის კატეგორიას, თუმცა, მცირე ნაწილი შედის მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიაში (დანართი 4).

ნახ. 6.4. მდინარე დუშეთის ხევი

ნახ. 6.5. მდინარე ფოტეხევი

მონაკვეთი 2 – დაბა ჟინვალი – სოფ. ანანური – სოფ. ჭართალი (21კმ). მონაკვეთზე დაფიქსირდა ღვარცოფული და კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესების გამოვლინების უბნები. ღვარცოფული პროცესების აქტიურობით ხასიათდება მდ. არყალას ხეობა, დიდი და პატარა ჯახას ხეობები, დგნალის ხევი, მენესოს ხევი და სონდის ხევი. კლდეზვავური ტიპის მეწყრები და ქვათაცვენებია განვითარებული სოფ. არანისის მიმდებარედ, ასევე, მენესო-სონდა-ჭართლის საავტომობილო გზის მონაკვეთზე (ნახ. 6.6).

აქ უხვი ატმოსფერული ნალექები მოდის 3-4 დღის განმავლობაში წელიწადში საშუალოდ, ნისლიან დღეთა რიცხვი აღწევს 60-ს, ხოლო ქარბუქი იშვიათი მოვლენაა.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიას, თუმცა მცირე ნაწილი შედის დაბალი საფრთხის კატეგორიაში (დანართი 5).

ნახ. 6.6. კლდეზვავი-ქვათაცვენის უბნები დაბა ჟინვალი-სოფ. ჭართლის საავტომობილო გზის მონაკვეთზე

მონაკვეთი 3 – სოფ. ჭართალი – დაბა ფასანაური – სოფ. ზემო ამირნი (17კმ). საველე კვლევების პროცესში მონაკვეთზე იდენტიფიცირებული იქნა ღვარცოფული და მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების გამოვლინების უბნები. ღვარცოფული პროცესების აქტიურობით ხასიათდება მდ. ჭართლის ხევი, მუგუდას ხევი, დაბა ფასანაურში არსებული მშრალი ხევები, სოფ. ზემო და ქვემო ამირნში არსებული ხევები (ნახ. 6.7-6.8).

აქ წელიწადის განმავლობაში საშუალოდ 4 დღეა უხვი ატმოსფერული ნალექებით, 40-60 დღე – ნისლით, აგრეთვე იშვიათია ქარბუქი. აღნიშნული პროცესები პერიოდულად საფრთხეს უქმნის მონაკვეთზე არსებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიას (დანართი 6).

ნახ. 6.7. მდინარე ჭართლისხევის ღვარცოფული ხეობა

ნახ. 6.8. მეწყრული პროცესი სოფ. ჭართალი-სოფ. ზემო ამირნის საავტომობილო გზის მონაკვეთზე

მონაკვეთი 4 – სოფ. ჩოხელნი – სოფ. ქვეშეთი – სოფ. არახვეთი (12კმ). საველე კვლევების პროცესში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული პროცესების გამოვლინების უბნები. ღვარცოფული პროცესების აქტიურობით ხასიათდება მდინარეები – ჩოხის-ხევი, ნადიბაანისხევი, ნაღვარევისხევი, ქვეშეთისხევი და სოფ. არახვეთში არსებული მშრალი ხევები (ნახ. 6.9-6.10).

აღნიშნულ მონაკვეთზე წლის განმავლობაში საშუალოდ 5-10 დღეა უხვი ატმოსფერული ნალექებით, 60-100 დღეა ნისლით და 5 დღეა ქარბუქით.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიას (დანართი 7).

ნახ. 6.9. მდინარე ჩოხის-ხევის ღვარცოფული ხეობა

ნახ. 6.10. ღვარცოფული ხევი სოფ. ნაღვარევთან

მონაკვეთი 5 – სოფ. არახვეთი – სოფ. მლეთა – დაბა გუდაური – სოფ. ალმასიანი (30კმ). საველე კვლევების პროცესში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული და მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების და თოვლის ზვავების გამოვლინების უბნები (ნახ. 6.11-6.12-6.13). აქტიურ ზვავსაშიშ ზონაშია მოქცეული გუდაური-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთი. მლეთის მონაკვეთზე ღვარცოფული პროცესების აქტიურობით ხასიათდება სოფ. არახვეთი და ზემო და ქვემო მლეთის მიმდებარედ არსებული ტერიტორია.

აქ უხვნალექიან დღეთა რიცხვი აღწევს 10-მდე წელიწადში საშუალოდ, ნისლიან დღეთა რიცხვი აღწევს 200-მდე, ხოლო დაახლოებით 30 დღე ქარბუქიანია. ხშირია სეტყვა, წელიწადში შესაძლოა სეტყვიან დღეთა რიცხვმა გადააჭარბოს 20-ს.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება მაღალი საფრთხის კატეგორიას, შედარებით ნაკლები ტერიტორია შედის საშუალო საფრთხის კატეგორიაში (დანართი 8).

ნახ. 6.11. მეწყრული უბანი სოფ. ქვემო მლეთის მოპირდაპირედ

ნახ. 6.12. თოვლის ზვავის გამოვლინების უბანი გუდაური-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთზე

ნახ. 6.13. ღვარცოფული ხევები გუდაური-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთზე

მონაკვეთი 6 – სოფ. კობი – სოფ. სიონი – სოფ. არშა (13კმ). საველე კვლევების პროცესში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული და მეწყრულ-გრავიტაციული პროცესების გამოვლინების უბნები. ღვარცოფული პროცესების აქტიურობით ხასიათდება მდინარე თერგის მარჯვენა უსახელო შენაკადები და მდინარე ტერხენა (ნახ.6.14).

აქაც 10 დღეა უხვნალექიანი წელიწადში საშუალოდ, 200-მდე – ნისლიანი, ხოლო 40 დღე – ქარბუქით.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება მაღალი საფრთხის კატეგორიას; შედარებით ნაკლები ტერიტორია შედის საშუალო საფრთხის კატეგორიაში (დანართი 9).

ნახ. 6.14. ღვარცოფული ხევები სოფ. კობი – სოფ. არშას
საავტომობილო გზის მონაკვეთზე

მონაკვეთი 7 – სოფ. არშა – სოფ. ფანშეთი – დაბა სტეფანწმინდა – ლარსი (17კმ). კვლევის პროცესში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული და მეწყრული პროცესები და კლდეზვავ-ქვათაცვენები. აქტიური კლდეზვავ-ქვათაცვენის პროცესებია განვითარებული სტეფანწმინდა-ცდო-გველეთის მონაკვეთზე (ნახ. 6.15). ღვარცოფული პროცესები ძირითადად განვითარებულია მდ. თერგის შენაკადებში (ჩხერე, ყუროსხევი, ამალი-დევდორაკი, ხდისწყალი და სხვა).

აქ უხვი ნალექები მოდის წელიწადში საშუალოდ 5-10 დღის განმავლობაში, ნისლი 10-20 დღე იცის, ხოლო ქარბუქიან დღეთა რიცხვი აღწევს 20-მდე.

მონაკვეთი ძირითადად მიეკუთვნება მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიას (დანრათი 10).



ნახ. 6.15. კლდეზვავ-ქვათაცვენის უბნები დაბა სტეფანწმინდა – ლარსის საავტომობილო გზის მონაკვეთზე

მონაკვეთი 8 – დაბა ჟინვალი – სოფ. გუდრუხი – სოფ. ხილიანა (23კმ). კვლევის პერიოდში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული და კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესები (ნახ. 6.16), რომლებიც განვითარებულია მდ. ფშავის არაგვის მარცხენა ფერდობზე, ხოლო ღვარცოფული პროცესები ფიქსირდება მდინარეების – გუდრუხისხევის, თვალიურას, შარახევის და მდინარე ფშავის არაგვის მარცხენა უსახელო შენაკადების ხეობებში (ნახ.6.17).

აქ წელიწადში საშუალოდ 3-4 დღის განმავლობაში მოდის უხვი ნალექები, 60-ს აღწევს ნისლიან დღეთა რიცხვი, ხოლო 5 დღე აღინიშნება ქარბუქით.

მონაკვეთი ძირითადად მოქცეულია მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიაში, ხოლო მცირე ნაწილი – დაბალი საფრთხის კატეგორიაში (დანართი 11).



ნახ. 6.16. ქვათაცვენის უბანი მდინარე გუდრუხისხევის მიმდებარედ

ნახ. 6.17. მდინარე შარახევის ღვარცოფული ხეობა

მონაკვეთი 9 – სოფ. ხილიანა – მდ. ვანხევი (17კმ). კვლევის პროცესში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული და მეწყრული პროცესები, ასევე კლდეზვავ-ქვათაცვენები (ნახ. 6.18-6.19). რამდენიმე ადგილზე იდენტიფიცირებულ იქნა თოვლის ზვავის და მდინარეთა ნაპირების გარეცხვის უბნები.

აქ წელიწადში საშუალოდ 10 დღის განმავლობაში მოდის უხვი ნალექები, 60-ს აღწევს ნისლიან დღეთა რიცხვი, ხოლო 5 დღე აღინიშნება ქარბუქით.

მონაკვეთი ძირითადად მოქცეულია მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიაში (დანართი 12).

ნახ. 6.18. მეწყრული უბანი
მდინარე კაწალხევის მიმდებარედ

ნახ. 6.19. მეწყრული უბანი
მდინარე კაფჩურას ხეობაში

მონაკვეთი 10 – მდ. კიშხევი – მდ. როშკისწყალი (18კმ). კვლევის პროცესში მონაკვეთზე ძირითადად დაფიქსირდა ღვარცოფული და კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესები (ნახ. 6.20). აქტიური ღვარცოფული პროცესებია განვითარებული მდ. ბუჩუკურთას, მდ. ოხერხევისა და მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვენა უსახელო შენაკადების ხეობებში.

აქ წელიწადში საშუალოდ 4-6 დღის განმავლობაში მოდის უხვი ნალექები, 60-ს აღწევს ნისლიან დღეთა რიცხვი, ხოლო 5 დღე აღინიშნება ქარბუქით.

მონაკვეთი ძირითადად მოქცეულია მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიაში (დანართი 13).

ნახ. 6.20. კლდეზვავის ტიპის მეწყერი და ეროზიული პროცესები
სოფ. ბარისახოს მიმდებარედ

მონაკვეთი 11 – მდ. როშკისწყალი – სოფ. ბისო – დათვისჯვრის უღელტეხილი (მდ. გუდანისჭალის ხეობა) (24კმ). მონაკვეთზე (მდ. გუდანისჭალის ხეობა) ძირითადად დაფიქსირებულია ღვარცოფული, მეწყრული და კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესები (ნახ. 6.21-6.22), ასევე დათვისჯვრის უღელტეხილზე – თოვლის ზვავები.

აქაც წელიწადში საშუალოდ 4-6 დღის განმავლობაში მოდის უხვი ნალექები და 60-ს აღწევს ნისლიან დღეთა რიცხვი, ხოლო ქარბუქი აღინიშნება 10 დღის განმავლობაში.

მონაკვეთი სრულად მოქცეულია მაღალი საფრთხის კატეგორიაში (დანართი 14).

ნახ. 6.21. მეწყრული უბანი სოფ. გუდანის მიმდებარედ

ნახ. 6.22. მეწყრული უბანი დათვისჯვრის უღელტეხილზე

მონაკვეთი 12 – სოფ. ლებაისკარი – სოფ. კისტანი – სოფ. შატილი – სოფ. მუცო (მდ. არღუნის და მდ. ანდაქის ხეობები) (30კმ). მონაკვეთზე (მდ. არღუნის და მდ. ანდაქის ხეობები) ძირითადად დაფიქსირებულია ღვარცოფული, მეწყრული და კლდეზვავ-ქვათაცვენითი პროცესები, ასევე თოვლის ზვავების და მდინარის ნაპირების გარეცხვის უბნები (ნახ. 6.23).

აქ წელიწადში საშუალოდ 4-6 დღის განმავლობაში მოდის უხვი ნალექები და 60-ს აღწევს ნისლიან დღეთა რიცხვი, ხოლო ქარბუქი აღინიშნება 20 დღის განმავლობაში.

მონაკვეთი ძირითადად მოქცეულია მაღალი და საშუალო საფრთხის კატეგორიაში (დანართი 15).

ნახ. 6.23. მეწყრული და ეროზიული პროცესები სოფ. შატილი – სოფ. მუცოს საავტომობილო გზის მონაკვეთზე

მარიამ ელიზბარაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი,
ელიზბარ ელიზბარაშვილი, გიორგი დვალაშვილი,
ნინო ჩიხრაძე, თამარ ხუნწელია, ზურაბ რიკაძე

საშიში გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები ცენტრალური კავკასიონის საზღვრისპირა რეგიონებში – ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი და მცხეთა

მონოგრაფიის ყდის დიზაინი: ნინო ჩიხრაძე
ყდაზე პანორამული ფოტოსა და მონოგრაფიაში გამოყენებული
ფოტოების ავტორი: გიორგი გაფრინდაშვილი

თბილისი
2022

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Elizbarashvili, Giorgi Gaprindashvili,
Elizbar Elizbarashvili, Giorgi Dvalashvili, Nino Chikhradze,
Tamar Khuntselia, Zurab Rikadze

Extreme Geological and Hydrometeorological Events in the Border Regions of the Central Caucasus – Kazbegi, Dusheti, Tianeti and Mtskheta

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi 2022

UDC (უაკ) 551.515.9(479.22)
ე – 562

The monograph discusses dangerous geological (landslides, mudflows, rock-avalanches and rock-falls, river bank washing, etc.) and hydrometeorological (abundat precipitations, fogs, storms, snowstorms, snow avalanches, etc.) events that cause the emergency situations to be occurred on the Tbilisi-Gudauri-Larsi and Tbilisi-Zhinvali-Shatili highways in the Central Caucasus. Classification/zoning of the region and roads in terms of hazardous natural phenomena has been carried out.

This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) Grant № BRG-I-21-228, "Classification/zoning of roads connecting the border settlements in the Central Caucasus (Tbilisi-Gudauri-Larsi and Tbilisi-Zhinvali-Shatili) in terms of dangerous natural phenomena and creation of its geographical information system".

Editors: **Mariam Elizbarashvili –** Doctor of Geographical Sciences
Nino Chikhradze – Master of Geography
Reviewers: **Vazha Trapaidze –** TSU Asociated Professor,
Doctor of Technical Sciences
Merab Gaprindashvili – Head of the Department of Geology,
National Environmental Agency
English translation: Nino Chikhradze

© M. Elizbarashvili, G. Gaprindashvili,
E. Elizbarashvili, G. Dvalashvili,
N. Chikhradze, T. Khuntselia, Z. Rikadze, 2022

Publishing House "UNIVERSAL", 2022

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-305-7

CONTENT

Pages

Introduction 96

CHAPTER 1 Highways and municipalities 98

1.1 Highways 98

1.1.1 Tbilisi-Pasanauri-Gudauri-Dariali-Larsi highway 98

1.1.2 Tbilisi-Zhinvali-Barisakho-Shatili highway 99

1.2 Physical-geographical description of municipalities 99

1.2.1 Mtskheta Municipality. . . . 99

1.2.2 Dusheti Municipality 100

1.2.3 Tianeti Municipality. . . . 102

1.2.4 Kazbegi Municipality 103

References 104

CHAPTER 2 Morphological and geological conditions. 105

2.1 Introduction 105

2.2 Jurassic system 106

2.2.1 Lower Jurassic sediments. . . . 106

2.2.2 Middle Jurassic sediments. . . . 108

2.2.3 Middle and Upper Jurassic sediments. . . . 110

2.3. Cretaceous system 111

2.3.1. Lower Cretaceous sediments 111

2.3.2 Upper Cretaceous sediments 113

2.3.3 Upper Cretaceous and Lower Paleogene sediments (K_2-E_1) 114

2.4 Paleogene system. . . . 115

2.4.1 Paleocene and Lower Eocene sediments (E_1-E_1^2) (Shakhvetila suite). . 115

2.4.2 Middle Eocene sediments (E_2^2) (Kvakveri suite). . . . 115

2.4.3 Upper Eocene sediments (E_2^3). . . . 116

2.4.4 Upper Eocene and Oligocene sediments (E_2^3-E_3) (Kinti suite) 116

2.4.5 Oligocene and Lower Miocene sediments (E_3-N_1^1) (Maikop suite) . . . 117

2.5 Neogene system 118

2.5.1 Sarmatian stage 118

2.5.2 Maeotian and Pontian stages (N_1^3m-p) (Dusheti suite) 118

2.6 Quaternary system 119

2.7 Magmatic rocks. . . . 121

References 122

CHAPTER 3 Dangerous geological events 123

3.1 Landslide-gravitational and mudflow processes 123

3.2 Factors provoking geological hazards 124

3.3 Stressed areas complicated by geological hazards in the study area and their characterization 126
3.4 Adaptation measures 139
References 141
CHAPTER 4 Climate and hydrology. 142
4.1 Air temperature. 142
4.2 Air humidity 147
4.3 Atmospheric precipitations. 148
4.4 Snow cover 152
4.5 Wind 155
4.6 Hydrology 156
References 157
CHAPTER 5 Extreme meteorological events 158
5.1 Intense, abundant and catastrophic atmospheric precipitations. 158
5.2 Fog. 160
5.3 Storms. 162
5.4 Snowstorm 163
5.5 Snow avalanches 164
5.6 Hail 166
5.7 Floods and flash floods 169
References 171
CHAPTER 6 Zoning (regionalization) of the study area according to the natural hazard categories 172
6.1 Introduction 172
6.2 Zoning of individual road sections according to the natural hazard categories 173
Appendixes 180
Appendix 1. Study area 180
Appendix 2. Map of the tectonic division of the study area 181
Appendix 3. Geological map of the study area. 182
Appendix 4. Zoning of Mtskheta town – Zhinvali townlet road section according to the natural hazard categories 185
Appendix 5. Zoning of Zhinvali townlet – Ananuri village – Chartali village road section according to the natural hazard categories. 186
Appendix 6. Zoning of Chartali village – Pasanauri townlet – Zemo Amirni village road section according to the natural hazard categories 187
Appendix 7. Zoning of Chokhelni village – Kvesheti village – Arakhveti village road section according to the natural hazard categories 188
Appendix 8. Zoning of Arakhveti village – Mleta village – Gudauri townlet – Almasiani village road section according to the natural hazard categories. . . . 189

Appendix 9. Zoning of Kobi village – Sioni village – Arsha village road section according to the natural hazard categories 190
Appendix 10. Zoning of Arsha village – Pansheti village – Stepantsminda townlet – Larsi road section according to the natural hazard categories 191
Appendix 11. Zoning of Zhinvali townlet – Gudrukhi village – Khiliana village road section according to the natural hazard categories 192
Appendix 12. Zoning of Khiliana village – river of Vankhevi road section according to the natural hazard categories 193
Appendix 13. Zoning of Kishkhevi River – river of Roshkistskali road section according to the natural hazard categories 194
Appendix 14. Zoning of Roshkistskali River – Biso village – pass of Datvisjvari (gorge of the Gudanischala River) road section according to the natural hazard categories 195
Appendix 15. Zoning of Lebaiskari village – Kistani village – Shatili village – Mutso village (gorges of the rivers of Arghuni and Andaki road section according to the natural hazard categories 196

Introduction

Roads connecting the border regions of Georgia are of special strategic importance. Lack of roads or obstruction of movement on the roads may be a precondition for uncontrolled border section, which in turn increases the risk of smuggling illegal products, or involves the threat of crossings of armed persons or groups of unknown origin and destination. It is the existence of unregulated and unsafe roads for movement that is one of the reasons for the migration of the population from the border mountainous regions to plain areas. Because of this, too many mountain villages were emptied.

Mountainous regions attract many tourists, which is important for the economic development of the country, but the unregulated road infrastructure and hard natural conditions make it difficult for tourists to move, and the tourism potential of many mountainous regions cannot be properly exploited for these reasons.

Roads are one of the most important critical infrastructures, as it provides access to medical services, educational institutions, tourist facilities, etc. through it. In addition, a well-regulated and well-maintained road network plays an important role in the socio-economic development of the country.

Roads are essential for the maintenance of public vital functions. Damage and destruction of roads by natural disasters can have a negative impact on the well-being of citizens. In the conditions of global climate change, the frequency and intensity of extreme weather and climate events increase significantly: heavy snow, fog, avalanches, storms, torrential rains, hail, etc., which together with geological events create emergencies on highways and hamper traffic. Roads often are closed from few hours to the end of the whole winter, leaving villages and settlements cut and isolated; therefore, the study of dangerous geological and hydrometeorological events on the roads connecting the border regions of Georgia and the classification / zoning of roads by these events is important for the country, society and science.

The aim of our research was the Investigation of the process and characteristics of the emergency situation creating hazardous geological (landslides, mudflows, rock-avalanches and rock-falls, the river bank washing, etc.) and hydrometeorological (floods, snow avalanches, fogs, storms, etc.) events on the Tbilisi-Gudauri-Larsi and Tbilisi-Zhinvali-Shatili highways, classification / zoning of roads in terms of extreme geological and hydrometeorological events and creation of its Geographical Information System (GIS).

In the monograph two road sections are studied, which are vital for the mountainous border area of Georgia, as it connects the northern and southern slopes of the Caucasus: 1. Tbilisi-Pasanauri-Gudauri-Dariali-Larsi, or so-called. Georgian Military Road; and 2. Tbilisi-Zhinvali-Barisakho-Shatili, or the road connecting the high mountainous parts of Pirikita Khevsureti and Piraketa Khevsureti with the capital.

The road in both directions is connected with the historical-ethnographic provinces of Georgia, located on the northern slopes of the Caucasus, which are isolated by a high watershed

(the main range of the Caucasus) and at this stage, direct communication with them is possible only through high passes: Jvari Pass (2,379 m) (Kazbegi Municipality) and Datvisjvari Pass (2,676 m) (Dusheti Municipality).

This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) Grant № BRG-I-21-228, "Classification/zoning of roads connecting the border settlements in the Central Caucasus (Tbilisi-Gudauri-Larsi and Tbilisi-Zhinvali-Shatili) in terms of dangerous natural phenomena and creation of its geographical information system". Project Manager: Doctor of Geographical Sciences Mariam Elizbarashvili, Coordinator: Academic Doctor of Geography George Gaprindashvili, Participants: Doctor of Geographical Sciences Elizbar Elizbarashvili, Academic Doctor of Geography Giorgi Dvalashvili, Master of Geography Nino Chikharadze, Doctoral students: Zurab Rikadze, Tamar Khuntselia; and a TSU student: Irakli Elizbarashvili.

CHAPTER 1

Highways and municipalities

1.1. Highways

In the Central Caucasus there are two important roads connecting the border settlements: 1. Tbilisi-Pasanauri-Gudauri-Dariali-Larsi, or the so-called Georgian Military Road; and 2. Tbilisi-Zhinvali-Barisakho-Shatili, or the road connecting the high mountainous part of Pirikita Khevsureti and Piraketa Khevsureti with the capital (Appendix 1; 1 page).

1.1.1. Tbilisi-Pasanauri-Gudauri-Dariali-Larsi highway

The Tbilisi-Pasanauri-Gudauri-Dariali-Larsi highway is relatively well-maintained road and stands out with heavy traffic. The historical-ethnographic region of the gorge depends on it, otherwise it would lose its connection with the center of the region and the capital, as well as with other regions. This road has the main traffic in the direction of the only Georgian-Russian customs checkpoint, which leads to the transportation of products and transportation by road from both countries, or from the neighboring Republic of Armenia. This road provides connection of the population of the municipality with the other parts of the country. The road is also important for the smooth movement of the numerous tourists (their number is increasing) who have arrived in the region, as well as for the smooth operation of the winter resort Gudauri and its famous ski track. The lane along the Georgian Military Road is very active in terms of exodynamic processes. However, there are also distinguished particularly high-risk areas, where their recurrence is more intense. Also, there are a number of areas where traffic is often hampered due to hard meteorological conditions (heavy snow, avalanches, storms, rains and hail).

Georgian Highway – [S3] (Mtskheta-Stepantsminda-Larsi) – is one of the main international highways of Georgia, which starts near the city of Mtskheta and goes north to the Russian border through the resort of Gudauri and the townlet of Stepantsminda [1].

The highway also includes the European Highway in the Caucasus, the E117, which connects the southern part of Russia with Armenia through Georgia. The route starts near the city of Mineralnye Vody in Russia, continues to Georgia, where it mainly coincides with the Georgian Military Road, and then goes to the Iranian border through Yerevan, Armenia. The length of the highway is 1,050 km. After the town of Mineralnye Vody, the highway crosses the European Highway E50 to Beslan, in Tbilisi it crosses the European Highway E60 and at the end of the route, in the city of Meghri in the Republic of Armenia it joins the European Highway E002.

1.1.2. Tbilisi-Zhinvali-Barisakho-Shatili highway

The Tbilisi-Zhinvali-Barisakho-Shatili road is also a means of communication connecting the southern and northern slopes of the Caucasus. It is part of the Georgian Military Road to the townlet of Zhinvali, and then goes in its north-northeastern direction, following the gorges of the Rivers of Pshavi and then Khevsureti's Aragvi. The Tbilisi-Zhinvali-Barisakho-Shatili road is the only one that connects the Arghuni and Andaki river valleys with other regions of Georgia (except for a few pedestrian, tourist trails). The connection of Pirikita Khevsureti's villages with the regions depends on it and it is closed for 7-7.5 months of the year due to heavy snow. In early summer, movement is complicated by geodynamic processes caused by melting snow and torrential rains. Although road rehabilitation works were carried out recently, the malfunction of this road affects the connection with the border point of Georgia; also, this is the only way to move in the direction of Shatili and Mutso. This road is also the only means of transportation for shepherds and cattlemen in the spring and autumn, when sheep and cattle are driven. Weakening the connection to the border point and reduction in number of population increases the risk of their insecurity. Zhinvali – Barisakho – Shatili [Sh 26] is a road of domestic importance, the total length of which is 106 km.

Mtskheta-Stepantsminda-Larsi highway and Zhinvali-Barisakho-Shatili highway goes to 4 different municipalities of the Mtskheta-Mtianeti region of Georgia, namely: Mtskheta, Dusheti, Tineti (small part) and Kazbegi (large part) municipalities. In this regard, the physical-geographical characteristics of the listed municipalities are discussed in the following section.

1.2. Physical-geographical description of municipalities

1.2.1. Mtskheta Municipality

Mtskheta Municipality is bordered by Sagarejo municipality on the east, by Kaspi Municipality – on the west, by Dusheti and Tianeti municipalities – on the north, by Gardabani and Tetritskaro municipalities and the city of Tbilisi – on the south [2].

The highest point of Mtskheta Municipality is the unnamed mountain in the Trialeti Range, Didgori section, at an altitude of 1,782 m above sea level. The lowest point is the valley of the Mtkvari River near Zahesi, at an altitude of 425 m above sea level. The northernmost point of the municipality is the Saguramo-Ialno mountain in the west of Nakokhari, in the north of Martkopi monastery complex, at 1,590 m above sea level. The southernmost point is the Vere River gorge to the east of the Betania Monastery, at an altitude of 660 m above sea level. The westernmost point is the northern branch of the Trialeti Range – the Koshkiskeli Range, the watershed of the rivers of Nichbisistskali and Kavtura, to the southwest of the village of Zemo Nichbisi, at 1,750 m above sea level. The easternmost point is the northern branch of the Ialno Range, the watershed of the rivers of Tezami and Gorana, at an altitude of 1,590 m above sea level.

The area of Mtskheta Municipality is 805 km^2, the center of the municipality and the Mtskheta-Mtianeti region is the city of Mtskheta. The territory of the municipality is mainly low and medium mountainous, the altitude varies from 670-1,600 m above sea level. Despite its small size, the territory of Mtskheta Municipality is distinguished by the diversity of natural conditions. In the southern part of the area, a medium-height latitudinal Saguramo Range intrudes, which is a western extension of the Ialno Range. Saguramo Range in its crestal part is built of Pliocene conglomerates. And on the southern slope, the Upper Sarmatian clays and limestone sandstones are developed. Saguramo Range with its extreme ends also intrudes into the city of Tbilisi. Satskepela Range erected in the south-west of the municipality forms the north-eastern branch of the Trialeti Range. The eastern end of the Satskepela Range is called the Armazi Range, the height of which is up to 1,125 m. Between the rivers of Aragvi and Ksani lies a hillock of Skhaltba, which is cuesta-like and distinguished by its high cliff, which is built of Neogene conglomerates. The length of the Skhaltba Range is 12 km and the height is 1,091 m. Also some parts of Mskhaldidi, Satibi and Sabaduri Ranges belong to Mtskheta Municipality. One of the main morphological elements of the municipality is the Mukhrani-Saguramo plain, which is a young tectonic depression in the Tertiary suites, the axis of which coincides with the direction of the hollow. The bottom of the Mukhrani-Saguramo hollow is built of the accumulation boulder-pebbles of the first terrace of the rivers of Aragvi and Ksani [1].

The Aragvi River crosses the municipality from the village of Misaktsieli to the city of Mtskheta. In the upper and middle reaches Aragvi is a mountain river and after entering the municipality it is a plain river. On the Mukhrani-Saguramo plain, the river splits, branches and forms a rather wide floodplain; terraces are developed; it crosses the Skhaltba and Saguramo Ranges at the confluence and flows into the Mtkvari River. The main tributaries of Aragvi are Narekvavi (length 47 km) and Tezami (28 km) [2].

1.2.2. Dusheti Municipality

In the south Dusheti municipality is bordered by Mtskheta Municipality, in the west – by Kaspi and Akhalgori Municipalities, in the north – by the Russian Federation and Kazbegi Municipality, and in the east – by Akhmeta and Tianeti Municipalities. Dusheti Municipality is the largest administrative unit of Mtskheta-Mtianeti region. The area of Dusheti Municipality is 2,981.5 km^2 [2].

The highest point of the Dusheti Municipality is the Mount Kidegana in the Kidgana Range, at a height of 4,274 m above sea level. The lowest point is the Aragvi River valley, south of the village of Choporti, at a height of 520 m above sea level. The northernmost point of the municipality is a Mount Arjelomi in the Arjelomi Range, near the Georgian-Russian border, at a height of 3,219 m above sea level. The southernmost point is the Aragvi River valley, northeast of the village of Natakhtari in Mtskheta, at a height of 520 m above sea level. The westernmost point is the Lomi-Alevi Range, in the Zemo Mleta Pass, 4 km northwest of the village of Zemo

Mleta, at a height of 2,293 m above sea level. The easternmost point is the Mutso Range, southwest of Mount Tebulo, on the Georgian-Russian border, at the place Kartolisi, at a height of 4,270 m above sea level.

